


საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო



„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის
სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის
დაწყების და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს
კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 16
აგვისტოს N04/165 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული
მოკვლევის თაობაზე

გადაწყვეტილება

თბილისი, 2023 წელი

სარჩევი

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება.....	3
შესავალი	4
1. ნორმატიული რეგულირება.....	5
1.1. პროცედურული რეგულირება	7
1.2. კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების ზოგადი ნორმატიული შემადგენლობა.....	8
1.3 კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების სპეციალური ნორმატიული შემადგენლობა - ფასების ფიქსაცია.....	11
1.4. კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების მტკიცების სტანდარტი.....	12
2. ბაზრის ანალიზი	21
2.1. პროდუქციული საზღვრები	21
2.2. გეოგრაფიული საზღვრები	22
2.3. დროითი ჩარჩო.....	23
3. ბაზრის იმპორტის დონე.....	23
4. საცალო ბაზარი.....	28
4.1. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“	32
4.2 შპს „რომპეტროლ საქართველო“	51
4.3. შპს „ლუკოილ-ჯორჯია“	68
4.4. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	79
4.5. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	92
4.6. ეკონომიკურ აგენტებს შორის კომუნიკაციის ფაქტები.....	101
5. სააგენტოს შეფასება	103
6. დასკვნა.....	109
7. სანქცია.....	110
8. სარეზოლუციო ნაწილი	116
9. რეკომენდაცია.....	117

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

საბაჟო ღირებულება - საქონლის თვითღირებულება საქართველოს ტერიტორიამდე ტრანსპორტირების ყველა ხარჯის გათვალისწინებით;

აქციზი - საბაჟო გადასახადი, რომელიც 1 ტონა ბენზინზე შეადგენს 500 ლარს, ხოლო დიზელზე 400 ლარს. 1 ლიტრ ბენზინზე საშუალოდ 37 თეთრი, ხოლო 1 ლიტრ დიზელზე - 34 თეთრი;

დღგ - დამატებითი ღირებულების გადასახადი - 18%;

ღირებულება დღგ-ს ჩათვლით - საქონლის თვითღირებულება საბაჟო გადასახადების (აქციზი, დღგ) ჩათვლით. გამოითვლება ფორმულით: (საბაჟო ღირებულება + აქციზი)*1.18;

იმპორტი - საქონლის ქვეყანაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება. იმპორტის რეჟიმში საქონლის მოქცევა ავტომატურად გულისხმობს, რომ საქონელზე გადახდილია საბაჟო გადასახადები - აქციზი და დღგ;

საბაჟო საწყობი - საქონლის მოთავსება დროებითი შენახვის რეჟიმში, ქვეყანაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების გარეშე. საქონელს გადმოკვეთილი აქვს ქვეყნის გეოგრაფიული საზღვარი - არ არის გადახდილი საბაჟო გადასახადები;

საბაჟო საწყობიდან იმპორტი - საქონლის ქვეყანაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება საბაჟო საწყობიდან. აღნიშნული შეიძლება განახორციელოს ეკონომიკურმა აგენტმა, რომელმაც საქონელი მოათავსა საბაჟო საწყობში დროებითი შენახვის რეჟიმში და ასევე იმ ეკონომიკურმა აგენტმა, რომელიც მოახდენს საქონლის შეძენას საბაჟო საწყობში განმათავსებელი კომპანიისგან;

იმპორტი წინმსწრები რეჟიმის გარეშე - საქონლის ქვეყანაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, როდესაც საქონელი განბაჟდა გეოგრაფიული საზღვრის გადმოკვეთისთანავე და არ ფიქსირდება წინარე საბაჟო რეჟიმი - მაგალითად, განთავსება დროებითი შენახვის რეჟიმში.

იმპორტი წინმსწრები რეჟიმით - საქონლის ქვეყანაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, როდესაც ფიქსირდება წინარე საბაჟო პროცედურა - მაგალითად საქონლის დროებითი შენახვის რეჟიმი. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ საქონელმა განსახილველ ოპერაციამდე გარკვეული პერიოდით ადრე გადმოკვეთა ქვეყნის გეოგრაფიული საზღვარი და მოქცეული იყო დროებითი შენახვის რეჟიმში.

საქონლის იმპორტი შუამავლის/ტრეიდერის მეშვეობით - საქონლის იმპორტი ქვეყანაში სხვა/დამატებითი კომპანიის შუამავლობით.

შესავალი

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო, კონკურენციის სააგენტო) მიერ განხორციელებული საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) ბაზრის მონიტორინგის ფარგლებში, 2022 წლის საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით გამოკვეთილი სავარაუდო კონკურენციის კანონსაწინააღმდეგო გარემოებების შესწავლის მიზნით, სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 16 აგვისტოს N04/165 ბრძანების საფუძველზე შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ - შემდგომში „გალფი“ (ს/კ 404391136), შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ - შემდგომში „სოკარი“ (ს/კ 202352514), სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ - შემდგომში „ვისოლი“ (ს/კ 202161098), შპს „რომპეტროლ საქართველოს“ - შემდგომში „რომპეტროლი“ (ს/კ 204493002) და შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ - შემდგომში „ლუკოილი“ (ს/კ 204976302) მიმართ სააგენტომ დაიწყო საქმის მოკვლევა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-7 მუხლის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

გამომდინარე იქიდან, რომ მოკვლევის დაწყებას საფუძვლად დაედო ბაზრის მონიტორინგი და მონიტორინგის ანგარიშით სააგენტომ შეაფასა 2022 წელი, მოკვლევის ფარგლებში ზემოაღნიშნული კომპანიების ქცევის შესაბამისობის შეფასება კანონის მე-7 მუხლთან მიმართებაში განხორციელდა 2022 წლის პერიოდზე (იანვარი-აგვისტო). ამასთან, 2022 წელს კონკრეტული კომპანიების მიერ კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნათა შესაძლო ფაქტების შესწავლის მიზნით, შედარებითი ანალიზის მიზნებისთვის, მოკვლევის ფარგლებში სახელმწიფო ორგანოებიდან და ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებიდან ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა 2020-2022 წლის (აგვისტოს ჩათვლით) პერიოდზე.¹

¹ იხ. სააგენტოს მონიტორინგის ანგარიში საავტომობილო საწვავის ბაზარზე, ხელმისაწვდომია: <https://admin.competition.ge/uploads/83d7db79de3540fa87f1044d12b3e029.pdf>

1. ნორმატიული რეგულირება

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ:

- ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);
- ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;
- გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;
- დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორობისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;
- ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.

ამ მუხლით გათვალისწინებული აკრძალული შეთანხმება ბათილია, თუ მასზე არ ვრცელდება კანონით დადგენილი გამონაკლისები. კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებაზე, თუ მონაწილეთა საბაზრო წილი კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვრებში ექცევა (გამონაკლისი არ ვრცელდება მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე).

კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები შეიძლება არ იქნას გამოყენებული იმ შეთანხმების მიმართ, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდას, თუ ეს დებულებები:

- ა) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწყობს ისეთ შეზღუდვას, რომელიც არ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან;
- ბ) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევს, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

შესაბამისი გარემოებების დასაბუთება ევალუბათ ეკონომიკურ აგენტებს, ხოლო გამონაკლისები დგინდება განსაზღვრული ვადით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით („კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისები“ განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის N526 დადგენილებით), თუმცა ხსენებული დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ეს დადგენილება არ ვრცელდება და კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების

გამონაკლისისადმი მიკუთვნება დაუშვებელია, თუ განსახილველი შეთანხმება გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას:

- ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენის (ფიქსირების) შესახებ;
- ბ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილების შესახებ.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5%-ს. კანონის 33¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირი სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება ამ კანონის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან, თუ იგი დააკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

- ა) წერილობით აღიარებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას;
- ბ) სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით წარუდგენს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ მისთვის ცნობილ, საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მტკიცებულებას მანამ, სანამ ეს ინფორმაცია და მტკიცებულება სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;
- გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან;
- დ) შეწყვეტს კანონის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო მიიჩნევს, რომ პირის მიერ ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელება საქმის მოკვლევას ხელს შეუწყობს;
- ე) არ გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტსა და მტკიცებულებას;
- ვ) არ გაამჟღავნებს ინფორმაციას თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.

კანონით დაწესებული შეღავათი არ ვრცელდება მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირს აღნიშნულ შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა. თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის ამ კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესს განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 22 ოქტომბრის N 33 ბრძანება.

1.1. პროცედურული რეგულირება

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N 40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - „პროცედურა“) მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის 25-ე მუხლისა და პროცედურის მე-6 მუხლის თანახმად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სააგენტო იწყებს საქმის მოკვლევას და არაუგვიანეს 6 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ამასთან, მოკვლევის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქმის მოკვლევა შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.

კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის; ამავე კანონის 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს სანქციას სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებისათვის.

პროცედურის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

პროცედურის მე-20 მუხლის მიხედვით, სააგენტო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სააგენტო უფლებამოსილია:

- ა) შეაგროვოს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით;*
- ბ) მიიღოს ახსნა-განმარტება ან გამართოს საკონსულტაციო შეხვედრა საქმის გარემოებათა დასადგენად;*
- გ) მოიწვიოს ექსპერტი;*
- დ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.*

პროცედურის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად სააგენტოს თავისი ინიციატივით ან მხარის

შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია ახსნა-განმარტების მისაღებად მოიწვიოს მხარე ან/და დაინტერესებული მხარე. პროცედურის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო, ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, ატარებს სხდომას მხარეთა მონაწილეობით, ხოლო 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოკვლევის ინტერესების გათვალისწინებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია მოხდეს სხდომის ჩატარების გარეშე, ინდივიდუალური ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გზით.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების თანახმად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

პროცედურის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ ინიშნება შემაჯამებელი სხდომა მხარეებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების/პირების მონაწილეობით, ხოლო 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი სხდომის დასრულების შემდგომ მოკვლევის ჯგუფი ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

1.2. კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების ზოგადი ნორმატიული შემადგენლობა

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების ის ზოგადი ნორმატიული შემადგენლობა, რომელიც თანაბრად ვრცელდება ნებისმიერი სახის შეთანხმებაზე (სპეციალურ ნორმატიულ შემადგენლობაზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ნორმატიული შემადგენლობით გათვალისწინებული ყველა ელემენტი აუცილებლად უნდა იქნეს თანაბრად დადგენილი ცალკეული შეთანხმების არსებობის მტკიცების პროცესში.

აღნიშნული ნორმატიული ელემენტები შესაძლებელია დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად: 1. სუბიექტები; 2. ქმედება; 3. კონკურენციის შემზღვეველი მიზანი ან შედეგი; 4. შესაბამისი ბაზარი, სადაც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების შედეგად კონკურენცია იზღუდება. განსახილველი ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიკაციის პროცესში აუცილებელია ყველა დასახელებული პირობის კუმულატიურად არსებობა.

სუბიექტები - აღნიშნულ კატეგორიაში, კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოიაზრებიან: 1. ეკონომიკური აგენტები და 2. ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანებები. ევროკავშირის სამართალში ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა „ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა.“² ეკონომიკური საქმიანობა კი განმარტებულია, როგორც „ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბაზარზე საქონლის და მომსახურების შეთავაზებას.“³ შინაარსობრივად ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს ქართული კანონმდებლობაც, რომელიც, კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადგენს, რომ „ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა.“

კანონის მე-7 მუხლი ასევე მოიცავს ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დადებულ ისეთ ხელშეკრულებებს, მიღებულ გადაწყვეტილებებს ან შეთანხმებულ ქმედებებს, რომელთაც გააჩნიათ კონკურენციის შემზღვეველი მიზანი ან შედეგი. ანალოგიურ მიდგომას ვხვდებით ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკაშიც, სადაც შესაბამისი დარღვევის განმახორციელებელ პირებად ასევე მოაზრებიან სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები, მათ შორის, ბიზნეს გაერთიანებები და პროფესიული/დარგობრივი ასოციაციები.

ქმედება - ნორმის აღნიშნული ელემენტი წარმოდგენილია სამი ალტერნატივის სახით: 1. შეთანხმება; 2. შეთანხმებული ქმედება და 3. გადაწყვეტილება. კანონი არ იძლევა შეთანხმების განმარტებას, თუმცა ევროკავშირის პრაქტიკაში შეთანხმება განმარტებულია, როგორც „ეკონომიკურ აგენტთა ნების თანხვედრა გარკვეული პოლიტიკის განხორციელების, გარკვეული მიზნისაკენ სწრაფვის ან ბაზარზე ქცევის მოცემული კურსის არჩევის შესახებ.“⁴ გადამწყვეტია რაიმე ფორმით, პირდაპირი ან არაპირდაპირი მტკიცებულებით დგინდებოდეს

² შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/166, 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018 და სხვა გადაწყვეტილებები ასევე, იხ. Case C-41/90, Höfner and Elser, [1991] ECR I-1979, ECLI:EU:C:1991:161, აბზ. 21.

³ შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საქმე - სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/166, 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018 და სხვა გადაწყვეტილებები ასევე, იხ. - Case 118/85, Commission v Italy [1987] ECR 2599, ECLI:EU:C:1987:283, აბზ. 7.

⁴ შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31, თარიღი: 09.03.2021. საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018. ასევე იხ. Case T-41/96, Bayer AG v Commission, [2000] ECR II-3383.

ეკონომიკური აგენტების ნებათა თანხვედრა, რაც შეიძლება დოკუმენტურად იყოს დაფიქსირებული, ან გამომდინარეობდეს მხარეთა შემდგომი ქცევიდან.⁵

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში შეთანხმებულ ქმედებას განმარტავს, როგორც „კოორდინირებულ ქცევას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, გაცნობიერებულად ახდენს კონკურენტული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლებას.“⁶ ამასთან, აუცილებელია, გაიმიჯნოს გარკვეული ქმედება პრაქტიკული თანამშრომლობის გამოხატულებას, თუ დამოუკიდებელ ქმედებას წარმოადგენს.⁷

ასოციაციის გადაწყვეტილების კონცეფცია საკმაოდ ფართოდ განიმარტება და შეიძლება გამოიხატოს როგორც ფორმალურ (მაგ. ბრძანების სახით გამოცემულ, წესდებაში დაფიქსირებულ, რეგულაციის სახით მიღებულ), ისე არაფორმალურ ან სარეკომენდაციო ხასიათის მითითებებში. რეკომენდაცია ჩაითვლება გადაწყვეტილებად, თუ ის მიზნად ისახავს ან სავარაუდოა, რომ გავლენას მოახდენს ეკონომიკურ აგენტთა ქმედებებზე.⁸

კონკურენციის შემზღვეველი მიზანი ან შედეგი - სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით და ასევე შემუშავებული მე-7 მუხლის გზამკვლევის თანახმად, აღნიშნული წინაპირობა ეკონომიკური აგენტის მიერ ჩადენილ ქმედებასა და კონკურენციის შეზღუდვას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად გამოიყენება.⁹ კონკრეტული შეთანხმებები მხოლოდ მაშინ ხვდება შესაბამისი ნორმის მოქმედების სფეროში, თუ მათ აქვთ კონკურენციის შეზღუდვის მიზანი ან შედეგი.¹⁰

ევროკავშირის სამართლის მიხედვით, კონკურენციის შეზღუდვის დასადგენად აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს, რომ ქმედება ჩადენილი იყოს კონკურენციის შეზღუდვის განზრახვით თუ ცოდნით.¹¹ გადამწყვეტია გაუფრთხილებლობითი ბრალის - „არ

⁵ შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022 Case T-41/96, Bayer AG v Commission, Case T-41/96, [2000] ECR II-3383.

⁶ Joined Cases 48, 49, 51-7/69, ICI v Commission (Dyestuffs) [1972] ECR 619, ECLI:EU:C:1972:70. აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31, თარიღი: 09.03.2021; შპს „სიტროენ ჯორჯის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/166, თარიღი: 06/07/2018; საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018.

⁷ ჯონსი, სუფრინი, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: ტექსტი, გადაწყვეტილებები და მასალები, გვ. 710

⁸ Case C-309/99, Wouters v Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten [2002] ECR I-1577, ECLI:EU:C:2002:98; Case C-136/12, Consiglio nazionale dei geologi v Autorità garante della concorrenza e del mercato, [2013] Digital Reports of the Court, ECLI:EU:C:2013:489; აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31. თარიღი: 09.03.2021.

⁹ გზამკვლევი დოკუმენტი „ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, 2017, გვ. 7-8.

¹⁰ „საქართველოს კონკურენციის სამართალი“, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 201;

¹¹ Case 19/77, Miller International Schallplatten GmbH v Commission [1978] ECR 131, ECLI:EU:C:1978:19.

შედეგად, რომ არ სცოდნოდათ“ - სტანდარტის დაკმაყოფილება.¹² მაგალითად, „საავტომობილო საწვავის“ (II) საქმეში, სააგენტო მე-7 მუხლით გათვალისწინებული მიზნის და შედეგის მქონე დარღვევის კატეგორიების დიფერენციაციას ბრალეულობასთან კავშირში განიხილავს და დარღვევის შედეგის „გაუფრთხილებლობით“ დადგომის შესაძლებლობაზე უთითებს.¹³

შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა - კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამოვლენისას, შესაძლებელია განისაზღვროს ის ბაზარი, სადაც შესაბამისი შეთანხმების შედეგად ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვას, დაუშვებლობას ან/და აკრძალვას.¹⁴ თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, შეზღუდვის ეფექტი ცალკე მტკიცებას არ საჭიროებს.¹⁵

1.3 კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სპეციალური ნორმატიული შემადგენლობა - ფასების ფიქსაცია

კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დარღვევა - ფასის ფიქსაცია, სააგენტოს მიერ, მსგავსად ევროკავშირის სამართლისა, განიხილება კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებად. კონკურენციის შეზღუდვის მიზნის მქონე შეთანხმებაში სააგენტო მოიაზრებს ისეთი სახის შეთანხმებას, რომელსაც დამატებით არ ესაჭიროება კონკურენციის შემზღუდველი შედეგის შეფასება. ხსენებული ასევე მითითებულია საავტომობილო საწვავის (II) საქმეზე, რომლის მიხედვით „ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი შეთანხმების არსებობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აწესებს შესყიდვის ან გაყიდვის ფასს, ავტომატურად წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველ შეთანხმებას, იმგვარად, რომ აღარ ხდება მისი კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის შეფასება.“¹⁶ ევროკომისიას საკუთარ პრაქტიკაში სტაბილურად აქვს ჩამოყალიბებული

¹² Case 246/86, BELASCO v Commission [1989] ECR 2117, ECLI:EU:C:1989:301.

¹³ საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 51.

¹⁴ შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით იხ., სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N 37 ბრძანება „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“.

¹⁵ Joined Cases C-501/06 P, GlaxoSmithKline para 55, Beef Industry Development Society and Barry Brothers (Carrigmore Meats), para 16, case C-8/08 T-Mobile Netherland and others {2009} ECR I-4529, paras 29 ff. and others; აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტოში დამკვიდრებულია ერთგვაროვანი პრაქტიკა: შპს „დელტა დეველოპმენტ გრუპის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/266, თარიღი: 05.12.2022; შპს „ჯ და აუდიტ სერვის ჯგუფის“ საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/31, თარიღი: 09.03.2021.

¹⁶ საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/117, თარიღი: 10.05.2018.

პოზიცია, რომლის თანახმად ფასების ფიქსაცია ნებისმიერ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კონკურენციის მთავარ იდეას და მისი შედეგების კვლევა არ მიიჩნევა რეკომენდირებულად.¹⁷

საერთაშორისო პრაქტიკასთან და მიდგომებთან დაკავშირებით, სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ აშშ-ში ეკონომიკური აგენტების შეთანხმება ფასების ფიქსაციასთან დაკავშირებით, ავტომატურ რეჟიმში უკანონოდ მიიჩნევა (*Per Se*). შესაბამისად, აღნიშნული შეთანხმებები არ ექვემდებარებიან შემდგომ გამოკვლევას მიზეზობრიობის კონტექსტში, რაც გულისხმობს როგორც მოცემულ შეთანხმებასა და შესაბამისი ბაზრის კონკურენტული გარემოსთვის ზიანის მიყენებას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის საჭიროების გამორიცხვას, აგრეთვე შეთანხმების კონკურენტული გარემოსათვის თეორიულად სავარაუდო ეკონომიკურად სასარგებლო ეფექტის გამოკვლევის საჭიროების გამორიცხვასაც. ევროკავშირის სამართლის მიხედვით, ფასების ფიქსაცია გაუმართლებელია, როგორც კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მქონე შეთანხმება, რის გამოც ევროკავშირის ფარგლებშიც, მსგავსად ამერიკული მიდგომისა, მოცემულ შეთანხმებას გააჩნია წმინდა ნეგატიური ეფექტი შესაბამისი ბაზრის კონკურენტულ გარემოზე და, აღნიშნულის გათვალისწინებით, შეთანხმებული ქმედებით რეალურად გამოწვეული/პოტენციური შედეგი შეფასებას არ საჭიროებს.

აშშ-ში კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები ეწინააღმდეგება შერმანის აქტის პირველ ნაწილს, რომელიც კრძალავს „ვაჭრობის შეზღუდვას.“¹⁸ აშშ-ს სასამართლოს გადაწყვეტილებით, Standard Oil Co-ის საქმეში, დაწესდა Per Se პრინციპი. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, შესაძლებელია კონკრეტული ქვევის კლასიფიკაცია, რომელიც არსებითად ანტიკონკურენტულია მისი „ბუნებისა და ხასიათის“ გათვალისწინებით. ფასების ფიქსაციასთან დაკავშირებული შეთანხმებები, რომლებიც ასევე ცნობილია როგორც „აშკარად შემზღუდველი („შიშველი“) შეთანხმებები“, მიჩნეულია, რომ იმსახურებს დაუყოვნებლივ აღკვეთას, რადგან მათი შედეგები საზიანოა. აშშ-ში შეთანხმებები, რომლებიც არღვევენ შერმანის აქტის პირველ ნაწილს, უდავოდ ითვლებიან კონკურენციის საწინააღმდეგოდ და გამორიცხულია ასეთი შეთანხმების ანტიკონკურენტული ეფექტის დაბალანსება მისი შესაძლო სარგებლიანობის ფაქტორებით. ამ ტიპის ხელშეკრულება ვერ ქმნის ობიექტურ ეკონომიკურ უპირატესობებს და არ მოაქვს მომხმარებლებისთვის სარგებელი.

1.4. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების მტკიცების სტანდარტი

საკასაციო სასამართლომ საქმეზე Nბს-595-592(კ-17) განმარტა, რომ პარალელური ქმედების არსებობა იმთავითვე არ ადასტურებს ეკონომიკურ აგენტებს შორის მართლსაწინააღმდეგო შეთანხმებას. კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების

¹⁷ *გერცვაძე გ.*, კონკურენციის სამართალი - ევროპული მოდელი საქართველოსთვის ტომი I, თბილისი, 2020, 109.

¹⁸ Sherman Act [Enacted July 2, 1890; 26 Stat. 209] ხელმისაწვდომია:

<https://www.govinfo.gov/content/pkg/COMPS-3055/uslm/COMPS-3055.xml>

დადასტურების მიზნით მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ აგენტებს შორის კომუნიკაციის ფაქტის დადგენას, თუმცა პირდაპირი მტკიცებულებების მოუძიებლობის შემთხვევაში, აუცილებელია სახეზე იყოს არაპირდაპირ მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც სარწმუნოდ დაადასტურებს შეთანხმებული ქმედების არსებობას. სანამ არსებობს ეკონომიკური აგენტების ქმედებების დამაჯერებელი, ალტერნატიული ახსნა-განმარტებები, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების არსებობა დადგენილად ვერ იქნება მიჩნეული (A. Ahlström Osakeyhtiö and others v Commission, 27.09.1988), რადგან ბაზარზე, სადაც კონკურენტების ფასების მონიტორინგი მარტივად არის შესაძლებელი, ეკონომიკურ აგენტს ვერ აეკრძალება თავისი განვითარების სტრატეგია კონკურენტი აგენტების ქცევას შეუსაბამოს.¹⁹

ასევე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არა დაშვებებსა და ვარაუდებს, არამედ წარმოების ფარგლებში მოპოვებულ საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას, დამაჯერებელ დასკვნებს, რადგან სათანადო მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში ეჭვი კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში უნდა გადაწყდეს სავარაუდო სამართალდამრღვევის სასარგებლოდ.²⁰ ამასთანავე, არ გამოირიცხება ორგანოს შესაძლებლობა მის ხელთ არსებული ფრაგმენტული და ცალკეული მტკიცებულებები შეავსოს გარკვეული ვარაუდებით, თუმცა ასეთ პირობებში, კონკურენციის შემზღუდავი ქმედების/შეთანხმების არსებობა შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ სხვა ალტერნატიული ახსნის არარსებობის შემთხვევაში (Aragonesas Industrias y Energia, SAU v. Commission, T-348/08, 25.10.2011).²¹

სააგენტო განმარტავს, რომ ოლიგოპოლიური ტიპის ბაზრებზე ეკონომიკურ აგენტებისთვის არ არის აუცილებელი (სავალდებულო) რაიმე ფორმის კომუნიკაცია, რადგან ასეთ შემთხვევაში, ბაზრის სპეციფიკა იძლევა ფასების ფარული შეთანხმების გარეშე შეწონასწორების საშუალებას, რის გამოც მათ საშუალება ეძლევათ გაატარონ საერთო საბაზრო პოლიტიკა.

აღნიშნული ფენომენი „ოლიგოპოლიის პრობლემის“ სახელით არის ცნობილი, ვინაიდან მას ძირითადად ადგილი აქვს ოლიგოპოლიურ ან ოლიგოპოლიური ტენდენციების მქონე ბაზრებზე და ეკონომიკური შედეგით უტოლდება შეთანხმებას. ოლიგოპოლიურია ბაზარი, სადაც მხოლოდ რამდენიმე მონაწილეა, რომლებიც არ განიცდიან კონკურენტულ წნეხს მესამე პირებისგან (იქნებიან ესენი პოტენციური კონკურენტი აგენტები თუ საბაზრო ძალაუფლების მქონე მყიდველები). ოლიგოპოლიური ბაზრის მახასიათებლებია - ეკონომიკურ აგენტთა მცირე რაოდენობა, პროდუქციის ერთგვაროვნება, ბაზრის გამჭვირვალობა, ბაზარზე შესვლის ბარიერები, ვერტიკალური ინტეგრაციის დონე, ხარჯების სტრუქტურის ერთგვაროვნება და სხვა. არსებობს ასევე ბაზრები, რომლებიც სტრუქტურულად არ წარმოადგენს წმინდა ოლიგოპოლიურ ბაზარს, თუმცა ახასიათებს ოლიგოპოლიური ბაზრის ტენდენციები. ასეთია მაგალითად საავტომობილო საწვავის

¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-595-592(კ-17).

²⁰ Eturas" UAB and Others v Lietuvos Respublikos konkurencijos taryba, C-74/14, 21.01.2016

²¹ იქვე.

ბაზარი, რომლისთვისაც დამახასიათებელია: ა) ბაზრის გამჭვირვალობა, სადაც კონკურენტის ფასებზე მონიტორინგი მარტივად არის შესაძლებელი; ბ) პროდუქციის მეტ-ნაკლები ჰომოგენურობა; გ) ფასწარმოქმნაზე ერთნაირი ფაქტორების გავლენა და ა.შ.²²

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ განსაზღვრულია კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების ფორმირებისათვის შესაფერისი ბაზრის რიგი მახასიათებლები:²³

- პროდუქტის (მომსახურების) ერთგვაროვნება და სიმარტივე (ხარჯების ერთნაირი სტრუქტურა);
- ბაზრის მაღალი კონცენტრაცია (კონკურენტების მცირე რაოდენობა);
- ბაზარზე შესვლის ბარიერები;
- ბაზარზე არსებული მოთხოვნა;
- კოორდინაციის მექანიზმების არსებობა.

სააგენტოს პრაქტიკის შესაბამისად, ყოველდღიური საცალო ფასის განსაზღვრაში და შესაბამისად არსებული პარალელიზმის ბუნების დადგენაში გადაწყვეტ ფაქტორებად დასახელდა: (i) Platts-ის ფასი, როგორც თვითღირებულების ძირითადი განმსაზღვრელი; (ii) ლარის გაცვლითი კურსი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიები პროდუქციას დოლარში შეიძენდნენ; (iii) კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ქცევა და ბაზრის მოცემულობა (პროდუქტის ერთგვაროვნება, მსხვილ ეკონომიკურ აგენტთა მცირე რაოდენობა, გამჭვირვალობა (მათ შორის კონკურენტთა ფასებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სიმარტივე), მსგავსი შიდა დანახარჯების არსებობა, გადასახადების ერთიანი სისტემა).²⁴

სააგენტოს მიერ აღიარებულია, რომ (კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით) კონკურენტი ეკონომიკურ აგენტთა ქცევაზე დაკვირვების საფუძველზე საკუთარი საფასო ქცევის ცვლილება ბაზრის ბუნებრივი მოცემულობაა. კერძოდ, სააგენტოს პრაქტიკის მიხედვით - „ფასთა ცვლილება არის მყისიერად ხელმისაწვდომი თითოეული მოთამაშისათვის (საცალო ფასის ამსახველი დაფის საშუალებით), ბუნებრივია, რომ ეკონომიკური აგენტები ცდილობენ გონივრულად მიუსადაგონ საკუთარი ქცევა ბაზარზე არსებულ ვითარებას.“²⁵

რაც შეეხება უცხოურ პრაქტიკას, კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებულნი ქმედება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განმარტებულია როგორც ქმედება, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, მაინც გამიზნულად ახდენს კონკურენციული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით

²² Petit, Nicolas (2012), The Oligopoly Problem in EU Competition Law, (Research Handbook in European Competition Law, I. Liannos and D. Geradin eds., Edward Elgar, September 2013. ასევე იხ. „საქართველოს კონკურენციის სამართალი“, ნიუ ვიჯენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019. გვ. 262.

²³ OECD Competition Committee Roundtable - Prosecuting Cartels without Direct Evidence 2006, ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/daf/competition/prosecutionandlawenforcement/37391162.pdf>

²⁴ საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 70.

²⁵ იქვე.

ჩანაცვლებას.²⁶ შესაბამისად, მთავარია დადგინდეს, გარკვეული ქმედება პრაქტიკული თანამშრომლობის გამოხატულებაა, თუ ბაზარზე დამოუკიდებელ ქმედებას წარმოადგენს.²⁷ ამასთანავე, ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ შესაძლოა სახეზე იყოს „ერთიანი შეთანხმება“, რომლის მხარეებს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროთ მთლიანად შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს კონკურენციის შემზღვეველ მხოლოდ ცალკეულ ქმედებებში.

სააგენტო განმარტავს, რომ თანამშრომლობის პირდაპირი მტკიცებულების არარსებობის პირობებში, პარალელურ ქმედებას შეიძლება გააჩნდეს გარემოებრივი მტკიცებულების როლი, როდესაც განსახილველ ქმედებას, კონკრეტულ ბაზარზე წესით ადგილი არ უნდა ჰქონოდა და ამასთან ერთად, არ უნდა არსებობდეს შედეგის ალტერნატიული დამაჯერებელი ახსნა. ამასთანავე, პარალელური ქმედება თავისთავად არ უტოლდება შეთანხმებულ ქმედებას, თუმცა წარმოადგენს ამ უკანასკნელის მყარ მტკიცებულებას, თუკი პარალელურ ქმედებას მივყავართ ისეთ შედეგამდე, რომელიც არ შეესაბამება ბაზრის ნორმალურ მდგომარეობას.²⁸ ევროკავშირში მოქმედებს დარღვევის არსებობის ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი (balance of probabilities), თუმცა იმ დათქმით, რომ ნებისმიერ ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება უნდა გადაწყდეს სავარაუდო დამრღვევის ეკონომიკური აგენტის სასარგებლოდ (in dubio pro reo).²⁹

შეთანხმებისა და შეთანხმებული ქმედების არსებობა შესაძლოა დასტურდებოდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობით. პირდაპირი მტკიცებულება შეიძლება იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი: მონაწილე ეკონომიკური აგენტების ზეპირი განცხადებები (მათ შორის საჯარო); შეთანხმებაში მონაწილეობის ზეპირი აღიარება; სატელეფონო საუბრების ჩანაწერები; წერილობითი შეთანხმება; მიმოწერა ელექტრონული ფოსტით; საერთო სტრატეგიების აღმწერი დოკუმენტების, შეხვედრის ოქმები და ა.შ.³⁰ ლიტერატურაში³¹ და ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკით³² აღიარებულია, რომ ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილია კონკურენციის შემზღვევა შეთანხმებების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, შესაბამის უწყებას ყოველთვის არ ექნება შეთანხმების არსებობის დამადასტურებელი პირდაპირი დოკუმენტური მტკიცებულებები და შესაბამისად, რიგ შემთხვევებში მოუწევს მისი მტკიცება არაპირდაპირი მტკიცებულებებით. სამართლებრივი და ტექნოლოგიური განვითარებების პარალელურად, იხვეწება შეთანხმების ფორმირებისა და მასში მონაწილეობის ფორმებიც.³³

პრაქტიკაში გაზიარებულია მიდგომა, რომლის მიხედვითაც, არაპირდაპირი მტკიცებულების მტკიცებულებითი ძალა არ ფასდება დამოუკიდებლად, არამედ ეფუძნება

²⁶ ICI v Commission (Dyestuffs) [1972] ECR 619, ECLI:EU:C:1972:70.

²⁷ ჯონსი, სუფრინი, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი: ტექსტი, გადაწყვეტილებები და მასალები, გვ. 710

²⁸ Case 48/69, ICI v Commission [1972] ECR 619, აბზ. 66.

²⁹ Case T-442/08, International Confederation of Societies of Authors and Composers (CISAC) v Commission, [2013], აბზ. 91

³⁰ „საქართველოს კონკურენციის სამართალი“, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 306;

³¹ Richard Whish, David Bailey, Competition Law, 7th ed, Oxford University Press, 2012; გვ. 514.

³² Case T-348/08, Aragonésas Industrias y Energía, SAU v Commission, 25 October 2011.

³³ Whish, Richard and Bailey, David, “Competition Law”, 9th ed., Oxford University Press, 2018, გვ. 526

მტკიცებულებათა ერთობლიობით შექმნილი სურათის თანმიმდევრულობასა და დამაჯერებლობას.³⁴ შესაბამისად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „კანონსაწინააღმდეგო შეთანხმების ან პრაქტიკის არსებობა შეიძლება გამომდინარეობდეს არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, რომელიც ისეთ დამთხვევებსა და ნიშნებს შეიცავს, რომლებსაც სხვა ალტერნატიული გონივრული ახსნა, გარდა შეთანხმებული ქმედებისა, ვერ ექნება.“³⁵

ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებები, იყოფა ბაზრის სტრუქტურულ მაჩვენებლებად და ეკონომიკურ აგენტთა ქცევებად.³⁶ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, „მიუხედავად იმისა, რომ პარალელური ქმედება თავისთავად არ იგივდება შეთანხმებულ ქმედებასთან, ის მაინც შეიძლება წარმოადგენდეს ამგვარი პრაქტიკის არსებობის მყარ მტკიცებულებას, თუ ის კონკურენციის ისეთ პირობებს ქმნის ბაზარზე, რომელიც არ შეესაბამება ბაზრის ჩვეულებრივ პირობებს, პროდუქტის ბუნების, ეკონომიკური აგენტების ზომის, რაოდენობის, და შესაბამისი ბაზრის მოცულობის გათვალისწინებით.³⁷ პრაქტიკის შესაბამისად სააგენტოს განვითარებული აქვს ნეგატიური ფორმით მტკიცების სტანდარტი - მტკიცება „სხვანაირად შეუძლებელია“ ფორმულით, რაც გულისხმობს ყველა სხვა შესაძლებლობის გამორიცხვას ფაქტების მეშვეობით და დარჩენილი ერთადერთი შესაძლებლობის დადასტურებას დამდგარი შედეგიდან გამომდინარე.³⁸ **ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებები (ე.წ. „პლუს ფაქტორები“), განიხილება არა როგორც კომუნიკაციის ჩამნაცვლებელი გარემოებები, არამედ ისეთი ფაქტორები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ქცევის პარალელიზმი უფრო მაღალი ალბათობით შეთანხმებულ ქმედებას ეფუძნება, ვიდრე დამოუკიდებელ, გაცნობიერებულ (რაციონალურ) ეკონომიკურ ქცევას.³⁹**

ევროკავშირში დამკვიდრებული მიდგომით, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე მუხლის (კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულებები) დადასტურება შესაძლებელია არაპირდაპირი მტკიცებულებით, განსაკუთრებით შეთანხმებული ქმედების შემთხვევაში, როდესაც მიუწვდომელია პირდაპირი მტკიცებულებები.⁴⁰ აღნიშნული აზრი რამდენიმე საქმეზე დაადასტურა მართლმსაჯულების სასამართლომაც. მაგ. *სიმენსის* საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები აკრძალულია და შესაბამისად მათი იმპლემენტაცია ხდება ფარულად, კომისიას ვერ მოვთხოვთ ისეთი ტიპის ზუსტი მტკიცებულებების წარმოდგენას, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა ეკონომიკურ აგენტებს შორის კონტაქტსა და მის შინაარსზე. ის ფრაგმენტული და სპორადული მტკიცებულებები, რომელიც კომისიისთვის

³⁴ OECD Roundtable on Prosecuting Cartels without direct evidence, DAF/COMP/GF(2006)7; ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/daf/competition/prosecutionandlawenforcement/37391162.pdf>

³⁵ Case T-44/02 OP Dresden Bank v Commission [2006] ECR II-3567, აზ. 65.

³⁶ OECD Roundtable on Prosecuting Cartels without direct evidence, DAF/COMP/GF(2006)7; ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/daf/competition/prosecutionandlawenforcement/37391162.pdf> გვ. 10.

³⁷ „საქართველოს კონკურენციის სამართალი“, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, გვ. 309; ასევე, Case 48/69, ICI v Commission [1972] ECR 619, აზ. 66.

³⁸ საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018, გვ. 51.

³⁹ William E. Kovacic, Robert C. Marshall, Leslie M. Marx, and Halbert L. White, Plus Factors and Agreement in Antitrust Law, Michigan Law Review, December 2011, 393.

⁴⁰ Heike Schweitzer, Judicial review in EU competition law, (Research Handbook on European Competition Law), გვ. 502.

ხელმისაწვდომია, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა შეივსოს დასკვნებით, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი გარემოებების რეკონსტრუქციას. შესაბამისად, კონკურენციის საწინააღმდეგო პრაქტიკის ან შეთანხმების არსებობა შესაძლებელია დადასტურდეს სხვადასხვა შემთხვევითობებითა და მაჩვენებლებით, რომლებიც ერთად, სხვა გონივრული ახსნის არ არსებობის შემთხვევაში, შექმნიან კონკურენციის წესების დარღვევის მტკიცებულებას⁴¹. არსებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ევროკავშირის კონკურენციის სამართლის დარღვევის დადგენა (*Article 101 TFEU*) შესაძლებელია არა მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებებით, არამედ სხვადასხვა ინდიკატორების საშუალებით, იმ პირობით, რომ ისინი ობიექტური და თანმიმდევრული უნდა იყოს. უმრავლეს შემთხვევაში შეთანხმებული ქმედების ან უშუალოდ შეთანხმების არსებობა უნდა დავასკვნათ რიგი დამთხვევებიდან და ნიშნებიდან, რომლებიც ერთად აღებული, სხვა ალტერნატიული დამაჯერებელი ახსნის არარსებობის პირობებში, წარმოადგენს კონკურენციის წესების დარღვევის მტკიცებულებას.⁴²

აშშ-ში მოსამართლეები, რომლებიც განიხილავენ ფასების ფიქსირების შესახებ საქმეებს, აღნიშნავენ, რომ „არაპირდაპირი მტკიცებულებები კონკურენციის სამართლის სასიცოცხლო წყაროს წარმოადგენენ“, რადგან პირდაპირი მტკიცებულება იშვიათადაა ხელმისაწვდომი ამგვარი ფაქტების დასადასტურებლად.⁴³

როგორც ამერიკული, ასევე ევროპული მიდგომა ფასების ფიქსაციის გამოვლენის პროცესში დიდწილად ეყრდნობა გონივრულ დაშვებებს. აგრეთვე, ამერიკული წესი *Per Se* უკანონობის თაობაზე, პრაქტიკულ დონეზე არ განსხვავდება ევროპული მიდგომისგან.

აშშ-ში დამკვიდრებული მიდგომის თანახმად, უნდა დამტკიცდეს ბაზარზე პარალელური ქმედება და შემდეგ „პლუს ფაქტორები.“ „პლუს ფაქტორები“ წარმოადგენენ მტკიცებულებებს, რომელიც ადასტურებს, რომ პარალელური ქცევა წარმოადგენდა შეთანხმების და არა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შედეგს.⁴⁴ შესაბამისად, კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების ირიბი მტკიცებულებებით დასადასტურებლად საჭიროა პირველ რიგში პარალელური ქცევის დადასტურება, ხოლო შემდეგ „პლუს ფაქტორების“ არსებობა.⁴⁵ აღნიშნული მიდგომის საფუძველზე, წამყვან სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბდა „პლუს ფაქტორებით“ ასეთი შეთანხმების დამტკიცების პრინციპი, სადაც ერთ-ერთ მთავარ „პლუს ფაქტორად“ მიჩნეულია კომუნიკაციის ან

⁴¹ იხ. Case T-110/07, Siemens AG [2011] ECR-477, 48-ე აბზაცი:

<https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=80216&doclang=EN>

ასევე მსგავსი მსჯელობა იხ. შემდეგ გადაწყვეტილებებში: *Aalborg Portland and Others v Commission*, n. 11, paras 55–57; *C-403/04 P and C-404/04 P, Sumitomo Metal Industries and Nippon Steel v Commission*, EU:C:2007:52, para. 51; *T-54/03, Lafarge v Commission*, EU:T:2008:255, para. 452; *T-110/07, Solvay Solexis v Commission*, EU:T:2011:280, para. 67.

⁴² იხ. Case C-211/22, *Super Bock Bebidas*, Judgment - 29/06/2023, 56-ე აბზაცი.

⁴³ *United States v. Falstaff Brewing Corp.*, 410 U.S. 526, 534 n.13 (1973)).

⁴⁴ Christopher R. Leslie, *The Decline and Fall of Circumstantial Evidence in Antitrust Law*, *American University Law Review*, Volume 69 Issue 6, 2020 წ. გვ. 1718.

⁴⁵ იქვე. გვ. 1724.

კომუნიკაციის შესაძლებლობის მტკიცებულებები.⁴⁶ კომუნიკაციას შესაძლებელია ჰქონდეს ბევრი ფორმა, მათ შორის შეხვედრები, სატელეფონო ზარები, წერილები, ტექსტური შეტყობინებები და ელ-ფოსტით განხორციელებული კომუნიკაცია. კომუნიკაციის ფაქტის უბრალო დადასტურებითაც კი შესაძლებელია დავასკვნათ შეთანხმების არსებობის შესახებ [ეკონომიკურ მტკიცებულებასთან ერთობლიობაში], იმის გაგების გარეშე, თუ რა იქნა განხილული კომუნიკაციის დროს.⁴⁷

შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციის ფაქტი წარმოადგენს მყარად დამკვიდრებულ „პლუს ფაქტორს“ აშშ-ს იურისდიქციაში. ყველა ფედერალური საოლქო სასამართლო თანხმდება, რომ კონკურენტებს შორის კომუნიკაციის ფაქტის არსებობა წარმოადგენს ფასის ფიქსირების შესახებ შეთანხმების დადასტურებისათვის უმნიშვნელოვანეს „პლუს ფაქტორს.“⁴⁸ თუმცა აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის ფაქტორი უნდა შეფასდეს სხვა არაპირდაპირ-ეკონომიკურ მტკიცებულებასთან ერთად და უნდა დადასტურდეს მათ შორის რაიმე სახის კორელაცია.

აღსანიშნავია, რომ ისტორიულად ეკონომიკურ აგენტებს შორის კომუნიკაცია ან კომუნიკაციის შესაძლებლობა ფასის ზრდამდე წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს „პლუს ფაქტორს“, რომელსაც სასამართლოები ეყრდნობოდნენ პარალელური ფასწარმოქმნის შესახებ შეთანხმების გამოვლენისას. მაგალითად, თუ კომპანიის წარმომადგენლები ერთ დღეს სადილზე ერთმანეთს შეხვდნენ და მეორე დღეს ყველამ ფასი აწია, სასამართლოებმა შესაძლოა დაასკვნან, რომ კომპანიები შეთანხმდნენ უკანონო ფასის ფიქსირებაზე.⁴⁹

როგორც უკვე აღინიშნა, მხარეებს შორის კომუნიკაციების ფაქტი ან **კომუნიკაციის შესაძლებლობა** წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან „პლუს ფაქტორს“ აშშ-ს იურისდიქციაში. სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა პრეცედენტული გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩამოყალიბდა პარალელური ფასწარმოქმნის დროს შეთანხმების დასადასტურებლად სავარაუდო „პლუს ფაქტორების“ ჩამონათვალი.⁵⁰ ხსენებული ფაქტორების განხილვა შესაძლებელია შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) ფაქტორები, რომლებითაც შეიძლება შეთანხმება განვასხვავოთ უბრალო პარალელური ფასწარმოქმნისგან:

- 1) კომუნიკაცია ან კომუნიკაციის შესაძლებლობა (მაგ. შეხვედრები, სავაჭრო ასოციაციის კონფერენციები და სხვადასხვა ტიპის კონტაქტი ან კონტაქტის შესაძლებლობა);

⁴⁶ დეტალურად იხ. Gavil, Kovacic, Baker, Wright. ANTITRUST LAW IN PERSPECTIVE CASES, CONCEPTS AND PROBLEMS IN COMPETITION POLICY. Fourth Edition. American Casebook Series, West Academic Publishing, 2022 წ. გვ. 370-371.

⁴⁷ იქვე. გვ.372

⁴⁸ იხ. Christopher R. Leslie, The Decline and Fall of Circumstantial Evidence in Antitrust Law. გვ. 1734.

⁴⁹ Gavil, Kovacic, Baker, Wright. ANTITRUST LAW IN PERSPECTIVE CASES, CONCEPTS AND PROBLEMS IN COMPETITION POLICY. გვ. 363.

⁵⁰ იქვე. გვ. 370, ცხრილი 3-3.

- 2) ისეთი ტიპის ქცევა, რომლის ახსნაც შეუძლებელია უბრალო პარალელური ქცევით (მაგ. ქცევა, რომელიც ირაციონალურია, თუ შეთანხმება არ იარსებებდა);
- 3) ქცევა, რომელსაც არ აქვს ცხადი და ეფექტური განმარტება (მაგ. შედარებითი ღირებულების უპირატესობის საშუალებით ფასის არ დაწესება (ინგ. Failure to price based on relative cost advantage)).

ბ) ფაქტორები, რომლებიც უთითებს ინდუსტრიის კოორდინაციისკენ მიდრეკილებაზე:

- 1) ინდუსტრიის მახასიათებლები (მაგ. ჰომოგენური პროდუქტი, შესვლის ბარიერები, გამჭვირვალე ფასები და ა.შ.);
- 2) კოორდინაციის ისტორია (მტკიცებულება, რომ წარსულში არსებობდა შეთანხმებული ქმედება);
- 3) კოლექტიური ქცევის რაციონალური მოტივი (მაგ. არაელასტიური მოთხოვნა, შესვლის ბარიერები);
- 4) საბაზრო ძალაუფლების გამოყენების მიმანიშნებელი ფაქტორები (მაგ. მდგრადი და არსებითი მომგებიანობა, არაკონკურენტული ფასწარმოქმნა, ფასის ზრდა, როდესაც ხარჯები მცირდება, საბაზრო წილების სტაბილურობა დროთა განმავლობაში);
- 5) დამხმარე ფაქტორები (მაგ. ფასის ზრდის წინასწარ დაანონსება);
- 6) ისეთი ქმედებები, რომლებიც, თუ კოლექტიურად არ განხორციელდა და განხორციელდა ინდივიდუალურად - ეწინააღმდეგება მონაწილის ინტერესებს (მაგ. ფასების სტაბილურობა მიუხედავად მოთხოვნის ან მიწოდების ცვლილებებისა).

დამატებით, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს სასამართლო განმარტებებზე, სადაც აქცენტი კეთდება კომუნიკაციას ან კომუნიკაციის შესაძლებლობაზე, როგორც „პლუს ფაქტორზე“:

საქმეზე *LLC v. Black & Decker (U.S.) Inc., 801 F.3d 412, 432 (4th Cir. 2015 წ.)*,⁵¹ მოსარჩელემ წარმოადგინა მოპასუხეების კომუნიკაციის არსებობის დამადასტურებელი ფაქტი, სატელეფონო ზარებისა და შეხვედრების შესახებ მტკიცებულებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ კომუნიკაციებისა და შეხვედრების შესახებ მტკიცებულებებს შეუძლია მხარი დაუჭიროს შეთანხმების არსებობის დადასტურების შესახებ დასკვნის გაკეთებას, რადგან ასეთი შემთხვევები აჩენს შეთანხმების ფორმებსა და შესაძლებლობებს. სასამართლო არ იზიარებს იმ პოზიციას, რომლის მიხედვით „პლუს ფაქტორები“ ინდივიდუალურ კონტექსტში უნდა იქნეს გაანალიზებული და შეფასებული. კერძოდ, სასამართლომ გამოსაკვლევი შემთხვევა მთლიანობაში უნდა განიხილოს და სავარაუდო ფაქტების ერთობლიობის გათვალისწინებით დაადგინოს სამართალდარღვევის არსებობა. **შესაბამისად, მტკიცების სტანდარტის**

⁵¹ *LLC v. Black & Decker (U.S.) Inc., 801 F.3d 412 (4th Cir. 2015)*, ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/sd3-llc-v-black-decker-us-inc-1>

თვალსაზრისით სასამართლო არ იკვლევს იმ მოცემულობას, ცალკე აღებული ინდივიდუალური გარემოების (სხვა გარემოებებისგან იზოლირებულად განხილულის) საფუძველზე დგინდება თუ არა სამართალდარღვევის შემადგენლობა. თუ გამოსაკვლევი გარემოება შეფასებული იქნება იზოლირებულ კონტექსტში, მაშინ ის ნეიტრალურ მნიშვნელობას შეიძენს, ხოლო იგივე გარემოება, რომელიც სხვა გარემოებრივ (არაპირდაპირ) მტკიცებულებებთან ერთად განიხილება, განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება გახდეს.

საქმეზე *Hyland v. HomeServices of Am., Inc.*, 771 F.3d 310, 320 (6th Cir. 2014 წ)⁵² სასამართლომ რამდენიმე პრეცედენტზე დაყრდნობით⁵³ კვლავ აღნიშნა „პლუს ფაქტორების“ მნიშვნელობა და დაასკვნა, რომ არაპირდაპირი მტკიცებულებებით შეთანხმებული ქმედების გამოსავლენად შემდგომი „პლუს ფაქტორები“ უნდა იქნას დადგენილი: 1) მოპასუხეების (ცალ-ცალკე) ქმედების წინააღმდეგობა მათსავე ეკონომიკურ ინტერესებთან; 2) პროდუქტის ჰომოგენურობა; 3) მოპასუხეების ქმედების ერთგვაროვნება; 4) მოპასუხეებმა გაცვალეს ან შეეძლოთ გაცვალათ ინფორმაცია სავარაუდო შეთქმულების შესახებ და 5) საერთო მოტივის არსებობა შეთანხმებისთვის ან **მხარეებს შორის ხშირი კომუნიკაციის არსებობა**.

საქმეზე *Ross v. CitiGroup, Inc.*, 14-1610 (L), 5 (2d Cir. Nov. 24, 2015 წ.)⁵⁴ სასამართლომ, მას შემდეგ რაც დაასკვნა, რომ არსებობდა „პარალელური ქმედება“, მოახდინა რამდენიმე „პლუს ფაქტორის“ ანალიზი, მათ შორის **მონაწილეებს შორის კომუნიკაციის სიხშირისა და მისი ბუნების შესახებ**.

საქმეზე *Blomkest Fertilizer, Inc. v. Potash Corp. of Sask.*, 203 F.3d 1028, 1033 (8th Cir. 2000 წ)⁵⁵ სადაც მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი იყო სამი „პლუს ფაქტორი“ პარალელურ ქცევასთან ერთად და საიდანაც ერთ-ერთს წარმოადგენდა მოპასუხეებს შორის ხშირი კომუნიკაციის ფაქტები, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ კომუნიკაციის ხშირი შემთხვევები მართლაც მნიშვნელოვანი „პლუს ფაქტორია“, თუმცა მისი შეფასება უნდა მოხდეს ეკონომიკურ მტკიცებულებასთან ერთად.

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ მოცემულობაზე, რომლის მიხედვით კოორდინირებული ქმედების არსებობა მათი შენიღბული ხასიათის გამო უნდა დამტკიცდეს გარკვეული ოდენობის დამთხვევებითა და ნიშნებით, რომლებიც, ერთად აღებული, შეიძლება ადასტურებდნენ კონკურენციის წესების დარღვევას, ალტერნატიული ახსნის არარსებობის პირობებში.⁵⁶

⁵² *Hyland v. Homeservices of Am., Inc.*, 771 F.3d 310 (6th Cir. 2014), ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/hyland-v-homeservices-of-am-inc>

⁵³ იხ. შემდეგი საქმეები: *Re/Max Int'l*, 173 F.3d at 1009 ; *Wallace v. Bank of Bartlett*, 55 F.3d 1166, 1168 (6th Cir.1995)

⁵⁴ *Ross v. CitiGroup, Inc.*, 14-1610 (L) (2d Cir. Nov. 24, 2015), ხელმისაწვდომია: <https://casetext.com/case/ross-v-citigroup-inc-1>

⁵⁵ *Blomkest Fertilizer, Inc. v. Potash Corp. of Saskatchewan, Inc.*, 203 F.3d 1028 (2000), ხელმისაწვდომია: <https://cite.case.law/f3d/203/1028/>

⁵⁶ სასამართლო კონტროლი კონკურენციის სამართლის სფეროში - ევროკავშირის პრაქტიკა, გზამკვლევი, თბილისი 2019. გვ.24. ასევე იხ. *Joined cases C-204/00 P, C-205/00 P C-211/00 P, C-213/00 P, C-217/00 P and C-219/00 P. Aalborg*

2. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

2.1. პროდუქციული საზღვრები

სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე წარმოებული მოკვლევის ფარგლებში, შესაბამისი ბაზრის საზღვრების დეტალური და ზუსტი დადგენა არ არის აუცილებელი, რადგან ზემოთხსენებულ საკანონმდებლო შემადგენლობებს გააჩნიათ კონკურენციის შემზღვეველი მიზანი, რაც საკმარისი საფუძველია განსახილველი სავარაუდო ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამოსავლენად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის პრაქტიკაში, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ნაკლებად მნიშვნელოვან როლს თამაშობს TFEU-ს 101-ე მუხლის საფუძველზე წარმოებული მოკვლევის მიზნებისათვის. ასეთ შემთხვევებში, რადგანაც სადავო ქცევის მიზანია კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა, ევროკავშირის სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, კომისიის მიერ შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენა არ არის აუცილებელი.⁵⁷

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

ავტოგასამართ სადგურებზე ძირითადად ხელმისაწვდომია 3 სახეობის ბენზინი და 2 სახეობის დიზელი. ამასთან, დიზელი და ბენზინის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია პრაქტიკულად ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურზე.

Portland and Others v Commission, , paras 55–57; C-403/04 P and C-404/04 P, Sumitomo Metal Industries and Nippon Steel v Commission, EU:C:2007:52, para. 51.

⁵⁷ COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT EVALUATION of the Commission Notice on the definition of relevant market for the purposes of Community competition law of 9 December 1997, Brussels, 12.7.2021, ხელმისაწვდომია: https://competition-policy.ec.europa.eu/system/files/2021-07/evaluation_market-definition-notice_en.pdf, ასევე იხ. *Judgment of 28 June 2016, Telefónica, SA v Commission, T-216/13, EU:T:2016:369, პარაგრაფი 214, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:62013TJ0216>.*

სააგენტოს განხორციელებული აქვს მოკვლევა საავტომობილო საწვავის ბაზარზე.⁵⁸ აღნიშნული წარმოების ფარგლებში, ბენზინის და დიზელის ტიპის საწვავი განხილულია როგორც ერთი ბაზარი, რასაც განპირობებს მიმწოდებლის მხრიდან პროდუქტების ურთიერთაჩანაცვლებადობა. კერძოდ, ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, მიმწოდებელს მარტივად შეუძლია ერთი სახეობის საწვავის მიწოდებიდან გადაერთოს სხვა სახეობის საწვავის მიწოდებაზე, რისთვისაც შესაძლებელია იდენტური გადამზიდი ავტომობილის, რეზერვუარისა თუ საწვავის მარიგებელი სვეტის გამოყენება და რაც არ საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯს. ლოგისტიკური სიმარტივის მიღმა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ფასწარმოქმნაზე მოქმედებს იდენტური ფაქტორები (ნედლი ნავთობის ფასი, პლატის ფასი, ლარის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებით). ბენზინი და დიზელი მიწოდების თვალსაზრისით ჩანაცვლებადად მიიჩნია ევროკომისიამაც და ისინი ერთიან ბაზარს მიაკუთვნა რიგ გადაწყვეტილებებში.⁵⁹ მომხმარებლის მხრიდან, ბენზინის ყველა სახეობა ურთიერთაჩანაცვლებელია, ისევე როგორც დიზელის ყველა სახეობა. თუმცა, რასაკვირველია, ბენზინი და დიზელი თვისობრივად არ წარმოადგენს მომხმარებლის მხრიდან ურთიერთაჩანაცვლებელ პროდუქტებს, რადგან ბენზინზე მომუშავე ავტომობილის გამართვა შეუძლებელია დიზელის ტიპის საწვავით.

მოცემულ საქმეში, მოკვლევის მიზნებისათვის და სააგენტოს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ბენზინი და დიზელი განიხილება, როგორც ერთიანი პროდუქციული ბაზარი. აღნიშნული განპირობებულია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: მიმწოდებლის მხრიდან ბენზინიდან დიზელზე და პირიქით გადასვლის სიმარტივე (არსებითი დანახარჯების/საწარმოო ცვლილებების საჭიროების არარსებობა); აგს-ებზე განსახილველი ორივე პროდუქტის რეალიზაციის ფორმის იდენტურობა; ყველა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან ზემოთ ხსენებული ორივე პროდუქტის რეალიზაცია და შესაბამისად მომხმარებლისთვის ორივე ტიპის საწვავის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი სახის ავტოგასამართ სადგურზე.

2.2. გეოგრაფიული საზღვრები

საავტომობილო საწვავის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. გვხვდება ქსელური ავტოგასამართი სადგურები და ქსელური ფასწარმოქმნა. ამასთან, ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების ხარჯიც მინიმალურია (1 ლიტრზე 5 თეთრამდე). შესაბამისად, **სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს - მთელი ქვეყნის ტერიტორიას.**

⁵⁸ <https://admin.competition.ge/uploads/a87be650e7d64307afda293742f7ad25.pdf> - საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2018 წლის 10 მაისის N04/117 ბრძანება.

⁵⁹ ევროკომისიის 29.09.1999 გადაწყვეტილება M.1383 Exxon/Mobil, აბზაცი 436; ევროკომისიის 13.09.2004 გადაწყვეტილება M.3516 Repsol YPF/Shell Portugal, აბზაცი 8; ევროკომისიის 13.10.2008 გადაწყვეტილება M.5005 Galp Energia/ExxonMobil Iberia, აბზაცი 12.

2.3. დროითი ჩარჩო


პროდუქციის მოთხოვნა/მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით. აქტიური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს იზრდება მოთხოვნა დიზელის ტიპის საწვავზე, თუმცა აღნიშნული არ ცვლის საერთო სურათს. შესაბამისად, **ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.**

3. ბაზრის იმპორტის დონე


2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, ქვეყანაში 48 ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელდა 941 133 ათასი ლიტრი ბენზინისა და დიზელის იმპორტი. ბაზრის იმპორტის დონის კონცენტრაციის (HHI) ინდექსმა შეადგინა 1046 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია.⁶⁰ ხუთი ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ეკონომიკური აგენტის ჯამური წილი საერთო იმპორტში შეადგენს 64.6%-ს. აღნიშნული მაჩვენებლები მცირედით შეცვლილია 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კერძოდ: 2021 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში - 947 237 ათასი ლიტრის ბენზინის და დიზელის იმპორტი განახორციელა 31-მა ეკონომიკურმა აგენტმა. HHI ინდექსმა შეადგინა 1351 ერთეული, ხოლო ხუთი ყველაზე მსხვილი კომპანიის ჯამურმა წილმა შეადგინა - 75%.⁶¹

⁶⁰ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე, სასაქონლო ბაზრები კონცენტრაციის დონეების მიხედვით ფასდება - დაბალკონცენტრირებული, ზომიერად კონცენტრირებულ და მაღალკონცენტრირებულ სასაქონლო ბაზრებად: ა) დაბალკონცენტრირებული - $HHI < 1250$; ბ) ზომიერად კონცენტრირებული - $1250 < HHI < 2250$; გ) მაღალკონცენტრირებული - $HHI > 2250$.

⁶¹ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2021 წლის 23 ივლისის წერილი (რეგ. 26 ივლისი, N01/1197); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 28 იანვრის წერილი (რეგ. 28 იანვარი, N01/169); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572).



„გრაფიკი 1“-ით წარმოდგენილია მონაცემები ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილის შესახებ ბაზრის იმპორტის დონეზე საქონლის ქვეყანაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პირობებში, თუმცა მონაცემები იცვლება საბაზრო წილის ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვარზე შემოტანის პრინციპით დათვლის შემთხვევაში.⁶²




⁶² იქვე.

მნიშვნელოვანი სხვაობა წინამდებარე გრაფიკების დონეზე (გრაფიკი 1 და გრაფიკი 2) ფიქსირდება შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მონაცემებში - ეკონომიკურმა აგენტმა 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვარზე განხორციელა [redacted]-ით მეტი საწვავის შემოტანა (ბაზრის სრულ მოცულობასთან მიმართებით) ამავე პერიოდში მის მიერ განხორციელებულ იმპორტთან შედარებით.

2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის საერთო მოცულობამ შეადგინა ბაზრის 45.7% - 429 970 ათასი ლიტრი;⁶³

გრაფიკი 3




მსხვილ კომპანიებს შორის საწვავის იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან არ უფიქსირდება მხოლოდ შპს „რომპეტროლ საქართველოს.“ შესაბამისად, 4 მსხვილი კომპანიის საერთო წილმა რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებულ საწვავში შეადგინა 55%. ყველაზე მსხვილ იმპორტიორ კომპანიას წარმოადგენდა [redacted] - წილი საერთო იმპორტში [redacted]%, ხოლო 4 კომპანიის დონეზე ჯამურად - [redacted]%. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიამ“, გარდა საკუთარი მიზნებისთვის განხორციელებული დამოუკიდებელი იმპორტისა - უშუალოდ, 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიის - [redacted] და საბაჟო საწყობის მეშვეობით [redacted] შესაძლებლობა მისცა შეეძინა [redacted] ათასი ლიტრი რუსული საწვავი.

⁶³ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2021 წლის 23 ივლისის წერილი (რეგ. 26 ივლისი, N01/1197); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 28 იანვრის წერილი (რეგ. 28 იანვარი, N01/169); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572).

რუსეთის ფედერაციიდან იმპორტის შესამჩნევი ზრდა ფიქსირდება 2022 წლის მარტის თვიდან და მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია ზაფხულის პერიოდში:⁶⁴

გრაფიკი 4






რუსული საწვავით ბაზრის გაჯერების მთავარ განმაპირობებელ გარემოებას წარმოადგენს ფასი. ეკონომიკურ აგენტებთან გამართული ახსნა-განმარტებითი შეხვედრების ფარგლებში აღინიშნა, რომ რუსეთში ბენზინის ტიპის საწვავი ხელმისაწვდომი იყო დაახლოებით 300 ამერიკული დოლარით (1 ტონაზე) ნაკლებ ფასად ევროპულ საწვავთან მიმართებით.⁶⁵ შესაბამისად, მოხდა აღნიშნული ფაქტორის შესწავლა იმპორტირებული საწვავის თვითღირებულებაზე ასახვის მიმართულებით.⁶⁶

⁶⁴ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2021 წლის 23 ივლისის წერილი (რეგ. 26 ივლისი, N01/1197); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 28 იანვრის წერილი (რეგ. 28 იანვარი, N01/169); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572).

⁶⁵ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N 1, თარიღი: 28.11.2022 - შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია.“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N 2, თარიღი: 28.11.2022 - შპს „რომპეტროლ საქართველო.“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N 3, თარიღი: 02.12.2022 - სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია.“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 02.12.2022 - შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი.“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N 5, თარიღი: 05.12.2022 - შპს „რომპეტროლ საქართველო.“ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N 6, თარიღი: 05.12.2022 - შპს „ლუკოილ-ჯორჯია.“

⁶⁶ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2021 წლის 23 ივლისის წერილი (რეგ. 26 ივლისი, N01/1197); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 28 იანვრის წერილი (რეგ. 28 იანვარი, N01/169); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572).





2022 წლის მარტის თვიდან, რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული ბენზინის ტიპის საწვავის თვითღირებულება საბაჟო გადასახადების ჩათვლით მნიშვნელოვნად დაბალი იყო ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებული საწვავის ანალოგიურ მაჩვენებელზე. სხვაობა 1 ლიტრი ბენზინის ტიპის საწვავზე (რეგულარი, პრემიუმი) მერყეობდა 43 თეთრიდან 1 ლარის ფარგლებში (გრაფიკი 5-6). რაც შეეხება დიზელს, სხვაობა ფიქსირდება, თუმცა გაცილებით ნაკლები, ვიდრე ბენზინის ტიპის საწვავის შემთხვევაში (გრაფიკი - 7).

4. საცალო ბაზარი

მოკვლევის მიზნებისთვის, საცალო ბაზარი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ბაზრის მოცემული დონე წარმოადგენს საბოლოო მომხმარებლამდე პროდუქციის მიტანის მთავარ არხს და ამასთან ერთად, საცალო ბაზარზე საქონლის რეალიზაცია ხორციელდება რეალიზაციის სხვა არხებთან შედარებით ყველაზე მაღალ ფასად. საქონლის რეალიზაციის მაღალი ფასის გათვალისწინებით, საცალო ბაზარი, თავის მხრივ, ეკონომიკური აგენტებისთვის წარმოადგენს მოგების მაქსიმიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან არხს. ამასთან ერთად, სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, კითხვები, რაც სააგენტოს მიერ ბაზრის მოკვლევის დაწყების საფუძველი გახდა, ძირითადად ეხებოდა საცალო ბაზარს.

საცალო ბაზარზე მსჯელობის ნაწილში მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებები:

სარეალიზაციო/საცალო ფასი - მოიცავს ტაბლოს ფასს, ფასდაკლების დღეებში არსებულ ფასს და ლოიალური პროგრამების მეშვეობით შეთავაზებულ ფასს. სააგენტოს დაკვირვების საგანს პირველ რიგში წარმოადგენს ტაბლოზე არსებული ფასი, რადგან ტაბლო თავის მხრივ წარმოადგენს საცალო ბაზარზე მომხმარებლამდე ინფორმაციის მიტანის მთავარ საშუალებას;

რეალიზებული პროდუქციის მოცულობა საცალო ბაზარზე არსებული რეალიზაციის არხების მეშვეობით - ტაბლოს ფასად, ლოიალური პროგრამების ფარგლებში ან/და ფასდაკლების დღეებში შეთავაზებულ ფასად;



რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება - თვითღირებულებაში სააგენტო ითვალისწინებს ყველა იმ გადასახადს და დანახარჯს (კომპონენტების დონეზე), რაც თავის მხრივ ასახულია საცალო ფასში, განსახილველ შემთხვევაში საქონლის საბაჟო ღირებულება (თვითღირებულება), აქციზი, დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), საოპერაციო დანახარჯები.


ფასნამატი - სხვაობა სარეალიზაციო ფასს და პროდუქციის თვითღირებულებას შორის;

საწვავის დანამატი - კომპანიების მიერ აქტიურად ხორცილდება საწვავის დანამატის გამოყენება და პროდუქტის პოზიციონირება ბაზარზე კონკრეტული დასახელებით: გალფი - **G-Force**, ვისოლი - **EKO**, სოკარი - **ნანო**, რომპეტროლი - **Efix**, ლუკოილი - **Ecto**. რიგ შემთხვევებში, კომპანიის/კომპანიების მიერ ხორციელდება იდენტური საწვავის რეალიზაცია როგორც დანამატით, ასევე დანამატის გარეშე განსხვავებული ფასით.

2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდი გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი ტურბულენტობით საერთაშორისო ბაზარზე პლატის ფასის და შიდა ბაზარზე ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების მხრივ. შიდა ბაზარზე საცალო ფასებიც ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში სწრაფი ცვლილებებით. მოკვლევის მიზნებისთვის, დაკვირვების პირველ დონეს წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების ტაბლოზე არსებული ფასი:⁶⁷

⁶⁷ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 27 სექტემბერი, N01/1715); შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ 2022 წლის 28 სექტემბრის წერილი (რეგ. 28 სექტემბერი, N01/1740); შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 2022 წლის 26 სექტემბრის წერილი (რეგ. 27 სექტემბერი, N01/1713); შპს „რომპეტროლ საქართველოს“ 2022 წლის 26 სექტემბრის წერილი (რეგ. 26 სექტემბერი, N01/1710); სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2022 წლის 28 სექტემბრის წერილი (რეგ. 28 სექტემბერი, N01/1734).






როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო საცალო ბაზარზე მსჯელობის ნაწილში, ყურადღებას ამახვილებს Platts-ის ფასზე და ლარის გაცვლით კურსზე - რადგან აღნიშნული ფაქტორები წარმოადგენს იმპორტირებული საწვავის ღირებულების ძირითად ინდიკატორს. თუმცა, 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის ღირებულება მნიშვნელოვნად ნაკლები იყო ვიდრე Platts-ის ფასი და შესაბამისად, ამ გზით იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება ნაკლები იყო ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებული საწვავის თვითღირებულებაზე (გრაფიკი 5-6-7). შესაბამისად, მოკვლევის ფარგლებში სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია, საცალო ფასებზე მსჯელობის ნაწილში გამოეყენებინა იმპორტირებული საწვავის თვითღირებულების მაჩვენებელი (საბაჟო ღირებულება) - რაც აერთიანებს მომწოდებელ კომპანიასთან შემენილი საქონლის ღირებულებას და საქართველოს ტერიტორიამდე ტრანსპორტირების ხარჯს, ლარის გაცვლითი კურსის გათვალისწინებით. ამასთან, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს საცალო ფასის მაკომპლექტებელ სხვა ფაქტორებზე, კერძოდ აქციზის გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი და კომპანიის/კომპანიების საოპერაციო დანახარჯი. ეს უკანასკნელი რასაკვირველია კომპანიების დონეზე განსხვავებულია, თუმცა სააგენტო მხედველობაში იღებს საშუალო მაჩვენებელს - 20 თეთრი 1 ლიტრზე, რადგან მნიშვნელოვანია არა დანახარჯის ზუსტი სიდიდე, არამედ მისი ერთგვაროვნება შესასწავლ პერიოდში.

ეკონომიკური აგენტების მიერ რეალიზებული საწვავის მოცულობის გათვალისწინებით, საცალო ბაზარზე ძირითად პროდუქტს წარმოადგენს რეგულარის და პრემიუმის მარკის საწვავი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, განსახილველი კომპანიების მიერ საცალო ბაზარზე რეალიზებული პრემიუმის

ტიპის საწვავის მოცულობა 15%-ით აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში ფიქსირდება 8.4%-იანი შემცირება.⁶⁸

გრაფიკი 11



4.1. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“

2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ოპერირებას უწევდა GULF-ის ბრენდის ქვეშ მოქმედ 102 ავტო-გასამართ სადგურს, ხოლო 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში - 103 ავტო-გასამართ სადგურს. გარდა ამისა, ეკონომიკურ აგენტს გააჩნია ეკონომ სეგმენტის ავტო-გასამართი სადგურები G-ეკონომის ბრენდით, რომელთა რიცხვმაც 2021 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში შეადგინა 44 ერთეული, ხოლო 2022 წელს 35 ერთეული. 2022 წლიდან კომპანიას ასევე გააჩნია თვითმომსახურების ავტო-გასამართი სადგურები - 8 ერთეული.⁶⁹

⁶⁸ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 27 სექტემბერი, N01/1715); შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ 2022 წლის 28 სექტემბრის წერილი (რეგ. 28 სექტემბერი, N01/1740); შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 2022 წლის 26 სექტემბრის წერილი (რეგ. 27 სექტემბერი, N01/1713); შპს „რომპეტროლ საქართველოს“ 2022 წლის 26 სექტემბრის წერილი (რეგ. 26 სექტემბერი, N01/1710); სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2022 წლის 28 სექტემბრის წერილი (რეგ. 28 სექტემბერი, N01/1734).

⁶⁹ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2023 წლის 21 აპრილის წერილი (რეგ. 21 აპრილი, N01/1316).

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციიდან საწვავის იმპორტიორ [REDACTED] ეკონომიკურ აგენტს. კომპანიის მიერ, განსახილველ პერიოდში რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის მოცულობამ შეადგინა საერთო იმპორტის [REDACTED]%, ხოლო 4 კომპანიის დონეზე (გალფი, ვისოლი, სოკარი, ლუკოილი) ჯამურად - [REDACTED]% (შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მიერ საწვავის იმპორტი ხორციელდება მხოლოდ რუმინეთიდან):⁷⁰

გრაფიკი 12



როგორც უკვე აღინიშნა, 2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული ბენზინის ტიპის საწვავის თვითღირებულება მნიშვნელოვნად დაბალი იყო ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებული საწვავის თვითღირებულებაზე (გრაფიკი N5-6, 43-94 თეთრი 1 ლიტრზე). სხვაობა ფიქსირდება დიზელის ტიპის საწვავის შემთხვევაშიც, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც ბენზინის ტიპის საწვავის დონეზე (გრაფიკი - 7, 21 თეთრამდე 1 ლიტრზე).

შიდა ბაზარზე, კომპანიას გააჩნია რეალიზაციის რამდენიმე არხი - საცალო რეალიზაცია ტაბლოზე მითითებულ ფასად; საცალო რეალიზაცია ფასდაკლების სისტემის მეშვეობით; საცალო რეალიზაცია არაბრენდირებულ სეგმენტში (G ეკონომი); საცალო რეალიზაცია თვითმომსახურების აგს-ებზე; რეალიზაცია კორპორატიულ სეგმენტზე; საბითუმო რეალიზაცია. ეკონომიკური აგენტი ახორციელებს 6 ტიპის საწვავის რეალიზაციას - G Force ევრო რეგულარი (რეგულარის მარკის საწვავი დანამატი), ევრო რეგულარი

⁷⁰ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572).

(რეგულარის მარკის საწვავი დანამატის გარეშე), პრემიუმი, სუპერი, დიზელი, ევრო დიზელი.⁷¹

საცალო ბაზრის შესახებ მსჯელობისას, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანია იმ გარემოების ხაზგასმა, რომ ბაზრის ეს დონე პოტენციურად წარმოადგენს ყველაზე მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, კომპანიისთვის, რომელსაც გააჩნია დიდი რაოდენობით ავტოგასამართი სადგურები, საცალო ბაზარი უნდა წარმოადგენდეს პრიორიტეტულ მიმართულებას.

2022 წელს, საცალო ბაზარზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა ბაზარზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელდა მარტის თვეში, რაც გარკვეულწილად წარმოადგენდა როგორც საერთაშორისო ბაზარზე განვითარებული მოვლენების - ნედლი ნავთობის და პლატის ფასის ზრდის, ასევე შიდა ბაზარზე ლარის გაუფასურების შედეგს. თუმცა, [REDACTED] თვიდან შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიამ“ აქტიურად დაიწყო რუსეთის ფედერაციიდან საავტომობილო საწვავის იმპორტი და შესაბამისად ხელი მიუწვდებოდა ევროპულ საწვავთან შედარებით არსებითად დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს კომპანიის მიერ საცალო ფასის ცვლილებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები საწვავის სახეობების მიხედვით (გარდა სუპერისა, რომლის პროცენტული წილი ბაზრის საერთო მოცულობაში შეადგენს 1.3%-ს, რისი ეკონომიკური გავლენაც შესაბამისი ბაზრის სტრუქტურასა და კონკურენტულ გარემოზე უმნიშვნელოა).


2022 წლის მარტის თვეში, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ევრო რეგულარის მარკის საწვავის ფასი გაიზარდა - **54 თეთრით**, G Force ევრო რეგულარის - **52 თეთრით**, პრემიუმის - **62 თეთრით**, დიზელის - **1.1 ლარით** (გრაფიკი 8-9-10). სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ეკონომიკური აგენტის მიერ 2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში განხორციელებული ფასწარმოქმნის სიმეტრიულობის/ასიმეტრიულობის საილუსტრაციოდ მიუთითოს ამავე პერიოდში საწვავის თვითღირებულების მაჩვენებელი - საცალო ფასის მაკომპლექტებელ სხვა ფაქტორებთან ერთად.⁷²

⁷¹ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 27 სექტემბერი, N01/1715).



⁷² შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 27 სექტემბერი, N01/1715).

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2021 წლის 23 ივლისის წერილი (რეგ. 26 ივლისი, N01/1197); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 28 იანვრის წერილი (რეგ. 28 იანვარი, N01/169); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 25 იანვრის წერილი (რეგ. 26 იანვარი, N01/144); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 21 სექტემბრის წერილი (რეგ. 22 სექტემბერი, N01/1681); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 23 სექტემბერი, N01/1694); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1749); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1746).

საბაჟო ღირებულება მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს კომპანიის მიერ იმპორტირებული და შიდა ბაზარზე შექმნილი საქონლის (დღგ-ს და აქციზის გარეშე) ყოველთვიურ რაოდენობასთან შეწონილ საშუალო მაჩვენებელს.



საცალო ფასი - კომპანიის კონკრეტული თვის ბოლოს ტაბლოზე არსებული ფასი, ფასდაკლების/ლოიალობის პროგრამის გარეშე.




რეგულარის (ორივე ტიპის) მარკის საწვავის შემთხვევაში, კომპანიის მიერ იმპორტირებული და შიდა ბაზარზე შექმნილი საქონლის საშუალო შეწონილი თვითღირებულება მარტის თვეში გაზრდილია ■ თეთრით, ხოლო აპრილის თვეში ფიქსირდება თვითღირებულების ■ თეთრიანი შემცირება (გრაფიკი 13-14).

პრემიუმის მარკის საწვავის შემთხვევაში, მარტის თვეში სახეზეა თვითღირებულების მხოლოდ ■ თეთრიანი ზრდა, რომელიც აპრილის თვეში გაიზარდა ■ თეთრამდე, თუმცა აპრილის თვეში განხორციელდა საცალო ფასის დამატებითი ზრდა ■ თეთრით (გრაფიკი 15).

დიზელის ტიპის საწვავის შემთხვევაში, მარტის თვეში სახეზეა თვითღირებულების ■ თეთრიანი ზრდა, რომელიც აპრილის თვეში გაიზარდა ■ თეთრამდე, თუმცა აპრილის თვეში განხორციელდა საცალო ფასის დამატებითი ზრდა ■ თეთრით (გრაფიკი 16).

შესაბამისად, ბენზინის ტიპის საწვავზე კომპანიის მიერ ფასის ზრდასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები სრულად აცდენილია საწვავის თვითღირებულებას - მასზე მოქმედი ფაქტორების ცვლილების მაჩვენებელს. დიზელის ტიპის საწვავზე მარტი-აპრილის პერიოდში თვითღირებულება გაიზარდა ჯამურად ■ თეთრით, ხოლო ანალოგიურ პერიოდში საცალო ფასის ზრდა დაფიქსირდა 1.25 ლარით (1.06 ლარით დღგ-ს გარეშე) - შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც საცალო ფასის ცვლილება ნაწილობრივ აცდენილია მისი თვითღირებულების მაჩვენებელს. შედეგად, გაიზარდა კომპანიის ფასნამატი როგორც 2022 წლის განსახილველ პერიოდში, ასევე 2021 წელთან შედარებითაც.

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ საწვავის საცალო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, გაიზარდა სხვაობა როგორც კომპანიის და ბაზარზე მოქმედ მცირე ქსელების ტაბლოზე არსებულ საცალო ფასებს შორის, ასევე ეკონომიკური აგენტის ქსელში არსებულ პრაქტიკულად იდენტური საწვავის სახეობებს შორის - ევრო რეგულარს და G-Force ევრო რეგულარს შორის:



პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დანამატის ღირებულება, რომელსაც შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ იყენებს ევრო რეგულარის მარკის საწვავის G-Force ევრო რეგულარად ტრანსფორმაციისათვის, 1 ლიტრზე გაანგარიშებით თეთრზე ნაკლებია.⁷³ შესაბამისად, კომპანიის ევრო რეგულარს და G-Force ევრო რეგულარს შორის თვითღირებულების ნაწილში განსხვავება

გრაფიკი 17-ით წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს რამდენიმე გარემოებას:

1. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ G-Force ევრო რეგულარის და ევრო რეგულარის საცალო ფასებს შორის სხვაობა 2022 წლის მარტის თვემდე შეადგენდა 4-6 თეთრს; 2022 წლის მარტის თვეში 8 თეთრს. ამავე წლის აპრილის თვიდან ფიქსირდება სხვაობის ზრდა 15 თეთრამდე, ხოლო მაისის თვიდან სხვაობამ შეადგინა 20 თეთრი 1 ლიტრზე - აგვისტოს თვის ჩათვლით;
2. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ G-Force ევრო რეგულარს და გრაფიკში მოცემული სხვა კომპანიების ევრო რეგულარს შორის 2022 წლის მაისის თვემდე სხვაობა შეადგენდა 30-40 თეთრს, ხოლო ამავე წლის მაისის თვიდან 50-65 თეთრს (გრაფიკ 17-ში მცირე ქსელების ფასწარმოქმნის საილუსტრაციოდ მოცემული 3 კომპანია გამოირჩევა ბაზრის ამ ნაწილში მოქმედ სხვა კომპანიებთან შედარებით მაღალი ფასწარმოქმნით,

⁷³ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 27 სექტემბერი, N01/1715).


შესაბამისად, სხვაობა შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ და მცირე ქსელების სეგმენტში მოქმედ სხვა კომპანიებს შორის უფრო მაღალია);

3. 2022 წლის მარტის თვეში, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მსგავსად, ფასის დაკორექტირება ზრდის მიმართულებით ასევე განხორციელდა შპს „რეპსოლის“, შპს „პორტალ“-ის და შპს „S7“-ის მიერ მეტ-ნაკლებად მსგავსი ოდენობებით. თუმცა, მაისის თვეში შპს „რეპსოლის“, შპს „პორტალ“-ის და შპს „S7“-ის მიერ ფასის შემცირება განხორციელდა 26-28 თეთრის ოდენობით 1 ლიტრზე, ხოლო შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ G-Force ევრო რეგულარზე - მხოლოდ 10 თეთრის ოდენობით;
4. 2022 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში, შპს „რეპსოლის“ მიერ 6 თეთრით და შპს „S7“-ის მიერ 3 თეთრით კვლავ განხორციელდა ფასის შემცირება, ხოლო შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ შემთხვევაში - ფასი გაიზარდა 10 თეთრით.

სააგენტოს პოზიციით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ და მცირე კომპანიების რეგულარის მარკის საწვავზე გაზრდილი საცალო ფასთაშორისი სხვაობის შედეგად გაჩნდა დამატებითი კონკურენტული წნეხი. კონკურენტულ წნეხს კომპანიამ მეტ-ნაკლებად უპასუხა ევრო რეგულარის (დანამატის გარეშე) ფასის ცვლილებით, ხოლო G-Force ევრო რეგულარის ფასი უცვლელი დატოვა, რაც გახდა იმის მიზეზიც, რომ განსახილველი კომპანიის თვითღირებულების და პროდუქციული თვალსაზრისით იდენტური საწვავის შემთხვევაში (ევრო რეგულარი და G-Force ევრო რეგულარი) ფასთაშორისი სხვაობა გაიზარდა 20 თეთრამდე. რაც შეეხება, G-Force ევრო რეგულარს, კომპანიის მიერ ამ ტიპის საწვავზე შენარჩუნებული მაღალი ფასი კორელაციაშია ბაზარზე მოქმედ 4 მსხვილ კომპანიასთან და მიუხედავად იმისა, [REDACTED] - ტაბლოს ფასების მაღალი პარალელიზმის ტენდენცია არ დარღვეულა (გრაფიკი 8).

რეგულარის მარკის ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები, აისახა რეალიზაციის მაჩვენებლებზეც, კერძოდ:⁷⁴

⁷⁴ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 27 სექტემბერი, N01/1715).



2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კომპანიის მიერ რეალიზებული ევრო რეგულარის (დანამატის გარეშე) მარკის საწვავის მოცულობა [redacted] %-ით, [redacted] ლიტრით, ხოლო G-Force ევრო რეგულარის შემთხვევაში სახეზეა [redacted] %-ით, [redacted] ლიტრით. სახეზეა მოცემულობა, როდესაც მცირე კომპანიების მხრიდან რეგულარის მარკის საწვავზე ფასთაშორისი სხვაობით გაზრდილი კონკურენტული წნეხის პირობებში, ევრო-რეგულარზე მცირედით შემცირებულ ფასს გააჩნდა დადებითი ეფექტი რეალიზაციის მაჩვენებელზე, რასაც ადგილი არ ჰქონია G-Force ევრო რეგულარის შემთხვევაში. უფრო მეტიც, 2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში, საწვავის თვითღირებულებიდან და არსებული ფასნამატიდან გამომდინარე, [redacted], თუმცა ფასების დონე ძირითად კონკურენტებს შორის უცვლელად შენარჩუნდა.

სააგენტოში გამართულ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წარმომადგენლების მიერ G-Force ევრო-რეგულარი მოხსენიებულ იქნა, როგორც განცალკევებული ტიპის საწვავი, რომლის ფასწარმოქმნაზე სააგენტოს ყურადღება არ უნდა გამახვილებინა.⁷⁵ თუმცა სწორედ G-Force ევრო-რეგულარის საცალო ფასი არის სრულ კორელაციაში სხვა 4 მსხვილი კომპანიის საცალო ფასთან. სააგენტოსთვის არ არის დამაჯერებელი კომპანიის წარმომადგენლების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ G-Force-ის ტიპის საწვავი არ არის მათი ვაჭრობის ძირითადი პროდუქტი და ის, რომ ამავდროულად პოზიციის მიხედვით, სააგენტომ არ უნდა გაითვალისწინოს მასთან დაკავშირებული მონაცემები. უფრო მეტიც, 5 მსხვილი კომპანიის დონეზე საერთო ჯამში რეალიზებული

⁷⁵ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N 1, თარიღი: 28.11.2022 - შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია.“

რეგულარის ტიპის საწვავის მოცულობა მნიშვნელოვნად მაღალია (გრაფიკი 11) და 2021 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში აღემატებოდა რეალიზებული პრემიუმის ტიპის საწვავის მოცულობასაც კი. შესაბამისად, მომხმარებლის კატეგორია, რომელიც ამჯობინებდა რეგულარის ტიპის საწვავის შეძენას 5 მსხვილი კომპანიის სარგებლობაში არსებულ ავტო-გასამართ სადგურებში, არ ჩამოუვარდებოდა პრემიუმის მომხმარებლების რაოდენობას.

რაც შეეხება პრემიუმის მარკის საწვავს - სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ [REDACTED]. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პრემიუმის მარკის საწვავის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია ხორციელდება სწორედ მსხვილი კომპანიების დონეზე, სააგენტოსთვის არ არსებობს იმ ფაქტობრივი მოცემულობის გონივრული/დამაჯერებელი ახსნა, რამაც განაპირობა ფასის არსებული ნიშნულის შენარჩუნება და არსებული კონკურენტული უპირატესობის გამოუყენებლობა.

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ იმპორტირებული საწვავის სახეობებიდან მნიშვნელოვანი წილი უკავია დიზელის სახეობის საწვავს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც, მოცემული სახეობის რუსული საწვავი ევროპულ საწვავთან მიმართებით დაბალი თვითღირებულებით გამოირჩევა, თუმცა სხვაობა არსებითად ჩამოუვარდება ანალოგიურ მონაცემს ბენზინის სახეობების შემთხვევაში. სააგენტო აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაშიც შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ დიზელის მარკის საწვავის საცალო ფასი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მისი სხვა კონკურენტების სარეალიზაციო ფასისგან.

სააგენტოსთან გამართულ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე, კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროდუქტის თვითღირებულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ფასწარმოქმნის პროცესში,⁷⁶ რისი გათვალისწინებითაც, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კომპანია არ იყენებს ხსენებულ უპირატესობას საწვავის იმ სახეობებში, რომელშიც მისი უპირატესობა აშკარად გამოკვეთილია. კომპანიის წარმომადგენლების მიერ ასევე აღინიშნა მოგების მაქსიმიზაციის მნიშვნელობაზე. თუმცა ამ მიზნით გამოყენებულ იქნა 2022 წლის მარტის თვიდან რეგულარის და პრემიუმის მარკის საწვავის შემთხვევაში ფასნამატის [REDACTED]%-ით და მეტი გაზრდა. სხვა ჩვეულებრივ პირობებში, კონკურენტულ ბაზარზე, პროდუქტის თვითღირებულების გათვალისწინებით, სააგენტოს პოზიციით მოგების მაქსიმიზაცია უნდა გამოხატულიყო საწვავის თვითღირებულებიდან მომდინარე კონკურენტული უპირატესობის გამოყენების შედეგში და არა ფასების ერთობლივად მაღალ ნიშნულზე შენარჩუნებაში. სააგენტოსთვის არ არსებობს ამგვარი ქმედების სხვა ალტერნატიული/დამაჯერებელი ახსნა, გარდა იმისა, რომ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ განსახილველ პერიოდში საცალო ფასწარმოქმნასთან

⁷⁶ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N 1, თარიღი: 28.11.2022 - შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია.“

დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენდა მოკვლევის მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებთან კოორდინირებული ქმედების შედეგს.

მოპასუხე ეკონომიკური აგენტი გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ წერილობით პოზიციაში აღნიშნავს, რომ სატელეფონო კომუნიკაციის შინაარსი სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტში იდენტიფიცირებული არ არის და შესაბამისად არ დგინდება რაიმე სახის კორელაცია შეთანხმებულ ქმედებასთან.⁷⁷ სააგენტო აღნიშნავს, რომ მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში კომპანიებს შორის კომუნიკაციის ფაქტები არ არის ერთადერთი მტკიცებულება. უფრო მეტიც, გადაწყვეტილებაში კომუნიკაციის ფაქტები მოცემულია მხოლოდ ეკონომიკური მტკიცებულებების შემდეგ. შესაბამისად, კომუნიკაციის ფაქტები წარმოადგენს მტკიცების მხოლოდ ერთ-ერთ დამატებით პლუს ფაქტორს და საქმისათვის მისი მნიშვნელობა განპირობებულია მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებების არსებობის პირობებში. კომუნიკაციის ინტენსივობა, ისევე როგორც სიხშირე, შესასწავლ პერიოდში არის სტაბილური, შესაბამისად კორელაციის საკითხზე მსჯელობა მისი დადასტურების ან/და უარყოფის კუთხით არ არის შესაძლებელი. ამ მიმართულებით სააგენტო ყურადღებას ამახვილებს კომუნიკაციის სიხშირეზე, როგორც ინფორმაციის შესაძლო გაცვლის სიმარტივის შესაძლებლობაზე.

პარალელური ქცევასთან დაკავშირებით კომპანია მიუთითებს, რომ პარალელური ქცევა იმთავითვე არ წარმოადგენს შეთანხმებული ქმედების დამადასტურებელ გარემოებას.⁷⁸ ამ მიმართულებითაც, მტკიცების საკითხი ეყრდნობა არა იმთავითვე პარალელურ ქცევას, არამედ სხვა არაერთ ფაქტორს, რაც გამოიხატა, მათ შორის, მაღალ ფასნამატსა და მოგების მაქსიმიზაციის კონკრეტული შესაძლებლობის უგულებელყოფაში, იმ პირობებში, როდესაც მცირდებოდა კონკრეტული კომპანიების კონკრეტული სახეობის თუ ტიპის საწვავის რეალიზაციის მოცულობა და ადგილი არ ჰქონდა საპასუხო ქმედებას.

კომპანია ასევე მიუთითებს საცალო ბაზრის დაბალი კონცენტრაციის ხარისხზე და იმ ფაქტზე, რომ საცალო ბაზარზე მოქმედებს დაახლოებით 1230 სადგური, რომლის 50%-ზე ნაკლების ოპერირებას ახორციელებენ მხარეები. ასევე დამატებით ფაქტორად ასახელებს მხარეების განსხვავებული რაოდენობის ავტოგასამართ სადგურებს, საბაზრო წილების ცვლილებას, ლოიალობის პროგრამებს.⁷⁹ არსებული ლოიალობის პროგრამები კომპანიის მიერ განხილულია, როგორც შეთანხმებული ქმედების გამომრიცხავი ფაქტორი, რასაც სააგენტო არ იზიარებს. კომპანია მიუთითებს, რომ მაგალითად შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ არ გააჩნია ლოიალობის პროგრამა, თუმცა ეს უკანასკნელი მომხმარებელს კვირის კონკრეტულ დღეებში სთავაზობს მსგავს ფასდაკლებას, რაც პირდაპირ აისახება საცალო ფასში. რაც შეეხება ბაზრის წილებს, რეალიზებული საწვავის მაჩვენებლით, განსახილველი 5 კომპანიის საერთო წილი საცალო ბაზარზე დაახლოებით 60%-ია. შესასწავლ პერიოდში და ზოგადად, ქვეყანაში ხორციელდება საშუალოდ 55% ბენზინის ტიპის საწვავის შემოტანა, ხოლო ბენზინის ტიპის

⁷⁷ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 06.07.2023, N 01/2234.

⁷⁸ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 06.07.2023, N 01/2234.

⁷⁹ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 06.07.2023, N 01/2234.

საწვავიდან, რეგულარის ტიპის საწვავი არის ყველაზე მეტი - საერთო იმპორტის 34.7% (პრემიუმი 20.2%). ბაზრის იმპორტის დონე თავისთავად განპირობებულია საცალო ბაზარზე არსებული მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე უფრო მეტია მოთხოვნა რეგულარზე, შესასწავლ პერიოდში კომპანიების მიერ რეალიზებული რეგულარის მაჩვენებელი ჩამორჩება პრემიუმის მაჩვენებელს. რეგულარის შემთხვევაში ფიქსირდება შემცირებაც. კომპანიის მიერ აპელირება საცალო ბაზარზე არსებულ წილზე, სააგენტოს პოზიციით ატარებს იმ შინაარსს, რომ ბაზრის სხვა/დარჩენილი 40%-დან მოსალოდნელი კონკურენტული წნეხი არ მისცემდა 5 მხვილ კომპანიას შეთანხმებული ქმედების ფორმირების შესაძლებლობას. სააგენტო არ იზიარებს ამ პოზიციას, რადგან ამგვარი კონკურენტული წნეხის როლს ამცირებს განსახილველი კომპანიების მაღალი სანდოობა მომხმარებელში, მარკეტინგული კამპანიები, ლოიალობის პროგრამები, მომხმარებლის მიერ ბრენდზე მიჯაჭვულობა და ა.შ., რაც ასევე გამოხატულია ციფრებში - მიუხედავად იმისა, რომ შესასწავლ პერიოდში არაბუნებრივად გაიზარდა სხვაობა მოპასუხე კომპანიებისა და მცირე კომპანიების საცალო ფასებს შორის, პრემიუმის მარკის საწვავის შემთხვევაში მომხმარებელი არ გადასულა მცირე კომპანიებზე, ისევე როგორც დიზელის შემთხვევაში. რაც შეეხება რეგულარის ტიპის საწვავს, ამ მიმართულებით კომპანიების ქცევა დეტალურად არის გაანალიზებული გადაწყვეტილებაში.

კომპანია მიუთითებს, რომ სააგენტოს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია გაზრდილი ფასნამატის გამოსათვლელად არასწორი და ხელოვნურია.⁸⁰ სააგენტო აღნიშნავს, რომ კომპანიის წარმოდგენილ პოზიციაში არ იძებნება ჩანაწერი, თუ რატომ არის სააგენტოს გამოყენებული მეთოდოლოგია არაზუსტი, ან მაგალითად, [REDACTED] ფასნამატის სანაცვლოდ რა ფასნამატი იქნა მიღებული. კომპანია ყურადღებას ამახვილებს საფასო გადაწყვეტილებების მიღების დროს არსებულ რისკებზე, თუმცა ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ კომპანიის საფასო პოლიტიკა და თვითღირებულება იძლეოდა ამგვარი ფასნამატის მიღების შესაძლებლობას.

კომპანია წარმოდგენილ პოზიციაში დამატებით მიუთითებს, რომ სააგენტომ არ გაითვალისწინა კონკრეტულ პერიოდში არსებული რისკები: პროდუქტის ხელმისაწვდომობა, ღირებულება, მომხმარებლის ქცევა, სამომავლო კომერციული რისკები და ა.შ. კომპანია აღნიშნავს, რომ სააგენტომ უგულვებელყო პლატის ინდექსი, რაც კომპანიის აზრით უნდა გამოყენებულიყო ფასწარმოქმნის და ფასნამატის დათვლისას. კომპანია მიუთითებს, რომ საწვავის იმპორტის დროს მისთვის ფასი ცნობილი ხდებოდა [REDACTED] [REDACTED] [REDACTED]. ამასთან თავადვე აღნიშნავს, რომ მისი საფასო გადაწყვეტილებები ბოლომდე არ ასახავდა შემოტანილი პროდუქტის ფასს. ხაზგასმულია სანქციები საერთაშორისო დონეზე, [REDACTED] [REDACTED] დაკავშირებით, [REDACTED] დაკავშირებით, ლარის გაუფასურება 13%-ით.⁸¹ ამასთან, კომპანია აღნიშნავს, რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით - კერძოდ კი, რუსული წარმოშობის საწვავზე არსებული გაურკვევლობის გამო, კომპანიის ფასების ზრდა (იგულისხმება 2022 წლის მარტი - რადგან მარტის თვეში

⁸⁰ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 06.07.2023, N 01/2234.

⁸¹ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 06.07.2023, N 01/2234.

კომპანიის ფასმა მიაღწია განსახილველი პერიოდის მაქსიმალურ ნიშნულს) [REDACTED] [REDACTED] [REDACTED] გახდებოდა.

რაც შეეხება ფასების ზრდის მოცულობას, აღნიშნულს კომპანია ხსნის პლატის ფასის ზრდის და ლარის კურსის გაუფასურებით. ასევე, კომპანიას მოცემული აქვს საწვავის საცალო ფასის და პლატის ფასის კორელაცია, მარაგებთან ერთად. კომპანია ასევე მიუთითებს, რომ ფასნამატი დიზელზე [REDACTED] - მიუთითებს გადაწყვეტილების გრაფიკზე N16.⁸²

სააგენტოს პოზიციით, კომპანიის არგუმენტები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ნაწილად:

რისკი - აღნიშნული წარმოდგენილია, როგორც ქმედების ალტერნატიული ახსნა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წერილობით პოზიციაში ქმედებასთან - მაღალ ფასნამატთან დაკავშირებით კომპანიას არ წარმოუდგენია არგუმენტაცია და მეტიც, კომპანია აღნიშნავს, რომ საცალო ფასწარმოქმნას ახორციელებდა პლატის ფასის და არა იმპორტირებული საწვავის თვითღირებულების გათვალისწინებით. რაც შეეხება ლარის კურსს, აღნიშნული არ შეიძლება იყოს დამატებითი ფაქტორი, რადგან მას გავლენა აქვს ნებისმიერი ქვეყნიდან საწვავის იმპორტის პროცესზე.

სააგენტოს პოზიციით, რისკი თავის მხრივ შესაძლოა ყოფილიყო ორგვარი - 1. იაფი რუსული საწვავის ფიზიკური ხელმისაწვდომობა სანქციების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით; 2. რუსული საწვავის გამვირება. ორივე შემთხვევაში შედეგი იქნებოდა იდენტური, კომპანიას შესაძლოა ჰქონოდა მაღალფასიანი რუსული საწვავი, რომელიც აღარ იქნებოდა ევროპულთან შედარებით კონკურენტული ან კომპანია ვეღარ შეძლებდა რუსული საწვავის იმპორტს და განახორციელებდა ევროპული საწვავის იმპორტს. ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს ფინანსური რისკი, რაც რასაკვირველია დაკავშირებულია კონკრეტული ხარჯების შესაძლო გაწვევის აუცილებლობასთან, რისკით განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოების დადგომის პირობებში. რისკთან დაკავშირებით, სააგენტო მიუთითებს, რომ კომპანიის მარაგების გათვალისწინებით ([REDACTED]) იმ პირობებში, როდესაც ბენზინის ტიპის საწვავზე (რეგულარი, პრემიუმი) კომპანიისთვის რუსული საწვავის იმპორტის გათვალისწინებით 2022 წლის მარტის თვეში ამავე წლის თებერვლის თვესთან შედარებით [REDACTED], ხოლო საცალო ფასი გაიზარდა ევროპული საწვავის ფასის მსგავსად/იდენტურად - [REDACTED].⁸³

შესაბამისად, მაგალითისთვის იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ აპრილის თვის მეორე ნახევრიდან მოხდებოდა პარალელური ქცევიდან გადახვევა/ფასის შემცირება და როგორც კომპანია მიუთითებს ადგილი ექნებოდა რისკით აღწერილი გარემოებების დადგომას, მარტის თვის და აპრილის თვის პირველ ნახევარში გაზრდილი ფასნამატი მიღებული დამატებითი შემოსავალი იქცეოდა ამგვარის რისკის დადგომის პირობებში გასაწევი დამატებითი ხარჯების ფინანსურ რესურსად. [REDACTED] თვეზე სააგენტოს მიერ ყურადღების გამახვილება განპირობებულია მარაგების საშუალო მოცულობით და შესაბამისად, რისკით აღწერილი

⁸² შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 06.07.2023, N 01/2234.

⁸³ გრაფიკი 13-14-15.

გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მისი გავლენა ვერ გაცდება კომპანიის მარაგების მოცულობას.

გადაწყვეტილებაში მითითებული გრაფიკები (13-14-15) ასახავს, რომ მარტის თვიდან კომპანიის ფასნამატი იყო [REDACTED], ხოლო [REDACTED] - დამატებით გამოიხატა [REDACTED] [REDACTED] ფასნამატში. შესაბამისად, მარტის თვეში და დამატებით აპრილის თვის პირველ ნახევარში კომპანიის მიერ [REDACTED] ფასნამატით რეალიზებული საწვავით მიღებული შემოსავალი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ამ რისკის დადგომის შემთხვევაში გასაწევი ხარჯების მაკომპენსირებელი ფინანსური რესურსი. უფრო მეტიც, ახსნა-განმარტებითი შეხვედრების დროს სააგენტოს მიერ დასმული იყო კითხვა, არსებობდა თუ არა შესაძლებლობა, რომ კომპანიის საფასო ფასწარმოქმნა ყოფილიყო 10-15 თეთრით ნაკლები - კომპანიის პასუხი იყო უარყოფითი. 10-15 თეთრზე უარყოფითი პასუხით კომპანია აპელირებს, რომ იმ პირობებში, როდესაც მან 2022 წლის მარტის და აპრილის პერიოდში გაზრდილი [REDACTED] თეთრიანი ფასნამატით მიიღო მეტი ფინანსური რესურსი (რასაც ის ვერ მიიღებდა სხვა ჩვეულებრივ პირობებში), მას არ შეეძლო ამ ფინანსური რესურსის თუნდაც [REDACTED]%-იანი რისკის გაწევა - რასაც კომპანია ხაზგასმით ასახელებს, როგორც პლატის ფასზე ფასწარმოქმნის მიზმის ფაქტორს. სააგენტო არ იზიარებს ამ პოზიციას ზემოაღნიშნული არგუმენტაციის გათვალისწინებით და შესაბამისად, ასევე არ იზიარებს კომპანიის მიერ აღწერილ რისკს, როგორც შესასწავლ პერიოდში ქმედების ალტერნატიულ/დამაჯერებელ ახსნას.

კომპანია ასევე მიუთითებს [REDACTED], [REDACTED] [REDACTED] ეხება მხოლოდ 2022 წლის მარტამდე პერიოდს. აღნიშნული, სააგენტოს პოზიციით არარელევანტურია მარტის თვიდან იმპორტის განხორციელების სირთულეებზე მსჯელობის ნაწილში. ამასთან, ანალოგიური სტატისტიკა მარტის თვიდან არ წარმოდგენილა და მისი თუნდაც არსებობის პირობებში ადგილი ექნებოდა რუსული საწვავის ფიზიკური ხელმისაწვდომობის სირთულეს, რასთან დაკავშირებითაც სააგენტომ იმსჯელა რისკის ნაწილში კომპანიის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ახსნის ფარგლებში.

სანქციებთან და სანქციებზე რეაგირების პოლიტიკასთან დაკავშირებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ ამ პროცესების [REDACTED] ეტაპზე კომპანიამ დაიწყო აქტიური იმპორტი და რუსულ საწვავზე ხელმისაწვდომობის კუთხით კომპანია უზრუნველყოფილი იყო განსახილველ პერიოდში.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ კომპანიამ მიიღო რისკის დასაზღვევად საჭირო ფინანსური რესურსი [REDACTED] პერიოდშივე ([REDACTED]). სააგენტო აღნიშნავს, რომ საავტომობილო საწვავის საცალო ბაზარზე რისკის მატარებელი უფრო მეტად არის მომხმარებელი, ვიდრე კომპანია. კერძოდ, ფასების აღმავალი ტრენდის ფარგლებში კომპანიების მიერ ფასის ზრდა ხორციელდება მყისიერად, რადგან ახალი - მაღალი თვითღირებულების მქონე საწვავის შესაძენად კომპანიას არ დასჭირდეს დამატებით ფინანსური რესურსის მოძიება, ხოლო დაღმავალი ტრენდის პირობებში, კომპანია ახორციელებს მაღალი თვითღირებულების საწვავის რეალიზაციას პირველ რიგში, ხოლო დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის ფასის ასახვა საცალო ფასზე ხორციელდება მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ - ბაზრის ფუნქციონირების ეს პრინციპი დადასტურებულია

სააგენტოს მიერ საავტომობილო ბაზარზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. შესაბამისად, კომპანიის მიერ წარმოდგენილი რისკის მატარებელი მეტწილად არის მომხმარებელი, რასაც კომპანია უგულვებელყოფს წარმოდგენილი პოზიციის ფარგლებში.

შესაბამისად, სააგენტო არ იზიარებს კომპანიის პოზიციას მის არც ერთ ნაწილში: 1) რისკის გადატანა მოხდა მომხმარებელზე და აღნიშნული ვერ გამოდგება როგორც ალტერნატიული დამაჯერებელი ახსნა; 2) კომპანიამ [REDACTED] პერიოდშივე განახორციელა რისკის დადგომის პირობებში გასაწევი ხარჯების ფინანსური მობილიზება [REDACTED] ფასნამატის შედეგად, თუმცა გააგრძელა [REDACTED] შემოსავლის მიღება შემდეგ თვეებშიც - მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტოს თვის პირველი ნახევარი. რისკის და მისი დადგომის შემთხვევაში შესაძლო ხარჯის ჰიპოთეტური მოდელირების პირობებში, მაგალითად, თუ კომპანიის 1 თვის მარაგის მოცულობა შეადგენს 1 მილიონ ლიტრს, 1 თვის განმავლობაში [REDACTED] თეთრით მეტი ფასნამატის პირობებში, კომპანია მიიღებდა [REDACTED] ათასი ლარით მეტ შემოსავალს, რასაც ამგვარი რისკის არ არსებობის/სხვა ჩვეულებრივ პირობებში ის ვერ მიიღებდა. შესაბამისად, საცალო ფასის 10-15 თეთრიანი შემცირების პირობებში ამ რისკის დადგომის შედეგად გასაწევი ხარჯი იქნებოდა დამატებით მიღებული შემოსავლის [REDACTED] % და შესაბამისად დაახლოებით [REDACTED] ლარი.

[REDACTED] სააგენტო არ იზიარებს ამ პოზიციას, რადგან ევროპულ საწვავთან მიმართებით კომპანიისთვის ცხადი იყო მის მიერ იმპორტირებული საწვავის უპირატესობა სულ მცირე პლატის ფასის გათვალისწინებით. რაც შეეხება უპირატესობას რუსული საწვავის იმპორტის ნაწილში, [REDACTED].

კომპანია მიუთითებს ევრო რეგულარს და G Force ევრო რეგულარს შორის სხვაობაზე და აღნიშნავს, რომ [REDACTED].⁸⁵ სააგენტოს პოზიციით, კომპანია გვერდს უვლის იმ ფაქტს, რაც დეტალურად არის აღწერილი სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტში. კერძოდ, ევრო რეგულარი და G-Force ევრო რეგულარი თვისობრივად იდენტური საწვავია. ევრო-რეგულარის G-Force ევრო რეგულარად გარდაქმნა განპირობებულია დანამატით, რომლის თვითღირებულებაც [REDACTED]. შესასწავლ პერიოდამდე, სხვაობა საწვავის განსახილველ სახეობებს შორის შეადგენდა საშუალოდ 4-6 თეთრს, ხოლო შესასწავლ პერიოდში გაიზარდა 20 თეთრამდე⁸⁶, რაც სააგენტოს პოზიციით მიმართული იყო ბაზრის მონაწილე მცირე კომპანიების ქმედებაზე, როგორც საპასუხო ქმედება, რადგან ამ 2 უკანასკნელს შორის საფასო სხვაობაც გაიზარდა არაბუნებრივად (20-30 თეთრიდან შესასწავლ პერიოდში 50-65 თეთრამდე)⁸⁷. შესაბამისად, ერთი მხრივ, მცირე კომპანიებთან შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ შევიდა კონკურენციაში, ხოლო, მეორე მხრივ, G-Force ევრო რეგულარზე იგივე ფასწარმოქმნით გაგრძელდა პარალელური ფასწარმოქმნა ხუთ კომპანიას

⁸⁴ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 06.07.2023, N 01/2234.

⁸⁵ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 06.07.2023, N 01/2234.

⁸⁶ გრაფიკი 17.

⁸⁷ იქვე.

შორის. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით რეალიზებული G-Force ტიპის საწვავის მოცულობა [REDACTED], არამედ ისიც, თუ რამდენად [REDACTED] დანამატის გარეშე საწვავის რეალიზაცია⁸⁸ და, შესაბამისად, აღნიშნული პოტენციალის არსებობა დასტურდება G-Force ტიპის საწვავზეც 10 თეთრით ნაკლები ფასწარმოქმნის შემთხვევაშიც. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ კომპანიას გააჩნია „G-ეკონომის“ ბრენდის ქვეშ მოქმედი აგს-ებიც, სადაც ასევე მცირე კომპანიების საპასუხოდ შემცირდა ფასი და გაიზარდა სხვაობა საკუთარ ქსელთან (G-Force). პასუხგაუცემელი რჩება ის პოზიცია, თუ აღნიშნული ე.წ. „რისკი“ მოქმედებდა G-Force საწვავზე, რატომ არ იმოქმედა მან ევრო რეგულარზე შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ქსელში ან „G-ეკონომზე“. კომპანია ამ კუთხით აღნიშნავს, რომ G-Force წარმოადგენს [REDACTED] და განსახილველ შემთხვევაში თუნდაც 10 თეთრით შემცირებული ფასი უარყოფითად გავლენას იქონიებდა მის ამ თვისებაზე. სააგენტო მიუთითებს, რომ საწვავი თვისობრივად წარმოადგენს ჰომოგენურ პროდუქტს, განსაკუთრებით განსახილველ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება იდენტურ საწვავს. შესაბამისად, კომპანიის პოზიცია, რომ ფასის შემცირება იქონიებდა რაიმე ტიპის გავლენას მის თუნდაც [REDACTED], სააგენტოსთვის არ არის დამაჯერებელი, რადგან G-Force ევრო რეგულარის [REDACTED] პოზიციონირებას კომპანია ახდენდა ფასთაშორისი სხვაობით თავისივე ევრო რეგულართან მიმართებით, რაც შესასწავლ პერიოდამდე შეადგენს 4-6 თეთრს 1 ლიტრზე, ხოლო შესასწავლ პერიოდში [REDACTED] შესანარჩუნებლად საჭირო გახდა სხვაობის 20 თეთრამდე გაზრდა - არგუმენტი სააგენტოსთვის არ არის დამაჯერებელი. რაც შეეხება ფასის შემცირების შემთხვევაში პოზიციონირებას კონკურენტებთან მიმართებით, ადგილი ექნებოდა კონკურენციას [REDACTED], რაც აუცილებლად იქონიებდა გავლენას რეალიზებული საწვავის მოცულობის ზრდაზე.

წარმოდგენილ პოზიციაში კომპანია ყურადღებას ამახვილებს, რომ შეთანხმებული ქმედების არსებობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა რეალიზებული საწვავის მოცულობის ზრდა. სტატისტიკისთვის მოცემულია ზრდა საწვავის სახეობების მიხედვით და საერთო ციფრები.⁸⁹ სააგენტოს პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ევრო რეგულარის და G-Force ევრო რეგულარის მარკის საწვავს ახსენებს როგორც სეგმენტების მიხედვით დიფერენცირებულს, აღნიშნული საწვავის სახეობებს ჰქონდა განსხვავებული ფასწარმოქმნა. შესაბამისად, რეალიზებული საწვავის მოცულობა, როგორც განსხვავებული ფასწარმოქმნის და [REDACTED] შედეგი, სააგენტოს პოზიციით არ უნდა იყოს დათვლილი ერთობლივად, რადგან საცალო ფასი, ისევე როგორც საწვავის [REDACTED] მოქმედებს განსახილველ მაჩვენებელზე. კომპანიის პოზიცია - მოხდეს ევრო რეგულარის და G-Force ევრო რეგულარის რეალიზაციის მოცულობების ერთობლივად დათვლა, სააგენტოს პოზიციით წარმოადგენს მცდელობას, მოხდეს გვერდის ავლა იმ ფაქტზე, რომ დამატებით 10-15 თეთრით ევრო რეგულარის ფასის შემცირება მომგებიანი იყო მისთვის, ხოლო G-Force ევრო რეგულარის ფასის შენარჩუნება კონკურენტების იდენტურ ნიშნულზე წამგებიანი. შედეგად, როგორც კომპანია აღნიშნავს, განსახილველ პერიოდში საწვავის

⁸⁸ გრაფიკი 18.

⁸⁹ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 06.07.2023, N 01/2234.

██████████ მოკვლევის მოპასუხე მხარეებთან მიმართებით შეადგინა ██████%, ხოლო საერთო ზრდამ ██████% (██████████).

მოპასუხე ეკონომიკური აგენტი მიუთითებს, რომ 2022 წლის ივლისის თვეში საწვავზე 10 თეთრით გაზრდილი ფასი წარმოადგენდა მის დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას, ხოლო 2 კვირის შუალედში სხვა 4 კომპანიის მიერ ასევე მოხდა ფასის ზრდა, რაც ასევე მიუთითებს მათ დამოუკიდებელ საბაზრო გადაწყვეტილებებზე.⁹⁰ სააგენტოს პოზიციით, საფუძველს მოკლებულია კომპანიის მითითება აღნიშნულ პერიოდზე, როგორც საფასო გადაწყვეტილების დამოუკიდებელ მიღებაზე. როგორც კომპანია აღნიშნავს, საცალო ფასწარმოქმნა ბაზარზე არსებული რისკების გათვალისწინებით გამომდინარეობდა პლატის ფასიდან. შესაბამისად, წარმოდგენილი პოზიციის 71-ე პუნქტში მოცემული გარემოება ეწინააღმდეგება აღნიშნულს, რადგან კომპანიის მიერ წარმოდგენილი დიაგრამის მიხედვით, აღნიშნული პერიოდი პლატის ფასის (ლარში) კუთხით ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი დადმავალი ტრენდით. თუმცა შეინიშნება რუსული საწვავის თვითღირებულების ზრდა. შესაბამისად, კომპანიის მიერ თავისივე პოზიციის საპასუხოდ არ იქნა გამოყენებული პლატის ფასის დადმავალი ტრენდი და რუსული საწვავის თვითღირებულების მცირე ზრდაც კი აისახა საცალო ფასზე.

დამატებით, კომპანია მიუთითებს, რომ სააგენტოს მსჯელობა მაშინ იქნებოდა მართებული, თუ კომპანია მიიღებდა რაიმე სახის კომპენსაციას. ამასთან, მოხდა ევრო რეგულარზე ფასის შემცირება და კონკურენციაში შესვლა.⁹¹ სააგენტოს პოზიციით, ბაზარზე არსებული ვითარების გათვალისწინებით კომპანია გვერდს უვლის იმ გარემოებას, რომ მას ამ პერიოდში შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო მნიშვნელოვნად მაღალი ფასნამატი. ასევე კომპანია კიდევ ერთხელ გვერდს უვლის ევრო რეგულარს და G-Force ევრო რეგულარს შორის სააგენტოს მიერ აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს.

სააგენტო არ იზიარებს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოცემულ საქმეში ადგილი აქვს მტკიცების ტვირთის „შებრუნებას.“ სააგენტო განმარტავს, რომ მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოკვლევის შედეგად გამოვლენილი შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტებთან მიმართებით, ყველა მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს კანონმდებლობის შესაბამისად მიეცა შესაძლებლობა კანონდარღვევად მიჩნეული ქმედების ლეგიტიმური ალტერნატიული ახსნა-განმარტების წარმოდგენისთვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების პროექტში შეფასებული ქმედებები და მათი ბუნება არ შეიძლება გაგებულ იქნას როგორც მტკიცების ტვირთის შებრუნება - პირიქით, სააგენტომ, მოკვლევის ფარგლებში დადგენილ გარემოებებთან დაკავშირებით, მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს მისცა დაცვის უფლების გამოყენების მაქსიმალური შესაძლებლობა.

⁹⁰ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 06.07.2023, N 01/2234.

⁹¹ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 06.07.2023, N 01/2234.

სააგენტოში გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე (როგორც საჯარო, ასევე ნაწილობრივ დახურულ ნაწილში), მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა დამატებით ყურადღება გაამახვილა რამდენიმე ფაქტორზე.

სააგენტო აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს მოპასუხის წარმომადგენლის მიერ მითითებულ ისეთ გარემოებებზე, რომელიც ამ უკანასკნელის პოზიციით შეთანხმებული ქმედების გამომრიცხავ გარემოებებად მიიჩნევა. კერძოდ, ეკონომიკური აგენტის პოზიციით ამგვარ გარემოებებს განეკუთვნება შემდეგი: 1. 2022 წლის განმავლობაში შესაბამისი ბაზრის არაპროგნოზირებადი ხასიათი; 2. ასიმეტრია აგს-ების რაოდენობაში; 3. შესაბამისი ბაზრის დაბალი კონცენტრაცია; 4. მიუხედავად პროდუქტების ჰომოგენურობისა, მათი სხვადასხვა სახით წარმოჩენა (მარკეტინგის მხრივ); 5. 2022 წლის განმავლობაში ფასების პარალელიზმის არსებითად დაბალი ხარისხი, 2021 წელთან შედარებით. სააგენტო აღნიშნულ ფაქტორზე გარემოებებთან დაკავშირებით განმარტავს შემდეგს: ბაზრის არაპროგნოზირებად ხასიათთან დაკავშირებით სააგენტომ უკვე იმსჯელა ბაზარზე არსებული მოსალოდნელი/შესაძლო რისკების ნაწილში; აგს-ების რაოდენობრივი ასიმეტრია - მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილი მისი იმპორტის და საცალო დონეზე განსხვავებულია, თუმცა ბაზარზე კოორდინირებული ქმედების არსებობისთვის აღნიშნული არ წარმოადგენს აუცილებელ/საჭირო წინაპირობას. მეტიც, პროდუქტის ჰომოგენური ხასიათი ლიტერატურაში განიხილება, როგორც კოორდინირებული ქმედების არსებობის სიმარტივის ფაქტორი; ბაზრის დაბალი კონცენტრაცია - სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა, რომ საცალო ბაზარი მართლაც დაბალკონცენტრირებულია, თუმცა კომპანიების ძალისხმევა, წარმოაჩინონ ჰომოგენური პროდუქტი განსხვავებულად, საბოლოო ჯამში იძლევა სურათს, რომ მომხმარებელი მოპასუხე ეკონომიკური აგენტების და ბაზარზე არსებული მცირე ქსელების საცალო ფასწარმოქმნაზე სრულად არ რეაგირებს, განსაკუთრებით ევრო დიზელის და პრემიუმის ნაწილში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დაბალკონცენტრირებული ბაზარი მიუთითებს ბაზარზე არსებულ/შესაძლო კონკურენტულ წნეხზე, წნეხი არ არსებობს/მცირეა ზემოაღნიშნული და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მაგ: მარკეტინგული აქტივობები, მოპასუხე კომპანიების ქსელური მოწყობა, ფასდაკლების სისტემები და ლოიალობის პროგრამები. შესაბამისად, მსგავსი აქტივობები ამცირებს კონკურენტული წნეხის ეფექტს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს და მცირე ქსელებს შორის, ხოლო უშუალოდ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენტული წნეხის ეფექტი ასევე მცირეა/არ არსებობს ფასების პარალელიზმის გათვალისწინებით. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ შემთხვევაში წნეხის ეფექტი დასტურდება მხოლოდ G-Force ევრო რეგულარის შემთხვევაში, რის პარალელურადაც კომპანიას არ შეუცვლია მოპასუხე კომპანიების პარალელური ფასწარმოქმნა და [REDACTED], თუმცა დაფიქსირდა რეალიზებული საწვავის მოცულობის [REDACTED], იმ პირობებში, როდესაც საცალო ფასის 10-15 თეთრით შემცირებას ევრო რეგულარის მარკის საწვავზე (დანამატის გარეშე) ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა რეალიზებული საწვავის მოცულობის ზრდაზე. ამასთან, კომპანიის განმარტებით, განსახილველ პერიოდში რეალიზაცია მცირე ქსელების ხარჯზე [REDACTED] [REDACTED]-ით ([REDACTED]) კონკურენტული წნეხის არსებობის შემთხვევაში და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკურ აგენტს და

ბაზარზე მოქმედ მცირე ქსელებს შორის საცალო ფასების შორის სხვაობა შესასწავლ პერიოდში გაიზარდა არაბუნებრივად, ეფექტი უნდა ყოფილიყო საპირისპირო.

კომპანიის წარმომადგენელი უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ პლატის ფასი გარკვეულ პერიოდში 2-ჯერ გასცდა საცალო ფასს, თუმცა მოპასუხე არ მიჰყვებოდა პლატის ცვლილებას (ამ შემთხვევაში ზრდის ტენდენციას) და მან შეინარჩუნა ის საცალო ფასი, რომელიც განსაზღვრული ჰქონდა იაფიან საწვავზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტებიდან კონკრეტული კომპანია განსახილველ პერიოდში სრულად ოპერირებდა ევროპული წარმოშობის საწვავით, თუმცა ადგილი არ ჰქონია პლატის ფასით იმპორტირებული საწვავის გაცდენას საცალო ფასზე. ამასთან, როგორც სააგენტოს მიერ უკვე აღინიშნა, კომპანიის აპელირება პლატის ფასზე საფუძველს მოკლებულია, რადგან ის არ ახორციელებდა პლატის ფასით საწვავის იმპორტს, ხოლო რისკთან დაკავშირებით სააგენტოს მსჯელობა წარმოდგენილია ამავე თავში.

შემაჯამებელ სხდომაზე კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა პოზიციები, რომლებიც იმეორებდა სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ პოზიციებს, რაც წარმოდგენილია ამავე თავში, მაგ: [REDACTED], ევრო რეგულარი და G-Force ევრო რეგულარი, გაყიდვების მოცულობები, [REDACTED] და ა.შ.

შემაჯამებელი სხდომის შემდეგ, კომპანიის მიერ სააგენტოში წამოდგენილ იქნა დამატებითი პოზიცია, რაც ძირითადად იმეორებდა გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით და შემაჯამებელი სხდომის ფარგლებში დაფიქსირებულ პოზიციებს.⁹² ამასთან, კომპანიამ დამატებით აღნიშნა, რომ თუნდაც საფასო კონკურენცია შემცირებული ყოფილიყო ცალკეულ პროდუქტებთან მიმართებით, ეს არ გამორიცხავს მხარეებს შორის არასაფასო კონკურენციის არსებობას. კომპანია ასევე აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება სააგენტოს პოზიციას, რომლის მიხედვითაც ფასნამატის გამოთვლისას არ იქნა გათვალისწინებული ფასდაკლების სისტემები და აქვე მიუთითებს შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ განსხვავებულ ფასდაკლების სისტემაზე, რომლის ფარგლებშიც ფასდაკლების ასახვა ხდება პირდაპირ ტაბლოს ფასზე. კომპანია ასევე აღნიშნავს, რომ მას ჰქონდა [REDACTED]. ამ საკითხთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ მოკვლევის მოპასუხე მხარეები მართლაც ცდილობენ სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობებით წარმოაჩინონ ჰომოგენური პროდუქტი განსხვავებულად, რაც საბოლოო ჯამში იძლევა არასაფასო კონკურენციის ეფექტს. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე კომპანიების ამგვარი აქტივობები მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია, სააგენტოს პოზიციით, არასაფასო კონკურენციის ეფექტი მეტწილად მოქმედებს მცირე ქსელებზე, რის შედეგადაც მიუხედავად იმისა, რომ შესასწავლ პერიოდში სხვაობა მოპასუხე კომპანიების საცალო ფასებს და მცირე ქსელების საცალო ფასებს შორის არაბუნებრივად გაიზარდა, მომხმარებელი გარდა ევრო რეგულარის მარკის საწვავისა - არ გადასულა მცირე ქსელებში (საკითხთან დაკავშირებით სააგენტოს დეტალური მსჯელობა მოცემულია ევრო რეგულარზე და G-Force ევრო რეგულარზე მსჯელობის ნაწილში). [REDACTED] დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნული ვერ გამოდგება

⁹² შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2023 წლის 21 ივლისის წერილი (რეგ. 24 ივლისი, N01/2452).

ეკონომიკური აგენტის მართლაც მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობის საპირწონედ. სააგენტოს პოზიციით, კოორდინირებული ქმედების არსი გამომდინარეობდა ტაბლოზე ფასის იდენტურ/პარალელურ ნიშნულზე შენარჩუნებაში, რის პარალელურადაც მოქმედებდა მეტ-ნაკლებად მსგავსი ფასდაკლებები და ლოიალობის პროგრამები - გამოხატული მომხარებლის მიერ 1 ლიტრი საწვავის შეძენის დროს მიღებულ/შესაძლო ფასდაკლებაში.

არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და არგუმენტაციის გათვალისწინებით დგინდება, რომ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ საბაზრო ქცევებიდან გამომდინარე, არ იკვეთება შესაბამისი დონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ან წახალისებდნენ აქტიურ საფასო კონკურენციას შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე, გაყიდვების მოცულობის ზრდისა და მომხმარებელთა რაოდენობის მატების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ აღნიშნება [REDACTED], ის არაპროპორციულია [REDACTED]. კომპანიის მიერ არ ხდება აქტიურ საფასო კონკურენციაში შესვლა არათუ იგივე წარმომავლობის საწვავის იმპორტიორ კომპანიებთან, არამედ მასზე ბევრად ძვირადღირებულ ევროპული საწვავის იმპორტიორ კომპანიებთანაც. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც ბენზინის ტიპის საწვავიდან რეგულარის მარკის საწვავი წარმოადგენს ყველაზე მოთხოვნად პროდუქტს და მსხვილი კომპანიების დონეზე 2021 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში საცალო ქსელში რეალიზებული რეგულარის მარკის საწვავის მოცულობა აღემატებოდა პრემიუმის მოცულობას - 2022 წლის ანალოგიურ პერიოდში რეალიზებული G-Force ევრო რეგულარის [REDACTED] პირობებში საცალო ფასის მაღალ ნიშნულზე შენარჩუნება, კონკურენტებთან მიმართებით პარალელური ფასწარმოქმნა და შესაბამისად ფასების ფიქსაციის საბაზრო პოლიტიკით რეგულარულად (მუდმივი) ოპერირება, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიას გააჩნდა მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე მოქმედ კომპანიებთან შედარებით, მოკლებულია ყოველგვარ გონივრულ, ალტერნატიულ დამაჯერებელ ახსნას, გარდა იმისა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა კოორდინირებული ქცევის შედეგს.

4.2 შპს „რომპეტროლ საქართველო“

2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, შპს „რომპეტროლ საქართველო“ (ს/კ 204493002) (შემდგომში - „რომპეტროლი“) ოპერირებას უწყევდა „რომპეტროლის“ ბრენდის ქვეშ მოქმედ 90 ავტო-გასამართ სადგურს, ხოლო 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში - 86 ავტო-გასამართ სადგურს.⁹³

⁹³ შპს „რომპეტროლ საქართველო“ 2022 წლის 26 სექტემბრის წერილი (რეგ. 26 სექტემბერი, N01/1710).


შპს „რომპეტროლ საქართველო“ მსხვილი კომპანიებიდან წარმოადგენს ერთადერთ ეკონომიკურ აგენტს, რომელსაც 2022 წლის შესასწავლ პერიოდში არ გააჩნდა რუსული წარმომავლობის საავტომობილო საწვავი. ამასთან, კომპანია არ ახორციელებდა შიდა ბაზარზე საწვავის საბითუმო შეძენას. შესაბამისად, კომპანიის ეკონომიკური საქმიანობა სრულად დამოკიდებულია ბაზრის იმპორტის დონეზე.

შპს „რომპეტროლ საქართველო“ წარმოადგენდა ლიდერს საავტომობილო საწვავის ბაზრის იმპორტის დონეზე. 2022 წელს (იანვარი-აგვისტო) კომპანიის მიერ განხორციელდა [REDACTED] მილიონი ლიტრი საწვავის იმპორტი, რაც შეადგენდა ბაზრის სრული მოცულობის [REDACTED]-ს, ხოლო 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში კომპანიის წილმა ბაზრის იმპორტის დონეზე შეადგინა [REDACTED] (გრაფიკი 1). გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია სრულად იყო დამოკიდებული ევროპულ, კონკრეტულად კი რუმინეთიდან იმპორტირებულ საწვავზე, 2022 წელს კომპანიის მიერ იმპორტირებულ საქონელს არ გააჩნდა კონკურენტული უპირატესობა თვითღირებულების ნაწილში.⁹⁴

⁹⁴ შპს „რომპეტროლ საქართველო“ 2022 წლის 26 სექტემბრის წერილი (რეგ. 26 სექტემბერი, N01/1710).

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2021 წლის 23 ივლისის წერილი (რეგ. 26 ივლისი, N01/1197); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 28 იანვრის წერილი (რეგ. 28 იანვარი, N01/169); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 25 იანვრის წერილი (რეგ. 26 იანვარი, N01/144); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 21 სექტემბრის წერილი (რეგ. 22 სექტემბერი, N01/1681); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 23 სექტემბერი, N01/1694); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1749); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1746).


საბაჟო ღირებულება მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს კომპანიის მიერ იმპორტირებული და შიდა ბაზარზე შექმნილი საქონლის (დღგ-ს და აქციზის გარეშე) ყოველთვიურ რაოდენობასთან შეწონილ საშუალო მაჩვენებელს. **საცალო ფასი** - კომპანიის კონკრეტული თვის ბოლოს ტაბლოზე არსებული ფასი, ფასდაკლების/ლოიალობის პროგრამის გარეშე.





იმპორტიორი ეკონომიკური აგენტის მიერ საავტომობილო საწვავის პირდაპირი იმპორტის გარდა (საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება), საქონლის მოთავსება შესაძლებელია საბაჟო საწყობში დროებითი შენახვის რეჟიმში, რა დროსაც საქონელი არ არის მოქცეული თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში და არ არის გადახდილი საბაჟო გადასახადები - დღგ და აქციზი. აღნიშნული გზით ქვეყანაში შემოტანილმა საწვავმა, შპს „რომპეტროლ საქართველოს“ შემთხვევაში, 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში შეადგინა ბაზრის სრული მოცულობის [REDACTED]%. შესაბამისად - საქონლის დროებითი შენახვის რეჟიმით და პირდაპირი იმპორტით (წინმსწრები რეჟიმის გარეშე) იმპორტირებული საქონლის მოცულობის გათვალისწინებით, შპს „რომპეტროლ საქართველოს“ წილმა ბაზრის შესაბამის დონეზე 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში შეადგინა [REDACTED]% (გრაფიკი 2). ეკონომიკურ აგენტს შეუძლია საბაჟო საწყობში - დროებითი შენახვის რეჟიმში მოთავსებული პროდუქციის რეალიზება მოახდინოს უშუალოდ საბაჟო საწყობიდან სხვა ეკონომიკურ აგენტზე და შემდგომის მიერ მოხდება საქონლის მოქცევა კონკრეტულ იმპორტის პროცედურაში (ტრეიდინგი). ასევე, კომპანიას შეუძლია საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე მოაქციოს საქონელი იმპორტის რეჟიმში:⁹⁵

⁹⁵ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2021 წლის 23 ივლისის წერილი (რეგ. 26 ივლისი, N01/1197); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 28 იანვრის წერილი (რეგ. 28 იანვარი, N01/169); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572).




მიუხედავად იმისა, რომ შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მიერ 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვარზე შემოტანილი საქონლის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის ანალოგიურ პერიოდს, კომპანიის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის იმპორტირებული საქონლის მოცულობა სტაბილურია:




საბაჟო საწყოში დროებითი შენახვის რეჟიმში მოქცეული საქონლის სხვა ეკონომიკურ აგენტებზე რეალიზაციის მოცულობა მზარდია, კერძოდ, 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მიერ აღნიშნული გზით რეალიზებული საქონლის მოცულობა 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში მეტია [redacted]-ით, პრემიუმის შემთხვევაში [redacted]-ით, ხოლო დიზელის შემთხვევაში [redacted]-ით:

გრაფიკი 24




სააგენტო შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ეკონომიკური საქმიანობის ნაწილში, ყურადღებას ამახვილებს სწორედ აღნიშნულ პრაქტიკაზე, რომელსაც კომპანია იყენებდა საბაჟო საწყოებთან დაკავშირებით. კერძოდ, 2022 წელს ბაზარზე არსებული ტურბულენტობის გათვალისწინებით, საბაჟო საწყოებში სხვადასხვა პერიოდში მოთავსებული საქონლის თვითღირებულება არსებითად განსხვავებული იყო ერთმანეთისგან. შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მიერ, საბაჟო საწყოებიდან ტრეიდინგის გზით რეალიზებული საწვავის თვითღირებულება გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე კომპანიის მიერ უშუალოდ საკუთარი მოხმარებისთვის (საბითუმო ბაზარი, საცალო ბაზარი) განბაჟებული საწვავი (გრაფიკი 25-26-27). კონტრასტი ფიქსირდება თებერვლის თვიდან და მეტად გამოკვეთილია რეგულარის მარკის საწვავზე. კერძოდ, 1 ლიტრი საწვავის შემთხვევაში სხვაობა მერყეობდა [redacted] თეთრის ფარგლებში:





რაც შეეხება ეკონომიკური აგენტის მიერ 2021-2022 წლებში (იანვარი-აგვისტო) საცალო ბაზარზე რეალიზებული საწვავის მოცულობას:



2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საცალო ბაზარზე რეალიზებული რეგულარის მარკის საწვავის მოცულობა შემცირდა [REDACTED]-ით, პრემიუმის შემთხვევაში, გაყიდვების მოცულობა გაიზარდა [REDACTED]-ით, ხოლო დიზელის შემთხვევაში ასევე დაფიქსირდა [REDACTED]-იანი ზრდა. სამივე სახეობის საწვავზე ფასწარმოქმნა მეტ-ნაკლებად პარალელური იყო კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ანალოგიურ საწვავთან მიმართებით და იმეორებდა 2022 წელს არსებულ ტრენდს.

შპს „რომპეტროლ საქართველოსთან“ დაკავშირებით, განხორციელებული მოკვლევის პროცესში იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება:

საწვავის წარმოშობა - კომპანია ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ რუმინული წარმოშობის საწვავით;

საწვავის თვითღირებულება - საკუთარი მიზნებისთვის იმპორტირებული საწვავი თვითღირებულების ნაწილში არ არის კონკურენტული სხვა მსხვილი კომპანიების მიერ იმპორტირებულ საწვავთან შედარებით;

საბაჟო საწყოები - 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, კომპანიას საბაჟო საწყოებში გააჩნდა მნიშვნელოვნად დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავი დიდი მოცულობით;

ტრეიდინგი - კომპანია ახორციელებდა დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის რეალიზაციას სხვა - მათ შორის, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებზე, ხოლო მაღალი თვითღირებულების საწვავი საბაჟო საწყოებიდან ან/და პირდაპირი იმპორტის მეშვეობით გაჰქონდა საკუთარ ქსელში;

საბაჟო საწყოები - 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში საბაჟო საწყოებიდან რეალიზებული საწვავის მოცულობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში გაზრდილია [REDACTED]-ით, პრემიუმის შემთხვევაში [REDACTED]-ით, ხოლო დიზელის - [REDACTED]-ით;

ფასნამატი - იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საკუთარი მიზნებისთვის პირდაპირი იმპორტის ან/და საბაჟო საწყოებიდან საწვავის იმპორტის შემთხვევაში, კომპანია იყენებდა მაღალი თვითღირებულების საწვავს, საცალო ბაზარზე ფასნამატი მცირეა, განსაკუთრებით რეგულარის მარკის საწვავზე;

კონკურენტული უპირატესობა - პრემიუმის მარკის საწვავის შემთხვევაში 2022 წლის ივნისის თვემდე, ხოლო რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში თებერვალი-აგვისტოს შუალედში, კომპანიის მიერ საბაჟო საწყოებიდან რეალიზებულ და საკუთარი მიზნებისთვის იმპორტის რეჟიმში მოქცეულ საწვავს შორის სახეზეა მნიშვნელოვანი სხვაობა, რაც მერყეობს [REDACTED] თეთრის შუალედში;

ერთგვაროვნება - კომპანიის მიერ საკუთარ ქსელში/მოხმარებისთვის იმპორტირებული საწვავის მოცულობა 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, [REDACTED] წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, იმ პირობებში, როდესაც 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში გეოგრაფიულ საზღვარზე შემოტანილი საწვავის მოცულობა [REDACTED] წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

როგორც უკვე აღინიშნა, საცალო ბაზარი ნებისმიერი კომპანიისთვის უნდა წარმოადგენდეს/წარმოადგენს პოტენციურად ყველაზე მაღალი მოგების მიღების და მოგების მაქსიმიზაციის პრიორიტეტულ მიმართულებას, რადგან ბაზრის ამ დონეზე საქონლის ფასი ყველაზე მაღალია. იმ პირობებში, როდესაც მაგალითისთვის, რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში კომპანიის [REDACTED], რის პარალელურადაც 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში კომპანიის მიერ რეგულარის მარკის საწვავის რეალიზაციის მოცულობა საცალო ბაზარზე [REDACTED]-ით შემცირდა, ეკონომიკურ ინტერესს მოკლებულია კომპანიის გადაწყვეტილება კონკურენტებზე [REDACTED] ლარამდე შედარებით დაბალი თვითღირებულების საწვავის მიყიდვის შესახებ. აღნიშნული უპირველეს ყოვლისა ეწინააღმდეგება კომპანიის ბიზნეს ინტერესს - მიიღოს მეტი მოგება. უფრო მეტიც, როგორც კომპანიასთან გამართულ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე დადასტურდა, მათთვის ცნობილი იყო რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის გადამწყვეტად დაბალი თვითღირებულების შესახებ,⁹⁶ ასევე აღინიშნა ის ფაქტიც, რომ საფასო პოლიტიკის კუთხით შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ წარმოადგენდა მათთვის ძირითად კონკურენტ კომპანიას. ამ პირობებში, ხელშეკრულებით თუ სხვაგვარი ზეპირი შეთანხმებით, სხვა - მათ შორის, კონკურენტ კომპანიებზე საბაჟო საწყობიდან დაბალი თვითღირებულების საწვავის რეალიზაცია უკიდურესად სარისკო ნაბიჯი იქნებოდა, რადგან კონკურენტულ ბაზარზე დაბალი თვითღირებულების მქონე რუსული საწვავის ხელმისაწვდომობაზე ინფორმაციული წვდომის პირობებში - მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ამგვარი საწვავით ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიების მხრიდან საფასო კონკურენცია. რასაკვირველია, რისკი არ იარსებებდა, თუ წინასწარ გამოირიცხებოდა ამგვარი საფასო კონკურენცია, რაც სააგენტოს პოზიციით შესაძლებელია მხოლოდ კოორდინირებული - შეთანხმებული ქმედების პირობებში. სააგენტოს პოზიციის სხვაგვარი ფორმულირებით, თუ კონკურენტი - მაგ. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ მოახდენდა საწვავის საცალო ფასის 20 თეთრით შემცირებას, შპს „რომპეტროლ საქართველოს“ საცალო ბაზარზე ექნებოდა 20 თეთრით უფრო მაღალი ფასი და შეუმცირდებოდა რეალიზებული საწვავის მოცულობა, ან კომპანია ასევე შეამცირებდა ფასს 20 თეთრით და იმავე მოცულობის საწვავის რეალიზაციას მოახდენდა 20 თეთრით ნაკლები ფასნამატით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი შემცირებული საცალო ფასი ვერ დაფარავდა საქონლის იმპორტის, საგადასახადო და საოპერაციო ხარჯებს.

⁹⁶ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 05.12.2022 - შპს „რომპეტროლ საქართველო“; ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2, თარიღი: 28.11.2022 - შპს „რომპეტროლ საქართველო“.

დამატებით, როგორც უკვე აღინიშნა, შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მიერ ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვარზე 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში შემოტანილ იქნა მნიშვნელოვნად დიდი მოცულობის საწვავი. ამავდროულად, კომპანიის არსებული ფასწარმოქმნის პირობებში საცალო ბაზარზე შეუძლებელი იყო საწვავის ამ მოცულობის რეალიზაცია - აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ არსებული ფასწარმოქმნით კომპანიამ ისიც კი ვერ შეძლო, რომ მოეხდინა წინა წლის ანალოგიური პერიოდის რეალიზაციის მაჩვენებლის [REDACTED] რეგულარის ნაწილში - რეალიზაცია [REDACTED] %-ით, ხოლო პრემიუმის მაჩვენებელი [REDACTED] %-ით. შესაბამისად, საცალო ბაზარზე საწვავის დამატებითი მოცულობის რეალიზაციას და მეტი მოგების მიღებას ესაჭიროებოდა კონკურენტული ფასი - რაც გამორიცხა ბაზარზე არსებულმა კოორდინირებულმა ქცევამ.

რაც შეეხება უშუალოდ მოგების მაქსიმიზაციის საკითხს, შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მიერ 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში საბაჟო საწყობიდან საქონლის რეალიზაცია განხორციელდა 3 ეკონომიკურ აგენტზე - [REDACTED]. მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, კომპანია იღებდა ვალდებულებას, საქართველოში საწვავი მიეწოდებინა [REDACTED]. აღნიშნულის პარალელურად, კომპანია ახორციელებდა [REDACTED] თეთრით უფრო მაღალი თვითღირებულების საწვავის შეტანას საკუთარ საცალო ქსელში, [REDACTED] რეალიზაციის მაჩვენებელი, საერთაშორისო ბაზარზე ფასის აღმავალი ტრენდის რისკი სრულად გადაქონდა საცალო მომხმარებელზე - რაც შეუძლებელი იქნებოდა საცალო ბაზარზე მოქმედი რომელიმე კომპანიის მხრიდან მოსალოდნელი კონკურენციის პირობებში და შესაბამისად, კოორდინირებული ქმედების გარეშე. აღნიშნული შეუძლებელი იქნებოდა მსგავსი პრაქტიკით მოქმედი საწვავის შემძენი კომპანიების ან/და მათგან საწვავის შემძენი ან/და საცალო ბაზარზე მოქმედი სხვა 4 ეკონომიკური აგენტის მხრიდან მოსალოდნელი კონკურენციის პირობებში.

სააგენტო მიუთითებს, რომ ახსნა-განმარტებითი შეხვედრის დროს, კომპანიამ სადავოდ გახადა სააგენტოს მიერ განხორციელებული კალკულაცია.⁹⁷ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ წერილობით პოზიციაში მიუთითებს, რომ რეალიზაციის ყველა არხის განვითარება წარმოადგენს კომპანიის მიზანს და აღნიშნული მიზანი გაცხადებული იყო სააგენტოსთან კომუნიკაციის ყველა ეტაპზე. კომპანია აღნიშნავს, რომ გააჩნია რეალიზაციის სამი არხი - ბენზინგასამართი სადგურები, საბითუმო გაყიდვები (განბაჟებული), საბითუმო (განუბაჟებული - ტრეიდინგი). ასევე მოყვანილია 2022 წელს რეალიზაციის თითოეული არხით რეალიზებული საწვავის მოცულობა და აღნიშნულია რომ [REDACTED] % შეადგინა ბენზინგასამართი სადგურებით რეალიზებულმა საწვავმა.⁹⁸

⁹⁷ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N5, თარიღი: 05.12.2022 - შპს „რომპეტროლ საქართველო.“

⁹⁸ შპს „რომპეტროლ საქართველო“ წერილობითი პოზიცია, 29.06.2023, N 01/2169.

კომპანია აღნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ დათვლილი მონაცემები შეიცავს უზუსტობებს, რის შედეგადაც სააგენტოს მიერ მისი ქმედება წარმოჩინდა, როგორც ბაზრისთვის არაბუნებრივი, კერძოდ:

1. სააგენტოს მიერ გამოანგარიშებული და პროექტში გამოყენებული თვის საშუალო ფასი არ არის სწორი;
2. საწვავის განბაჟება ხორციელდება [REDACTED], რაც ზეგავლენას ახდენს საცალო ფასის წარმოქმნაზე, მაგალითად [REDACTED], რაც გავლენას ახდენს შემოსავლიანობაზე;
3. საოპერაციო ხარჯების ნაწილი არ ემთხვევა კომპანიის დათვლებს.

სააგენტოს პოზიციით, რეალიზაციის ყველა არხის განვითარება რასაკვირველია შესაძლებელია წარმოადგენდეს კომპანიის მიზანს და სტრატეგიას, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეალიზაციის ყველა არხი შეუძლებელია კომპანიისთვის იყოს თანაბრად მნიშვნელოვანი/მომგებიანი. მაგალითად, ტრეიდინგის მეშვეობით კომპანიის მიერ რეალიზებულ საწვავზე ფასნამატი კომპანიის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებებით შეადგენდა გემის კონოსამენტის წინა [REDACTED]. შესაბამისად, რეალიზაციის ეს არხი გამოირჩევა მინიმალური ფასნამატით, ხოლო ვინაიდან საცალო ბაზარზე ყველაზე მაღალ ფასად ხორციელდება საწვავის რეალიზაცია, იგი იძლევა უფრო მეტი მოგების მიღების შესაძლებლობას - რაც უდავოდ წარმოადგენს ნებისმიერი კომპანიის მიზანს.

კომპანიის მიერ რეალიზაციის სახეების მიხედვით წარმოდგენილი ციფრები არ ასახავს რეალობას შესასწავლ პერიოდში. სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულია, რომ კომპანიას სწორედ შესასწავლ პერიოდში გააჩნდა დაბალი თვითღირებულების მქონე ევროპული საწვავი საბაჟო საწყობებში, შესაბამისად, მხოლოდ შესასწავლი პერიოდის მონაცემების მხედველობაში მიღებით დგინდება რადიკალურად განსხვავებული ფაქტობრივი მოცემულობა, კერძოდ, 2022 წლის იანვარ-აგვისტოში კომპანიის მიერ საცალო ბაზარზე მოხდა გეოგრაფიულ საზღვარზე შემოტანილი საწვავის [REDACTED]-ის რეალიზება, ნაცვლად კომპანიის მიერ შემოთავაზებული [REDACTED]-ისა. ის ფაქტი, რომ მოკვლევით შესასწავლი პერიოდის შემდეგ კომპანიის რეალიზაცია თრეიდინგის არხში [REDACTED], სააგენტოს პოზიციით განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კომპანიას [REDACTED]. შესაბამისად, 2022 წლის სექტემბერ-დეკემბერში საცალო რეალიზაციის და ტრეიდინგის მოცულობების დამატება და წლიური რეალიზაციის გამოთვლა რასაკვირველია იძლევა განსხვავებულ შედეგებს, ხოლო იმ პერიოდთან დაკავშირებით, როდესაც კომპანიას გააჩნდა დაბალი თვითღირებულების საწვავი, მონაცემები დათვლილია სააგენტოს მიერ. ამასთან, კომპანია გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ პოტენციურად ყველაზე მაღალი მოგების მიღების შესაბამის არხში - ბენზინგასამართ სადგურებში, მისი რეალიზაციის მაჩვენებლები შესასწავლ პერიოდში წინა

წელთან შედარებით [REDACTED] (გრაფიკი 28), ხოლო ტრედიინგში გაზრდილია შემდეგნაირად: რეგულარი - [REDACTED]%, პრემიუმი - [REDACTED]%, ხოლო დიზელი - [REDACTED]%.⁹⁹

კომპანიის მიერ წარმოდგენილ წერილობით პოზიციაში მითითებულ უზუსტობებთან დაკავშირებით სააგენტო აღნიშნავს შემდეგს: 1. გრაფიკი 19-21 გადაწყვეტილების პროექტში წარმოდგენილია სქოლიოთი, სადაც მოცემულია საცალო ფასის მეთოდოლოგია - თვის ბოლოს არსებული ფასი. 2. საცალო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით, კომპანიის აპელირება მარაგებზე არარელევანტურია ორი ფაქტორის გამო: ა) სააგენტო არ აპელირებს კომპანიის ფასნამატზე საცალო დონეზე, როგორც ქმედების შემადგენელ ნაწილზე; ბ) საწვავის თვითღირებულების ნაწილში მოცემულია კონკრეტული კომპანიის მიერ კალენდარული თვის განმავლობაში იმპორტირებული და შიდა ბაზარზე შექმნილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქონლის საშუალო შეწონილი მაჩვენებელი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიებს გააჩნიათ საშუალოდ ერთი თვის მარაგი (საკითხი დაზუსტებულია ახსნა-განმარტებით შეხვედრებზე), სააგენტომ ფასნამატის გამოსათვლელად, საწვავის თვითღირებულების ყოველთვიურ საშუალო შეწონილ ფასთან ერთად გამოიყენა განსახილველი თვის ბოლო რიცხვში არსებული ფასი. რაც ნიშნავს იმას, რომ თუ საცალო ფასები ხასიათდებოდა აღმავალი ტრენდით - გამოყენებულია თვის ბოლოს არსებული მაღალი ფასი (2022 წლის მარტის თვე), ხოლო თუ ბაზარი ხასიათდებოდა ფასების დაღმავალი ტრენდით - გამოყენებულია თვის ბოლოს არსებული დაბალი ფასი (2022 წლის აგვისტოს თვე). შესაბამისად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიებს საშუალოდ გააჩნიათ 1 თვის საწვავის მარაგი, კონკრეტული თვის ბოლოს უნდა მომხდარიყო დაბალი თვითღირებულების მქონე მარაგის ასახვა საცალო ფასზე ან/და აღნიშნული აუცილებლად უნდა ასახულიყო საცალო ფასზე მომდევნო თვის მაჩვენებლებში. 3. საოპერაციო ხარჯების ნაწილში სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია არა საოპერაციო ხარჯების სიდიდე, არამედ ის ფაქტი, მოხდა თუ არა ამ ხარჯების არსებითი ცვლილება, რასაც გავლენა ექნებოდა საცალო ფასზე, რომელიც, თავის მხრივ, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ არ ყოფილა ქმედების შემადგენელი ნაწილი.

კომპანია თავის წერილობით პოზიციაში უთითებს, რომ ტრედიინგის გზით საწვავის რეალიზება ხორციელდება 3 კომპანიაზე - [REDACTED]. ამასთან [REDACTED]-ზე მოდის საწვავის რეალიზებული მოცულობის [REDACTED]%. [REDACTED]. ხოლო სხვა [REDACTED]-ის რეალიზება შემსყიდველი კომპანიების მიერ ხორციელდება [REDACTED] და შესაბამისად, ამ გზით რეალიზებულმა საწვავმა კონკურენცია უნდა გაუწიოს ამ სექტორში არაევროპულ საწვავს. კომპანია ასევე მიუთითებს, რომ ბაზარი გაჯერებული იყო რუსული საწვავით და ყოველგვარ ლოგიკურ აზრს მოკლებულია ტრედიინგის მეშვეობით ძვირიანი საწვავის რეალიზაცია, რადგან მას არავინ იყიდის. კომპანია მიუთითებს, რომ „საგულისხმოა თუ რამდენად მოხერხდებოდა ტრედიინგის გზით რეალიზებული საწვავის რეალიზაცია ბენზინგასამართი სადგურების მეშვეობით - [REDACTED]“.¹⁰⁰

⁹⁹ გრაფიკი: 22, 24, 28.

¹⁰⁰ შპს „რომპეტროლ საქართველოს“ წერილობითი პოზიცია, 29.06.2023, N 01/2169.

ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო მიუთითებს, რომ ტრეიდიנגის მეშვეობით სამ სხვა კომპანიაზე რეალიზებული საწვავის [REDACTED]. ამასთან, კომპანიის მიერ მოყვანილი ფაქტი, რომ ამგვარი გზით რეალიზებული საწვავი კონკურენციას უწევდა [REDACTED], კიდევ ერთხელ აღნიშნავს თუ რამდენად მნიშვნელოვნად დაბალ ფასად ხდებოდა მისი რეალიზაცია ტრეიდიנגის მეშვეობით (გრაფიკები 25-27). მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან აპელირება იმაზე, რომ ტრეიდიנגის მეშვეობით ხდებოდა დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის რეალიზაცია, ხოლო სხვა შემთხვევაში ამ გზით საწვავს არავინ იყიდდა, არარელევანტურია სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული ქმედების ნაწილში, რადგან ეს უკანაკნელი მოიცავს კომპანიის გადაწყვეტილებას მოახდინოს მხოლოდ მაღალი თვითღირებულების მქონე საწვავის საცალო ქსელში, ხოლო დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის ტრეიდიგში გატანა. ამასთან, არ ფიქსირდება დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის გატანა საცალო ქსელში. მნიშვნელოვნად დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის რეალიზაცია უდავოდ უფრო მომგებიანი იქნებოდა საცალო ქსელში - როგორც კომპანია აღნიშნავს, ეს საწვავი [REDACTED] - ამ უკანასკნელში კი კომპანიებს გააჩნდათ მნიშვნელოვნად დაბალი ფასი, რომელიც სააგენტოს დაკვირვებით იყო 50-70 თეთრით უფრო დაბალი ვიდრე მსხვილ ქსელებში. აღნიშნულის პარალელურად, კომპანია გვერდს უვლის იმ ფაქტს, თუ როგორ მოახერხა მან მაღალი თვითღირებულების მქონე ევროპული საწვავის რეალიზაცია საცალო ქსელში, იმ პირობებში როდესაც მისთვის ცნობილი იყო რუსული საწვავის კონკურენტული უპირატესობის შესახებ. როგორც სააგენტომ აღნიშნა, ეს შეუძლებელი იქნებოდა კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მხრიდან შესაძლო/მოსალოდნელი კონკურენციის პირობებში.

კომპანია ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საეჭვოა, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა მეტი ოდენობის საწვავის რეალიზაცია საცალო ქსელში - თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა მნიშვნელოვნად დაბალი თვითღირებულების საწვავი, არც ერთ ეტაპზე არ მომხდარა პარალელური ფასწარმოქმნიდან გადახვევა, რასაც შესაძლებელია გამოველინა [REDACTED]. სააგენტოს პოზიციით, კომპანიის ამგვარი/აღწერილი ქმედება შეუძლებელი იქნებოდა კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მხრიდან მოსალოდნელი საფასო კონკურენციის პირობებში.

მოპასუხე ეკონომიკური აგენტი მიუთითებს სააგენტოს მიერ სატელეფონო კომუნიკაციის, როგორც კოორდინირებული ქმედების დამადასტურებელ ერთ-ერთი მტკიცებულების არასწორად გამოყენებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ კომუნიკაციის ფაქტები მოცემულია მხოლოდ ეკონომიკური მტკიცებულებების შემდეგ. შესაბამისად, კომუნიკაციის ფაქტები წარმოადგენს მტკიცების მხოლოდ ერთ-ერთ დამატებით პლუს ფაქტორს და საქმისათვის მისი მნიშვნელობა განპირობებულია მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებების არსებობის პირობებში.

სააგენტოში გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე (როგორც საჯარო, ასევე ნაწილობრივ დახურულ ნაწილში), მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა დამატებით ყურადღება გაამახვილა

რამდენიმე ფაქტორზე, კერძოდ, კომპანიის წარმომადგენლებმა მიუთითეს შემდეგ გარემოებებზე:

1. 2022 წელს ე.წ. ხუთეულის ჯამური საბაზრო წილი [REDACTED] - სააგენტო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებით წარმოდგენილი კოორდინირებული ქმედება მიზნად ისახავდა ერთი მხრივ საცალო ბაზარზე მაღალი ფასნამატის მიღებას/არებულის შენარჩუნებას, ხოლო მეორე მხრივ საცალო ბაზარზე მაღალი თვითღირებულების მქონე საწვავის რეალიზაციას კონკურენტული წნეხის გამორიცხვის პირობებში, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ აღნიშნულის და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განსახილველ პერიოდში არაბუნებრივად გაიზარდა სხვაობა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საცალო და ბაზარზე მოქმედი მცირე ქსელების საცალო ფასებს შორის, შემცირდა კონკრეტული მოპასუხე ეკონომიკური აგენტის/აგენტების კონკრეტული სახეობის/სახეობების საწვავის რეალიზაცია. ამ პირობებში, გონივრული იქნებოდა საცალო ფასის შემცირება, როგორც საპასუხო ქმედება - რაც არ მომხდარა. ამასთან, საცალო ბაზარზე რეალიზაციის [REDACTED] ფიქსირდება მხოლოდ ევრო რეგულარის მარკის საწვავის ნაწილში;

2. შპს „რომპეტროლ საქართველო“ შესაბამის ბაზარზე არ მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებით, არამედ ის არის საერთაშორისო ჰოლდინგის ერთ-ერთი წევრი და შესაბამისი ვალდებულებები გააჩნია მის დედა კომპანიასთან. აქედან გამომდინარე, კომპანიის პოზიციით აღნიშნული გარემოება სააგენტოს მიერ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქმედების შეფასებისას - სააგენტოს პოზიციით, შპს „რომპეტროლ საქართველო“ ქართული საავტომობილო საწვავის ბაზარზე ოპერირებს დამოუკიდებლად და სწორედ ის არის შესაბამისი ბაზრის მონაწილე (და არა - დედა კომპანია). აქედან გამომდინარე, სააგენტო შესაბამის ბაზარზე არსებულ რისკებსა და სარგებელს განიხილავს ამავე ბაზრის სუბიექტების მიმართ.

3. 2022 წელს კომპანიის მიერ საწვავის გაყიდვების მოცულობა ტრედიდინგის არხის განვითარების გზით [REDACTED] წინა წელთან შედარებით - სააგენტო აღნიშნავს, რომ აღნიშნული გარემოება ასევე იდენტიფიცირებულია გადაწყვეტილებაში. თუმცა ის არ წარმოდგენს ქმედებას, რის გამოც სააგენტო შპს „რომპეტროლ საქართველოს“ განიხილავს კოორდინირებული ქმედების მონაწილედ და შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში არარელევანტურია.

4. კომპანია ვერ შეძლებდა საცალო ქსელში დაბალი თვითღირებულების მქონე პროდუქციის მთლიანად გატანას, რადგან კომპანიას გააჩნდა [REDACTED] - სააგენტო მიუთითებს, რომ აღნიშნული გარემოებები საქმის მასალებით არ დგინდება და მათზე აპელირება კომპანიის მხრიდან გაუმართლებელია.

5. 2022 წელს კომპანიამ გაყიდვების დამტკიცებული გეგმა [REDACTED]. 2022 წელს კომპანიის გაყიდვები [REDACTED]. 2022 წელს კომპანიამ [REDACTED]. კომპანია აპელირების იმ გარემოებაზე, რომ სხვაგვარად მოქმედების შემთხვევაში, დაბალი ხარისხის საწვავი უნდა გაეყიდათ საკუთარ საცალო ქსელში. ტრედიდინგის გზით შემოტანილი საწვავის რეალიზაცია [REDACTED].

სააგენტოს პოზიციით, კომპანიის [REDACTED] არ არის კავშირში საცალო ფასწარმოქმნასთან, ამასთან კომპანია თავადვე მიუთითებს, რომ [REDACTED], შესაბამისად საცალო ბაზარზე დაბალი თვითღირებულების საწვავის გატანის და ფასის შემცირების პირობებში, ბაზრის ამ დონეზეც მოხდებოდა [REDACTED], რაც არ მომხდარა - 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში კომპანიამ განახორციელა [REDACTED] 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში რეალიზებული საწვავის [REDACTED] მოცულობის რეალიზაცია. შესაბამისად, საცალო ბაზარზე რეალიზებული საწვავის ამგვარი სტაბილური მოცულობა იმ პირობებში, როდესაც მას გააჩნდა მნიშვნელოვნად დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავი საბაჟო საწყობში, არაგონივრულია. კომპანიის აპელირება კონკურენციაზე იმ საფუძვლით, რომ მან მოახდინა [REDACTED], ეწინააღმდეგება მანადე გაჟღერებულ პოზიციას მის [REDACTED] მოცულობებთან დაკავშირებით. ამასთან, რეალიზაციის [REDACTED] ფიქსირდება მხოლოდ ტრედიინგის დონეზე. საცალო დონეზე პრემიუმის და დიზელის [REDACTED] საწვავის მოცულობა [REDACTED] წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო რეგულარის [REDACTED] %-ით. კომპანიის მითითება, რომ ტრედიინგის გზით ხორციელდებოდა დაბალი ხარისხის საწვავის რეალიზაცია და, შესაბამისად, ვერ მოხდებოდა მისი რეალიზაცია საცალო ქსელში, არ დასტურდება საქმეში არსებული მასალებით და არ შეესაბამება სინამდვილეს. რაც შეეხება ტრედიინგის გზით საწვავის 3-ჯერ უფრო სწრაფად რეალიზაციას, რასაკვირველია, საბითუმო დონეზე ადგილი აქვს ერთდროულად საწვავის დიდი მოცულობის რეალიზაციას, ხოლო საცალო დონეზე ერთჯერადი რეალიზაცია ხორციელდება ავტომანქანის ავზის მოცულობის გათვალისწინებით, თუმცა დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის საცალო ქსელში გატანის შედეგად, სააგენტოს პოზიციით, მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა მომხმარებლის ნაკადი, რაც უზრუნველყოფდა მის ასევე სწრაფ რეალიზაციას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კომპანიის მიერ ამგვარ ქმედებას - დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის საცალო ქსელში გატანას და მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებთან კონკურენციაში შესვლას ადგილი არ ჰქონია.

შემაჯამებელი სხდომის შემდეგ, კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა დამატებითი პოზიციები, კერძოდ:¹⁰¹

1. პოზიცია, რომ სააგენტოს მიერ გამოთვლილი მარაგების თვითღირებულება განსხვავებულია კომპანიის მონაცემებისგან - წარმოდგენილია გრაფიკები. ასევე მოყვანილია გამოთვლის მეთოდოლოგია, რისთვისაც კომპანია იყენებს სიმკვრივის შიდა სტანდარტით დადგენილ მაჩვენებელს, ლარის კურსის განსასაზღვრად გამოიყენება თვის საშუალო კურსი.

სააგენტო აღნიშნავს, რომ პროდუქტის თვითღირებულების გამოთვლისთვის გამოყენებულ იქნა სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები, სადაც მოცემულია ქვეყანაში საქონლის შემოტანის თითოეული პროცედურის დროს არსებული ლარის გაცვლითი კურსი, ასევე მოცემულია საქონლის რაოდენობა ლიტრებში. შესაბამისად, კომპანიის შიდა სტანდარტით გამოყვანილი სიმკვრივის მაჩვენებელი 1 ტონა საწვავის ლიტრის

¹⁰¹ შპს „რომპეტროლ საქართველოს“ 20 ივლისის #07-49.13HQ11 (რეგ. 21 ივლისი, N01/2445).

განსასაზღვრის მიზნით, ვერ იქნება უფრო ზუსტი, ვიდრე საქონლის ქვეყანაში შემოტანის დროს მითითებული ოფიციალური უწყების მაჩვენებელი. ასევე, ლარის გაცვლითი კურსი საქონლის თითოეული შემოტანის დროს აშკარად უფრო ზუსტი მაჩვენებელია, ვიდრე თვის საშუალო კურსი.

2. კომპანია აპელირებს, რომ სააგენტოს მიერ ფასნამატების გამოთვლის მიზნით არ უნდა გამოეყენებინა საცალო ბაზარზე თვის ბოლოს არსებული ფასი;

სააგენტოს მიერ ფასნამატის გამოთვლის მიზნით გამოყენებული მეთოდოლოგიის მიზანს წარმოადგენს მარაგების ფაქტორის გათვალისწინება, რის შესახებაც სააგენტომ უკვე იმსჯელა წინამდებარე დოკუმენტში.

3. კომპანია წარმოადგენს მონაცემებს, რომლის მიხედვითაც 2022 წელს 2021 წელთან შედარებით ტრეიდინგის არხით [REDACTED] საწვავის მოცულობა და აღნიშნავს, რომ ანალოგიური მაჩვენებლით [REDACTED] საცალო ბაზარზე რეალიზებული საწვავის მოცულობა.

სააგენტო აღნიშნავს, რომ გაუგებარია, რას ემსახურება აღნიშნული მონაცემების წარმოდგენა. ტრეიდინგის გზით საწვავის [REDACTED] იმ პირობებში, როდესაც არ მომხდარა საცალო ბაზარზე რეალიზებული პრემიუმის და დიზელის ტიპის საწვავის მოცულობის [REDACTED], განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შესასწავლ პერიოდში გეოგრაფიულ საზღვარზე კომპანიამ განახორციელა საწვავის [REDACTED] შემოტანა (გრაფიკი 22). უფრო მეტიც, 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, რეგულარის რეალიზაცია საცალო ბაზარზე შემცირებულია [REDACTED]-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, იმ პირობებში, როდესაც კომპანიის მიერ გეოგრაფიულ საზღვარზე შემოტანილი რეგულარის მოცულობა გაზრდილია [REDACTED]-ით ([REDACTED]).

4. კომპანიის მიერ მოცემულია გრაფიკი (დანართი N4), სადაც მოცემულია თვითღირებულება კომპანიის მიერ საკუთარ ქსელში რეალიზებულ საწვავსა და ამავე პერიოდში ტრეიდინგის მეშვეობით რეალიზებულ საწვავს შორის. კომპანია აღნიშნავს, რომ სააგენტოს გამოთვლები მცდარია, კომპანიას არ უწყევდა ამ გზით რეალიზებულ საწვავზე დღგ-ს და აქციზის გადახდა, რაც სააგენტომ შეიყვანა თავის გამოთვლებში და შედეგად მიიღო მცდარი მონაცემები.

კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს ტრეიდინგის გზით რეალიზებული საწვავის თვითღირებულებას შემსყიდველი 3 კომპანიის დონეზე, იმ პირობებში, როდესაც მათ მიერ განხორციელდა საწვავის განსხვავებული მოცულობების შექმნა. შესაბამისად, იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი ტრეიდინგის გზით დაბალი თვითღირებულების საწვავის რეალიზაციას, გონივრულია საშუალო შეწონილი მონაცემების გათვალისწინება. ამასთან, არ შეესაბამება სინამდვილეს, თითქოს დღგ-ს და აქციზის გათვალისწინებით სააგენტომ ხელოვნურად მოახდინა სხვაობის წარმოჩინება. სააგენტოს მიერ მონაცემების შედარებითი დათვლა განხორციელდა გადასახადების გარეშე რეალიზაციის ორივე არხთან მიმართებით.

5. კომპანია აპელირებს, რომ ბაზარი გამჭვირვალეა და შესაბამისად, მარტივია კონკურენტების რეაგირება ფასის ცვლილებაზე. მცდარია სააგენტოს მოსაზრება, რომ ფასის 10 თეთრით დაწვევის შემთხვევაში მას ექნებოდა უპირატესობა, რადგან მის ამგვარ გადაწყვეტილებას ყოველთვის შეიძლება მოყვეს კონკურენტების მსგავსი დამოუკიდებელი გადაწყვეტილება.

გამჭვირვალე ბაზრის პირობებში, მართლაც მოსალოდენლია კონკურენტების საპასუხო ქცევა, მათ შორის საფასო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ ადგილი ჰქონდა რეალიზებული რეგულარის მარკის საწვავის შემცირებას - მომხმარებელი არჩევანს აკეთებდა მცირე ქსელებზე, ფასის შემცირება წარმოადგენდა გონივრულ გადაწყვეტილებას. თუმცა კომპანიის მოტივი ამ მიმართულებით გასხვავებულია, კერძოდ შპს „რომპეტროლ საქართველო“ წარმოდგენილი პოზიციების არც ერთ ნაწილში არ განიხილავდა დაბალ ფასიანი (მაგალითისთვის, რეგულარის მარკის) საწვავის რეალიზაციას საცალო ბაზარზე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მიერ გეოგრაფიულ საზღვარზე შემოტანილ იქნა ამ ტიპის საწვავის [REDACTED] მოცულობა, საცალო ბაზარზე რეალიზებული რეგულარის ტიპის საწვავის მოცულობის [REDACTED] მოითხოვდა ფასის შემცირებას, რასაც თუნდაც სხვა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ფასის შემცირების პირობებში, მაინც ექნებოდა გავლენა, რადგან შემცირდებოდა მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს და მცირე ქსელებს შორის არსებული არაბუნებრივად გაზრდილი ფასთაშორისი სხვაობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს პოზიციით, შპს „რომპეტროლ საქართველო“ მიერ 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში საკუთარი ბიზნეს ინტერესების [REDACTED] წარმოადგენს კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის კოორდინირებული ქმედების შედეგს და აღნიშნული შეუძლებელი იქნებოდა კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მხრიდან საცალო ბაზარზე საფასო კონკურენციის მოლოდინის არსებობის პირობებში.

4.3. შპს „ლუკოილ-ჯორჯია“


2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ (შემდგომში - „ლუკოილი“) ოპერირებას უწევდა „ლუკოილის“ ბრენდის ქვეშ მოქმედ 47 ავტო-გასამართ სადგურს, ხოლო 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში - 43 ავტო-გასამართ სადგურს.¹⁰²

შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ მიერ 2022 წელს (იანვარი-აგვისტო) განხორციელდა [REDACTED] ლიტრი საწვავის იმპორტი, რაც შეადგენდა ბაზრის იმპორტის დონის [REDACTED]-ს, ხოლო 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში - [REDACTED]-ს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ეკონომიკური აგენტის მიერ იმპორტირებული საწვავის აბსოლუტური

¹⁰² შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ 2023 წლის 27 აპრილის წერილი (რეგ. 2 მაისი, N01/1430).

უმრავლესობა წარმოადგენდა დამოუკიდებელ იმპორტს და ძირითადად ხორციელდებოდა ბულგარეთიდან. თუმცა, 2022 წლის მაისის თვიდან, მომწოდებელი ქვეყანა შეიცვალა და კომპანიამ დაიწყო აქტიური იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან:¹⁰³

გრაფიკი 29




2022 წლის ივნისი-აგვისტოს პერიოდში, ლუკოილის მიერ იმპორტირებული რეგულარის მარკის საწვავში რუსული საწვავის წილი შეადგენდა [redacted]-ს. პრემიუმის მარკის საწვავის შემთხვევაში, ივლისის თვეში ფიქსირდება [redacted]-ით რუსული წარმომავლობის საწვავი, გაზრდილია რუსული საწვავის კონცენტრაცია დიზელის მიმართულებით. იმპორტის პარალელურად, შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ საბითუმო ბაზარზე წარმოადგენს საწვავის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მიმწოდებელს, მათ შორის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებზე. 2022 წელს (იანვარი-აგვისტო) კომპანიამ საბითუმო ბაზარზე განახორციელა [redacted] მილიონი ლიტრი საწვავის რეალიზაცია, მათ შორის [redacted]-% - კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებზე. ყველაზე მსხვილ საბითუმო შემსყიდველს


¹⁰³ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2021 წლის 23 ივლისის წერილი (რეგ. 26 ივლისი, N01/1197); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 28 იანვრის წერილი (რეგ. 28 იანვარი, N01/169); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 25 იანვრის წერილი (რეგ. 26 იანვარი, N01/144); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 21 სექტემბრის წერილი (რეგ. 22 სექტემბერი, N01/1681); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 23 სექტემბერი, N01/1694); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1749); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1746).

წარმოადგენდა [REDACTED], რომლის წილმა „ლუკოილის“ საბითუმო რეალიზაციაში შეადგინა [REDACTED] %.

საცალო ფასწარმოქმნის კუთხით, ეკონომიკური აგენტი 2022 წელს მიყვებოდა ბაზარზე არსებულ ფასების ზრდის ტრენდს და შესაბამისად, 2022 წლის მარტის თვეში, რეგულარის მარკის 1 ლიტრს საწვავზე ფიქსირდება ფასის ზრდა **71** თეთრის ოდენობით, პრემიუმზე - **74** და დიზელზე **-1.1** ლარი (გრაფიკი 8-9-10). ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამ პერიოდში (2022 წლის მარტი) კომპანიას არ გააჩნდა რუსული საწვავი. მაისის, მეტწილად კი ივნისის თვიდან, რუსული საწვავის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად, შემცირდა კომპანიის საწვავის თვითღირებულება და შესაბამისად, საცალო ფასის უცვლელობის პირობებში, გაიზარდა ფასნამატი:

გრაფიკი 30






მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსული საწვავის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად შემცირდა კომპანიის მიერ იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება (გრაფიკი

30-31-32), თუმცა აღნიშნული არ ასახულა საცალო ფასზე. ეკონომიკური აგენტის მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას საწვავის თვითღირებულების ნაწილში - მეტწილად რეგულარის მარკის, ასევე პრემიუმის და დიზელის ნაწილში - არ ჰქონია გავლენა საცალო ფასწარმოქმნის ცვლილების და შესაბამისად, სხვა მსხვილ ეკონომიკურ აგენტებთან კონკურენციის კონტექსტში (ფასის შემცირების კუთხით), რაც აისახა კომპანიის საცალო ფასნამატზე, კერძოდ რეგულარის და პრემიუმის მარკის საწვავის შემთხვევაში ფასნამატი გაზრდილია █%-მდე. ფასწარმოქმნის ამგვარი პოლიტიკის შედეგად █ კომპანიის მიერ 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში საცალო ბაზარზე რეალიზებული რეგულარის მარკის საწვავის მოცულობა:¹⁰⁴

გრაფიკი 33



2021 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, კომპანიის მიერ საცალო ბაზარზე რეალიზებული რეგულარის და პრემიუმის მარკის საწვავის მოცულობა █ იყო. 2022 წლის ანალოგიურ პერიოდში, რეალიზებული პრემიუმის მარკის საწვავის მოცულობა █, თუმცა რეგულარის შემცირდა █%-ით. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საცალო ბაზარზე პოტენციურად შესაძლებელია ყველაზე მაღალი მოგების მიღება და კომპანიისთვის რასაკვირველია ცნობილი იყო რეალიზებული რეგულარის მარკის საწვავის მოცულობის დაბალი ტრენდი, სააგენტოს პოზიციით, ეკონომიკურ საფუძველს მოკლებულია კომპანიის საცალო პოლიტიკა რუსული საწვავის წილის ზრდის პარალელურად განსახილველი ტიპის საწვავზე მაღალი ფასის შენარჩუნების

¹⁰⁴ შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ 2022 წლის 28 სექტემბრის წერილი (რეგ. 28 სექტემბერი, N01/1740).

კუთხით. კერძოდ, ივნისის თვეში, რუსული საწვავის იმპორტის შედეგად, რეგულარის მარკის საწვავის თვითღირებულება [REDACTED] ლარით, ხოლო საცალო ფასი 7 თეთრით. ივლისის თვეში, რეგულარის მარკის საწვავის თვითღირებულება [REDACTED] და შესაბამისად [REDACTED] ლარით [REDACTED] მაისის თვის თვითღირებულებაზე, თუმცა საცალო ფასი გაიზარდა 15 თეთრით - რაც საბოლოოდ აისახა კომპანიის გაზრდილ ფასნამატში. გაზრდილი ფასნამატი ფიქსირდება პრემიუმის მარკის და დიზელის ტიპის საწვავის შემთხვევაშიც, ინდივიდუალურ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე, კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათთვის ერთ-ერთ არსებით ფაქტორს ფასწარმოქმნის პროცესში წარმოადგენს იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება.¹⁰⁵ პარალელურად კომპანიამ განმარტა, რომ საცალო ბაზარზე ოპერირებისას მის პრიორიტეტს წარმოადგენს [REDACTED] შენარჩუნება.

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ ახორციელებს მნიშვნელოვანი ოდენობის საწვავის მიწოდებას საბითუმო ბაზარზე, სადაც მართალია ფასნამატი საცალო ბაზართან შედარებით მცირეა, თუმცა აღნიშნული კომპენსირდება მიწოდებული საწვავის მოცულობით. შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, ჩვეულებრივ პირობებში კომპანიისთვის მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ რეალიზებული რეგულარის მარკის საწვავის მოცულობა [REDACTED]. აღნიშნულის გათვალისწინებით, კონკურენტულ ბაზარზე გონივრული იქნებოდა განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება საცალო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით, ფასის შემცირების მიმართულებით. გარდა ამისა, კომპანიის წარმომადგენლების პოზიცია, რომ საწვავის თვითღირებულება წარმოადგენს მისი საცალო ფასწარმოქმნის განმაპირობებელ ფაქტორს - განსახილველ პერიოდთან მიმართებაში პრაქტიკაში არ დასტურდება, რადგან საცალო ფასწარმოქმნა აცდენილია თვითღირებულების მაჩვენებელს.

დამატებით, ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე სააგენტოს მიერ დასმულ შეკითხვაზე, თუ რატომ არ შეინარჩუნა კომპანიამ კონკურენტებთან შედარებით დაბალი ფასი ან/და რატომ არ აქვს ადგილი საფასო კონკურენციას - განსაკუთრებით რეგულარის და პრემიუმის სეგმენტში, კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რეგულარის შემთხვევაში, ეს შეუძლებელია, რადგან ფასებს შორის სხვაობა მცირე ქსელებთან შედარებით მაღალია და შეადგენს 50-60 თეთრს.¹⁰⁶ მოცემული პოზიციიდან გამომდინარე, სააგენტოსთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ თავის უშუალო კონკურენტებად მიიჩნევს არა მსხვილ კომპანიებს, არამედ მცირე ქსელებს და შესაბამის ბაზარზე კონკურენციის გაწევის შესაძლებლობას მხოლოდ აღნიშნული კომპანიების მიმართ განიხილავს.

რაც შეეხება პრემიუმის სეგმენტს - კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული სეგმენტის მომხმარებლები არ რეაგირებენ პროდუქტის ფასის ცვლილებაზე იმ დოზით, როგორც რეგულარის მომხმარებლები.¹⁰⁷ სააგენტო განსახილველი 5 კომპანიის


¹⁰⁵ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N6, თარიღი: 05.12.2022 - შპს „ლუკოილ-ჯორჯია.“

¹⁰⁶ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N6, თარიღი: 05.12.2022 - შპს „ლუკოილ-ჯორჯია.“

¹⁰⁷ იქვე.

საცალო ფასწარმოქმნის და რეალიზებული პროდუქციის ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ 2021 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში რეალიზებული რეგულარის მარკის საწვავის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო 2022 წელს შემცირებულია რეალიზაცია - როგორც 5 კომპანიის მიერ ჯამურად, [REDACTED] შემთხვევაშიც. აღნიშნული გარემოება კავშირშია მცირე ქსელებთან გაზრდილ ფასთაშორის სხვაობასთან. პრემიუმის მარკის საწვავთან დაკავშირებით, კომპანიის წარმომადგენლებს მთავარ კონკურენტულ უპირატესობად მიაჩნიათ მხოლოდ სერვისი და ბრენდი,¹⁰⁸ რაც შეეხება ფასისმიერ კონკურენციას - კომპანია აღნიშნავს, რომ ხარისხიანი პროდუქტი ყველა კომპანიის შემთხვევაში მსგავს ფასად არის ხელმისაწვდომი და კონკურენციას ადგილი უნდა ჰქონდეს სწორედ მომსახურების/სერვისის მეშვეობით.¹⁰⁹ სააგენტოს პოზიციით, ის ფაქტი, რომ პრემიუმის მარკის საწვავის შემთხვევაში, რეგულარის მსგავსად არ ფიქსირდება რეალიზაციის [REDACTED], განპირობებულია 2 გარემოებით: **1) პრემიუმის მომხმარებელს მართლაც გააჩნია სერვისზე და მომსახურებაზე მიჯაჭვულობის ფაქტორი; 2) პრემიუმის მარკის საწვავის შემთხვევაში საცალო ფასებს შორის სხვაობა განსახილველ 5 კომპანიას და მცირე ქსელებს შორის არ ხასიათდებოდა რეგულარის მსგავსი კონტრასტით:**

გრაფიკი 34



შედარებისთვის, რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში სხვაობა მსხვილ კომპანიებს და მცირე ქსელებს შორის 2022 წლის მარტის თვემდე შეადგენდა საშუალოდ 30-40

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N6, თარიღი: 05.12.2022 - შპს „ლუკოილ-ჯორჯია“.

თეთრს (გრაფიკი 17), ხოლო 2022 წლის მარტის შემდეგ პერიოდში 50-70 თეთრს. ანალოგიური მაჩვენებელი პრემიუმის მარკის საწვავის შემთხვევაში 2022 წლის მარტის თვემდე შეადგენდა 10-25 თეთრს, მარტის თვეში სხვაობა შენარჩუნებული იყო 10-20 თეთრის ფარგლებში, ხოლო მარტის შემდგომ პერიოდში, მაგ. შპს „პორტალ +“-თან შეადგინა 4-30 თეთრი, ხოლო გრაფიკ 34-ში მოყვანილ დამატებით 2 კომპანიასთან - 16-50 თეთრი. შესაბამისად, ერთი მხრივ, პრემიუმის მარკის საწვავის მომხმარებლების მაღალმა მსყიდველობითმა უნარმა და მიჯაჭვულობამ სერვისზე/ბრენდზე, ხოლო მეორე მხრივ შედარებით ნაკლებმა საფასო სხვაობამ მოპასუხე მსხვილ კომპანიებსა და მცირე ქსელებს შორის, განაპირობა ის ფაქტი, რომ პრემიუმის მომხმარებელმა ნაკლებად გააკეთა არჩევანი მცირე ქსელებზე. ამასთან, წარმოდგენილი გრაფიკით (34) იკვეთება, თუ რამდენად პარალელური იყო განსახილველ შემთხვევაში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ და შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ საცალო ფასწარმოქმნის პოლიტიკა - 2021 წლის 1-ლი ივლისიდან 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, სხვაობა ხსენებული 2 კომპანიის საცალო ფასებს შორის ყოველი თვის 1-ელ რიცხვში მერყეობდა 1-7 თეთრის ფარგლებში.

რაც შეეხება დიზელის ტიპის საწვავს - მიუხედავად იმისა, რომ შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ წინა წელთან შედარებით გაყიდვების მოცულობა [REDACTED], მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას 2022 წლის ივნისის თვეს, რადგან აღნიშნულ პერიოდში შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ მიერ იმპორტირებული საწვავის [REDACTED]-ს შეადგენდა რუსული წარმოშობის საწვავი, რომლის თვითღირებულება 1 ლიტრის მაგალითზე ევროპულ დიზელთან შედარებით იყო [REDACTED] ლარით დაბალი, ხოლო საცალო ბაზარზე შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ დიზელის ტიპის საწვავის ფასი არსებითად არ განსხვავდებოდა კონკურენტი ევროპული საწვავის იმპორტიორი კომპანიის ფასისგან, უფრო მეტიც, რიგ თვეებში აღემატებოდა კიდევ.

კომპანია წერილობით პოზიციაში აღნიშნავს, რომ სააგენტო პარალელურ ქმედებას ყოველგვარი დამატებითი გარემოების გარეშე მიიჩნევს შეთანხმებულ ქმედებად.¹¹⁰ ამასთან დაკავშირებით სააგენტო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების პროექტით წარმოდგენილი მტკიცების საკითხი ეყრდნობა არა იმთავითვე პარალელურ ქცევას, არამედ სხვა არაერთ ფაქტორს, რაც გამოიხატა მაღალ ფასნამატში, მოგების მაქსიმიზაციის კონკრეტული შესაძლებლობის უგულებელყოფაში იმ პირობებში, როდესაც მცირდებოდა კონკრეტული კომპანიების კონკრეტული სახეობის, თუ ტიპის საწვავის რეალიზაციის მოცულობა და ა.შ.

მოპასუხე ეკონომიკური აგენტი დამატებით მიუთითებს, რომ სააგენტოს მიერ არასწორად მოხდა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ორი ასპექტის გათვალისწინებით: 1) კონკურენციის შეზღუდვის შემადგენლობა გადაწყვეტილების პროექტში განხილულია საცალო დონეზე, ხოლო საბაზრო წილები დათვლილია იმპორტის დონეზე; 2) სააგენტომ მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ ბენზინი და დიზელი მომხმარებლის მხრიდან არ არის ურთიერთჩამნაცვლებელი.¹¹¹

¹¹⁰ შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 21.06.2023, N01/2066.

¹¹¹ შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 21.06.2023, N01/2066.

შესაბამის ბაზართან დაკავშირებით სააგენტო აღნიშნავს, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე წარმოებული მოკვლევის ფარგლებში, შესაბამისი ბაზრის საზღვრების დეტალური და ზუსტი დადგენა არ არის აუცილებელი, რადგან ზემოთხსენებულ საკანონმდებლო შემადგენლობებს გააჩნიათ კონკურენციის შემზღვეველი მიზანი, რაც საკმარისი საფუძველია განსახილველი სავარაუდო ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამოსავლენად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის პრაქტიკაში, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ნაკლებად მნიშვნელოვან როლს თამაშობს TFEU-ს 101-ე მუხლის საფუძველზე წარმოებული მოკვლევის მიზნებისათვის, განსაკუთრებით, კონკურენციის შემზღვეველი მიზნის მქონე შეთანხმებების კონტექსტში. ასეთ შემთხვევებში, რადგანაც სადავო ქვეყნის მიზანია კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა, ევროკავშირის სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, კომისიის მიერ შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენა არ არის აუცილებელი. რაც შეეხება ბაზრის იმპორტის დონეზე მოცემულ საბაზრო წილებს, აღნიშნული სააგენტოს მიერ გამოყენებულ იქნა საცალო დონეზე კონკურენციის შეზღუდვის მტკიცების ნაწილში.

წერილობით პოზიციაში კომპანია მიუთითებს, რომ სააგენტომ გამოტოვა საცალო ფასებზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორი - მარაგები. კომპანია ასევე მიუთითებს, რომ რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავი შეადგენდა შესასწავლ პერიოდში იმპორტირებული საწვავის სრული მოცულობის ██████%-ს, ხოლო ამ მოცულობიდან ██████%-ის რეალიზაცია მოახდინა ██████.¹¹² სააგენტო აღნიშნავს, რომ მის მიერ ფასსამატების გამოთვლისას არ მომხდარა მარაგების ფაქტორზე გვერდის ავლა, რაც ასახულია პროექტით წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში. კერძოდ, საწვავის თვითღირებულების ნაწილში მოცემულია კონკრეტული კომპანიის მიერ კალენდარული თვის განმავლობაში იმპორტირებული და შიდა ბაზარზე შექმნილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქონლის საშუალო შეწონილი მაჩვენებელი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიებს გააჩნიათ საშუალოდ ერთი თვის მარაგი (საკითხი დაზუსტებულია ახსნა-განმარტებით შეხვედრებზე), სააგენტომ ფასსამატის გამოსათვლელად, საწვავის თვითღირებულების ყოველთვიურ საშუალო შეწონილ ფასთან ერთად გამოიყენა განსახილველი თვის ბოლო რიცხვში არსებული ფასი. რაც ნიშნავს იმას, რომ თუ საცალო ფასები ხასიათდებოდა აღმავალი ტრენდით - გამოყენებულია თვის ბოლოს არსებული მაღალი ფასი (2022 წლის მარტის თვე), ხოლო თუ ბაზარი ხასიათდებოდა ფასების დაღმავალი ტრენდით - გამოყენებულია თვის ბოლოს არსებული დაბალი ფასი. შესაბამისად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიებს საშუალოდ გააჩნიათ 1 თვის საწვავის მარაგი, კონკრეტული თვის ბოლოს უნდა მომხდარიყო დაბალი თვითღირებულების მქონე მარაგის ასახვა საცალო ფასზე ან/და აღნიშნული აუცილებლად უნდა ასახულიყო საცალო ფასზე მომდევნო თვის მაჩვენებლებში. მაგალითისთვის, კომპანიის მიერ აღნიშნული მეთოდით იმპორტირებული/შიდა ბაზარზე შექმნილი საწვავის მაქსიმალური თვითღირებულება დაფიქსირდა 2022 წლის ██████ თვეში, ხოლო საცალო ფასმა შეადგინა 3.73 ლარი. თვითღირებულების მაჩვენებელი ხასიათდებოდა კლების ტრენდით ყოველ მომდევნო თვეში, შედეგად ივნისის თვეში

¹¹² შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 21.06.2023, N01/2066.

შეადგინა [REDACTED], ხოლო ივლისის თვეში [REDACTED], შესაბამისად სახეზეა ფასის მნიშვნელოვანი კლება. აღნიშნულის პარალელურად აგვისტოს თვის პირველ ნახევრამდე შენარჩუნებული იყო მაღალი ფასი - 3.75 ლარი. განსახილველ პერიოდში ადგილი ჰქონდა ფასის რამდენჯერმე ცვლილებას და მატებას, მაგალითად ივლისის თვეში კომპანიის მიერ განხორციელდა ფასის მატება [REDACTED] თეთრით ივნისის თვესთან შედარებით - იმ პირობებში, როდესაც მაისის თვეში საწვავის საშუალო შეწონილი თვითღირებულება [REDACTED] თეთრით ნაკლები იყო წინა - აპრილის თვეზე, ივნისის თვეში იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება [REDACTED] თეთრით იყო ნაკლები მაისის თვეზე, ხოლო უშუალოდ ივლისის თვეში თვითღირებულების მაჩვენებელი იყო [REDACTED] (გადაწყვეტილების პროექტი - გრაფიკი 30, გვ.55). რაც შეეხება კომპანიის პოზიციას რუსული საწვავის მოცულობასთან დაკავშირებით - კომპანიის მიერ წერილობით პოზიციასში წარმოდგენილი პროცენტული მოცულობა მოცემულია დროის იმ პერიოდზე, რა პერიოდის განმავლობაშიც ის საერთოდ არ ახორციელებდა იმპორტს რუსეთის ფედერაციიდან. რაც შეეხება ინფორმაციას კონკრეტული თვეების მიხედვით, აღნიშნული მოცემულია გადაწყვეტილებაში (გრაფიკი 29).

წერილობით პოზიციასში კომპანია მიუთითებს, რომ სააგენტოს გამოყვანილ ფასნამატს და კომპანიის რეალურ ფასნამატს შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც მისივე პოზიციით გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: სააგენტომ არ გაითვალისწინა კომპანიის ფასდაკლების სისტემები, აგრეთვე სააგენტომ არ გაითვალისწინა კომპანიის მარაგები. კომპანია ასევე მიუთითებს კომპანიის სრულ მოგებაზე და აღნიშნავს, რომ მას არ გამოუმუშავებია ჭარბი მოგება. ამასთან, კომპანიას მოყვანილი აქვს მოცემულ პერიოდში არსებული ფასდაკლებების შესახებ ინფორმაცია და მიიჩნევს მათ შეთანხმებისთვის „ატიპიურ“ ქმედებად.¹¹³

ამ არგუმენტთან დაკავშირებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ ფასდაკლება და სხვადასხვა აქციები წარმოადგენს კომპანიის დამატებით ძალისხმევას - მოიზიდოს მეტი მომხმარებელი. თუმცა განსახილველი კომპანიების დონეზე, უშუალოდ ტაბლოზე ფასდაკლების თუ ლოიალობის პროგრამის ფარგლებში მომხმარებლისთვის შეთავაზებული ბენეფიტები ერთმანეთის მსგავსია მომხმარებლის მიერ დაზოგილი თანხების ნაწილში. ამასთან, სააგენტო უშუალო აქცენტს აკეთებს ტაბლოს ფასზე, როგორც ფასნამატის მიღების შესაძლებლობაზე და მის მიზანს არ წარმოადგენს კომპანიის რეალური მოგების თუ გაცემული დივიდენდის მოცულობის შეფასება.

კომპანია ასევე მიუთითებს, რომ სააგენტოს პოზიცია სატელეფონო კონტაქტების შესახებ არ არის მართებული და სატელეფონო კონტაქტები განპირობებულია კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებთან საქმიანი ურთიერთობებით.¹¹⁴ სააგენტოს პოზიციით, კომპანიებს შორის კომუნიკაციის ფაქტები არ წარმოადგენს ერთადერთ მტკიცებულებას. უფრო მეტიც, კომუნიკაციის ფაქტები მოცემულია მხოლოდ ეკონომიკური მტკიცებულებების შემდეგ. შესაბამისად, კომუნიკაციის ფაქტები წარმოადგენს მტკიცების მხოლოდ ერთ-ერთ დამატებით

¹¹³ შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 21.06.2023, N01/2066.

¹¹⁴ შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 21.06.2023, N01/2066.

პლუს ფაქტორს და საქმისათვის მისი მნიშვნელობა განპირობებულია მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებების არსებობის პირობებში.

სააგენტოში გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე (როგორც საჯარო, ასევე ნაწილობრივ დახურულ ნაწილში), მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა დამატებით ყურადღება გაამახვილა რამდენიმე ფაქტორზე:

კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, კომპანია თავისუფალია და მას მისი შეხედულებით შეუძლია აირჩიოს მოქმედების სტრატეგია, ფასნამატის გაზრდა და გაყიდვების მოცულობის შემცირება ან ფასნამატის შემცირება და გაყიდვების მოცულობის გაზრდა. ამასთან, კომპანიის მიზანია გააუმჯობესოს თანამშრომლების სოციალური პირობები, მოიზიდოს ახალი ინვესტიციები და შესაბამისად, კომპანიას მართებულად მიაჩნია გაზარდოს ფასნამატი და აქცენტი გააკეთოს მეტ შემოსავალზე. ამასთან, კომპანიას გააჩნია ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და ფასწარმოქმნის შესახებ შიდა პოლიტიკის დოკუმენტები, რომელსაც იგი აქტიურად იცავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო მოუთითებს, რომ კომპანიების ფასნამატის ოდენობის განსაზღვრა და მისი სტრატეგიის მართებულობის შეფასება სცილდება უწყების კომპეტენციის ფარგლებს. თუმცა, როდესაც იკვეთება ამ სტრატეგიისა თუ ფასნამატის ოდენობის ალოგიკურობა და არ არსებობს ლოგიკური ახსნა, თუ რამ განაპირობა კომპანიის კონკრეტული გადაწყვეტილებები (გარდა კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმების არსებობისა), კონკურენციის ორგანო ვალდებულია რეაგირება მოახდინოს მსგავს სიტუაციებზე. რაც შეეხება იმ ფაქტს, კომპანიას გააჩნია ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტი, სააგენტო ამას მხოლოდ მიესალმება, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტის არსებობა არ წარმოადგენს კონკურენციის შემზღვეველ შეთანხმებაში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას.

დამატებით, მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა ყურადღება გაამახვილა მარაგებზე და აღნიშნა, რომ მას ერთ თვეზე მეტი მარაგი ჰქონდა. კერძოდ, მას შემდეგ რაც გაჩნდა შავ ზღვაში ნავთობის ტრანსპორტირების შეზღუდვის რისკი, კომპანიამ ბულგარეთიდან შემოიტანა [REDACTED] საწვავი და შეიქმნა [REDACTED]. კომპანიის მითითებით, სწორედ აღნიშნული მარაგის ბოლო მოცულობის გაყიდვა დაფიქსირდა 2022 წლის აგვისტოს თვეში, ხოლო, ამ პერიოდის განმავლობაში კომპანია ხელმძღვანელობდა [REDACTED]-ს პრინციპით, ანუ, [REDACTED]. დაბალი თვითღირებულების რუსული საწვავი კომპანიის საცალო ქსელში გაჩნდა [REDACTED]. რაც შეეხება მანამდე არსებულ იმპორტს, რომელიც კომპანიას უფიქსირდება რუსეთის ფედერაციიდან - კომპანია იმპორტირებული საწვავის [REDACTED] კონკურენტ ეკონომიკურ აგენტზე - [REDACTED] ასხვისებდა მასთან გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სააგენტო უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ შპს „ლუკოილ-ჯორჯიამ“ განსახილველ პერიოდში მართლაც განახორციელა საწვავის მნიშვნელოვანი მოცულობის რეალიზაცია [REDACTED], კერძოდ [REDACTED] მილიონი ლიტრი. როგორც შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ მიერ აღინიშნა, რუსული წარმოშობის დაბალი თვითღირებულების საწვავი მიწოდებულ იქნა [REDACTED], ხოლო საკუთარ საცალო ქსელში აგვისტოს თვემდე

გააჩნდა [REDACTED] და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდინა ოპერირება რუსული საწვავით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შემაჯამებელ სხდომაზე კომპანიის მიერ რუსული საწვავით საცალო ქსელში ოპერირების თარიღად დასახელდა [REDACTED], ხოლო სააგენტოს დამატებითი კითხვების შემდეგ [REDACTED]. სააგენტოს პოზიციით, განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს დამატებით გარემოებას, კერძოდ, შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ დაბალი თვითღირებულების იმპორტიებული საწვავის რეალიზაციას ახორციელებდა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტზე, ხოლო მაღალი თვითღირებულების მქონე საწვავი გაჰქონდა საკუთარ საცალო ქსელში. ეს უკანასკნელი კი სააგენტოს პოზიციით შეუძლებელი იქნებოდა ბაზარზე მოსალოდნელი კონკურენციის პირობებში.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ საფასო პოლიტიკა კონკურენტებთან მიმართებით საცალო რეალიზაციის ფასების ფიქსაციის კუთხით, არ წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის მხრიდან ჯანსაღი კონკურენციის პირობებში განსახორციელებელ გონივრულ საბაზრო ქმედებას. ამასთან, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტზე დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის რეალიზაცია და პარალელურად საკუთარ საცალო ქსელში მაღალი თვითღირებულების მქონე საწვავით ოპერირება შეუძლებელი იქნებოდა საცალო ბაზარზე მოსალოდნელი საფასო კონკურენციის პირობებში.

4.4. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“

2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდეგში „ვისოლი“) ოპერირებას უწევდა „ვისოლის“ ბრენდის ქვეშ მოქმედ 90 ავტო-გასამართ სადგურს, ხოლო 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში 89 ავტო-გასამართ სადგურს.¹¹⁵


სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ წილი ბაზრის იმპორტის დონეზე სხვა მსხვილ კომპანიებთან შედარებით მცირეა (გრაფიკი 1) და 2022 წელს შეადგინა ბაზრის იმპორტის დონის [REDACTED] % ([REDACTED] ლიტრი). თუმცა, იმპორტის [REDACTED] % განხორციელებულია [REDACTED] 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიის - [REDACTED] მეშვეობით; [REDACTED] %-ის [REDACTED] საბაჟო საწყოებიდან, ხოლო [REDACTED] %-ის - შპს [REDACTED] საბაჟო საწყოებიდან. შესაბამისად, იმპორტის მხოლოდ [REDACTED] % წარმოადგენს კომპანიის დამოუკიდებელ იმპორტს ([REDACTED] ლიტრი). რაც შეეხება საბითუმო ბაზარს, 2022 წელს შიდა ბაზარზე კომპანიის მიერ შეძენილ იქნა [REDACTED] ლიტრი საწვავი, მათ შორის [REDACTED] % მსხვილი კომპანიებიდან, ყველაზე დიდ მიმწოდებელს კი წარმოადგენდა [REDACTED] - [REDACTED] %. შესაბამისად ბაზრის იმპორტის და საბითუმო დონეზე, კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის

¹¹⁵ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2023 წლის 28 სექტემბრის წერილი (რეგ. 28 სექტემბერი, N01/1734).

გათვალისწინებით, ეკონომიკური აგენტი პრაქტიკულად [REDACTED] კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებზე საწვავის მიღების კუთხით.

2022 წლის დასაწყისში, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ რუსული საწვავი გააჩნდა [REDACTED] ნაწილში, თუმცა აპრილის თვიდან შეინიშნება რუსული რეგულარის ტიპის საწვავიც, რომლის კონცენტრაციამ ივნისის თვეში [REDACTED]-ს მიაღწია, გაიზარდა დიზელის პროცენტული წილიც. რაც შეეხება პრემიუმს - აგვისტოს თვეში რუსული წარმოშობის პრემიუმის წილი პრემიუმის საერთო მოცულობაში შეადგენდა [REDACTED]-ს. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, როგორც უკვე აღინიშნა, რუსული საწვავი გამოირჩეოდა დაბალი თვითღირებულებით ევროპულ საწვავთან შედარებით (გრაფიკი 5-6-7):¹¹⁶

გრაფიკი 35




რაც შეეხება კომპანიის მიერ რეალიზებული საწვავის მოცულობას საცალო ბაზარზე, [REDACTED] პროდუქტს წარმოადგენს რეგულარის მარკის საწვავი, რომელსაც მოყვება პრემიუმი და

¹¹⁶ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2021 წლის 23 ივლისის წერილი (რეგ. 26 ივლისი, N01/1197); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 28 იანვრის წერილი (რეგ. 28 იანვარი, N01/169); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 25 იანვრის წერილი (რეგ. 26 იანვარი, N01/144); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 21 სექტემბრის წერილი (რეგ. 22 სექტემბერი, N01/1681); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 23 სექტემბერი, N01/1694); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1749); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1746).

დიზელი. თუმცა, რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაშიც კი რეალიზაციის მოცულობა სხვა კომპანიებთან შედარებით [REDACTED] და [REDACTED] მხოლოდ [REDACTED] მიერ რეალიზებული რეგულარის მოცულობას.¹¹⁷

გრაფიკი 36




რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში, 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით რეალიზაცია [REDACTED] %-ით, პრემიუმის შემთხვევაში - [REDACTED] %-ით. რაც შეეხება დიზელს - მონაცემი [REDACTED]. საერთო ჯამში, კომპანიის მიერ საცალო ბაზარზე რეალიზებული საწვავი, მსხვილი კომპანიების მიერ საერთო ჯამში რეალიზებული საწვავის მოცულობაში [REDACTED].

როგორც უკვე აღინიშნა, 2022 წლის მარტის თვეში, ზოგადად ბაზარზე და განსაკუთრებით მსხვილი კომპანიების მხრიდან დაფიქსირდა საცალო ფასის ზრდა. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ავტო გასამართ სადგურებზე, განსახილველ პერიოდში, რეგულარის მარკის საწვავის საცალო ფასი 1 ლიტრზე გაიზარდა **62** თეთრით (გრაფიკი 8), პრემიუმის - **68** თეთრით (გრაფიკი 9), ხოლო დიზელის - **1.11** ლარით (გრაფიკი 10). მარტის თვეში, მხოლოდ დიზელის საწვავის ნაწილი წარმოადგენდა რუსული წარმოშობის საწვავს, შესაბამისად ამ პერიოდში ფასის ზრდა მეტ-ნაკლებად გონივრული იყო, თუმცა მაისში, უფრო

¹¹⁷ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2022 წლის 28 სექტემბრის წერილი (რეგ. 28 სექტემბერი, N01/1734).


მეტად კი ივნისის თვიდან, კომპანიას ხელი მიუწვდებოდა რუსული წარმოშობის დაბალი თვითღირებულების მქონე რეგულარის მარკის და დიზელის ტიპის საწვავზე.¹¹⁸

გრაფიკი 37



¹¹⁸ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2022 წლის 28 სექტემბრის წერილი (რეგ. 28 სექტემბერი, N01/1734).
 სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2021 წლის 23 ივლისის წერილი (რეგ. 26 ივლისი, N01/1197); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 28 იანვრის წერილი (რეგ. 28 იანვარი, N01/169); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 25 იანვრის წერილი (რეგ. 26 იანვარი, N01/144); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 21 სექტემბრის წერილი (რეგ. 22 სექტემბერი, N01/1681); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 23 სექტემბერი, N01/1694); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1749); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1746).

საბაჟო ღირებულება მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს კომპანიის მიერ იმპორტირებული და შიდა ბაზარზე შექმნილი საქონლის (დღგ-ს და აქციზის გარეშე) ყოველთვიურ რაოდენობასთან შეწონილ საშუალო მაჩვენებელს.
საცალო ფასი - კომპანიის კონკრეტული თვის ბოლოს ტაბლოზე არსებული ფასი, ფასდაკლების/ლოიალობის პროგრამის გარეშე.



2022 წლის ივნისის თვიდან კომპანიის რეგულარის მარკის საწვავის [REDACTED] % რუსული წარმოშობისაა, რაც მნიშვნელოვნად აისახა საწვავის თვითღირებულებაზე და მხოლოდ ნაწილობრივ - საცალო ფასზე, შესაბამისად, გაზრდილია ფასნამატი. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ ივნისის თვეში საწვავის მიმწოდებელ კომპანიას წარმოადგენდა [REDACTED], ასევე კომპანიას განხორციელებული აქვს იმპორტიც. სააგენტოს დაკვირვებით, ხსენებული 2 კომპანიის რეგულარის მარკის საწვავის თვითღირებულება ივნისის თვეში, ისევე როგორც საცალო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები იდენტურია. მსგავსია ფასნამატიც, რაც „ვისოლის“ შემთხვევაში რეგულარის მარკის საწვავის დონეზე გამოიხატა [REDACTED] %-მდე გაზრდილ ფასნამატში.

რაც შეეხება პრემიუმის და დიზელის ტიპის საწვავს, პრემიუმის შემთხვევაში კომპანია დამოკიდებული იყო [REDACTED] საბაჟო საწყობებიდან საწვავის იმპორტზე უშუალოდ და [REDACTED] მეშვეობით, ისევე როგორც დიზელის შემთხვევაში. შედეგად, აგვისტოს თვეში სახეზეა თვითღირებულების შემცირება როგორც დიზელის, ასევე პრემიუმის შემთხვევაში. მართალია აგვისტოს თვეში საცალო ფასებიც შემცირდა, თუმცა წინა თვეებთან შედარებით ფასნამატი [REDACTED].

სხვა ჩვეულებრივ პირობებში, საცალო ბაზარზე კომპანიის ოპერირება დამოუკიდებელი იმპორტის პრაქტიკულად არარსებობის და უშუალო კონკურენტებზე საწვავის მიღების კუთხით დამოკიდებულების პირობებში, შესაძლოა წარმოადგენდეს ჩვეულებრივ ბიზნეს პრაქტიკას. თუმცა, განსახილველ პერიოდში, განსაკუთრებით 2022 წლის მარტიდან აგვისტოს თვის ჩათვლით პერიოდში, კონკურენტებისთვის - [REDACTED] და [REDACTED] ხელმისაწვდომი დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავი ასევე ხელმისაწვდომი გახდა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“. ასევე ხელმისაწვდომი იყო [REDACTED] საბაჟო საწყობებში არსებული დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავი პირდაპირ - უშუალოდ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ იმპორტის გზით და ირიბად, [REDACTED] მეშვეობით. ხაზგასასმელია სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ შპს [REDACTED] საწვავის შექმნის ფაქტი, რადგან აღნიშნული წარმოადგენდა ამ უკანასკნელის მიერ [REDACTED] საბაჟო საწყობიდან შექმნილ საქონელს. შესაბამისად, [REDACTED] მიერ აღნიშნული საწვავი იმდენად დაბალ ფასად იქნა რეალიზებული, რომ მისი ორჯერადი გადაყიდვის შემდეგაც კი საწვავის თვითღირებულება კონკურენტულ ნიშნულს ინარჩუნებდა საცალო ბაზარზე და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ აძლევდა მაღალი ფასნამატის დაწესების შესაძლებლობას.

კომპანია წერილობით წარმოადგენილ პოზიციაში მიუთითებს, რომ სააგენტოს გათვლები კომპანიის ფასნამატთან დაკავშირებით აცდენილია რეალურ მაჩვენებლებს. კომპანია აღნიშნავს, რომ მისი მარაგების თვითღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება სააგენტოს მიერ მოყვანილი თვითღირებულების მაჩვენებლისგან. ასევე მიუთითებს, რომ სავარაუდოდ სააგენტოს მიერ გამოყენებულია თვის განმავლობაში მხოლოდ იმპორტი ან

იმპორტის მაღალი მაჩვენებელი. ასევე მოყვანილია კომპანიის გაანგარიშებები კონკრეტული ციფრების დონეზე.¹¹⁹

სააგენტო აღნიშნავს, რომ ფასნამატების გამოთვლისას არ მომხდარა მარაგების ფაქტორზე გვერდის ავლა ან/და თვითღირებულების ფაქტორის დაანგარიშება იმგვარად, რომ გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ იმპორტის დაბალი ფასი. კერძოდ, საწვავის თვითღირებულების ნაწილში მოცემულია კონკრეტული კომპანიის მიერ კალენდარული თვის განმავლობაში იმპორტირებული და შიდა ბაზარზე შექმნილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქონლის საშუალო შეწონილი მაჩვენებელი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიებს გააჩნიათ საშუალოდ ერთი თვის მარაგი (საკითხი დაზუსტებულია ახსნა-განმარტებით შეხვედრებზე), სააგენტომ ფასნამატის გამოსათვლელად საწვავის თვითღირებულების ყოველთვიურ საშუალო შეწონილ ფასთან ერთად გამოიყენა განსახილველი თვის ბოლო რიცხვში არსებული ფასი. რაც ნიშნავს იმას, რომ თუ საცალო ფასები ხასიათდებოდა აღმავალი ტრენდით - გამოყენებულია თვის ბოლოს არსებული მაღალი ფასი (2022 წლის მარტის თვე), ხოლო, თუ ბაზარი ხასიათდებოდა ფასების დაღმავალი ტრენდით - გამოყენებულია თვის ბოლოს არსებული დაბალი ფასი. შესაბამისად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიებს საშუალოდ გააჩნიათ 1 თვის საწვავის მარაგი, კონკრეტული თვის ბოლოს უნდა მომხდარიყო დაბალი თვითღირებულების მქონე მარაგის ასახვა საცალო ფასზე ან/და აღნიშნული აუცილებლად უნდა ასახულიყო საცალო ფასზე მომდევნო თვის მაჩვენებლებში.

მაგალითისთვის, კომპანიის მიერ აღნიშნული მეთოდით იმპორტირებული/შიდა ბაზარზე შექმნილი საწვავის მაქსიმალური თვითღირებულება დაფიქსირდა 2022 წლის მარტის თვეში (■), ხოლო საცალო ფასმა შეადგინა 3.84 ლარი. თვითღირებულების მაჩვენებელი ხასიათდებოდა კლების ტრენდით ყოველ მომდევნო თვეში, შედეგად ივნისის თვეში შეადგინა ■ ლარი, ხოლო ივლისის თვეში ■ ლარი, შესაბამისად სახეზეა ფასის მნიშვნელოვანი კლება. აღნიშნულის პარალელურად, აგვისტოს თვის პირველ ნახევრამდე შენარჩუნებული იყო მაღალი ფასი - 3.75 ლარი. განსახილველ პერიოდში ადგილი ჰქონდა ფასის რამდენჯერმე ცვლილებას და მატებას, მაგალითად ივლისის თვეში კომპანიის მიერ განხორციელდა ფასის მატება 15 თეთრით, მაშინ როდესაც აპრილი-ივნისის პერიოდში თვითღირებულების მაჩვენებელი კლების ტენდენციას აჩვენებდა და ■ თეთრიანი ნიშნულიდან შემცირდა ■ ნიშნულამდე, თუმცა ივლისის თვეში კომპანიის მიერ განხორციელდა საცალო ფასის მცირეოდენი მატება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომპანია 2021 წლის მაისი-დეკემბრის პერიოდში, ისევე როგორც 2022 წლის იანვარი-თებერვლის პერიოდში არ გამოირჩეოდა მაღალი ფასნამატით, თუმცა განსახილველ პერიოდში - 2022 წლის მარტის თვის შემდეგ, სახეზეა ფასნამატის ზრდა და პარალელური ქმედება იმ ტრენდთან მიმართებით, რაც ითვალისწინებდა რუსული წარმოშობის საწვავის თვითღირებულების მაჩვენებლის არ ასახვას საცალო ფასზე. სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ევრო რეგულარის ტიპის საწვავზე, რადგან ამ ტიპის საწვავი წარმოადგენს ■ მის საერთო რეალიზაციაში და 2022 წლის შესასწავლ პერიოდში

¹¹⁹ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 15.06.2023, N01/2004.

არსებული ფასწარმოქმნის გათვალისწინებით, მოხდა მისი რეალიზებული მოცულობის [REDACTED], რის პარალელურადაც, ბუნებრივი იქნებოდა საცალო ფასწარმოქმნის თუნდაც მცირე ოდენობით შემცირება რეალიზებული რეგულარის [REDACTED] მოცულობის [REDACTED], რაც ასევე იქნებოდა პარალელური ფასწარმოქმნისგან გადახვევის ფაქტორი.

კომპანიის მიერ სატელეფონო კომუნიკაცია ახსნილია როგორც მხარეებს შორის ბიზნეს საქმიანობის შედეგი და განუყოფელი ნაწილი.¹²⁰ სააგენტო კვლავ აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებაში წარმოდგენილ კომპანიებს შორის კომუნიკაციის ფაქტები არ არის ერთადერთი მტკიცებულება. უფრო მეტიც, არსებული გადაწყვეტილების ფარგლებში, კომუნიკაციის ფაქტები მოცემულია მხოლოდ ეკონომიკური მტკიცებულებების შემდეგ. შესაბამისად, კომუნიკაციის ფაქტები წარმოდგენს მტკიცების მხოლოდ ერთ-ერთ დამატებით პლუს ფაქტორს და საქმისათვის მისი მნიშვნელობა განპირობებულია მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებების არსებობის პირობებში.

კომპანია დამატებით აღნიშნავს, რომ მას უწევდა კონკურენციის გათვალისწინებით ფასის დაწევა, სხვა შემთხვევაში საწვავის თვითღირებულების გათვალისწინებით მისი საცალო ფასი იქნებოდა უფრო მაღალი. ასევე აღნიშნავს, რომ მსხვილ კომპანიებს შორის არის მძაფრი კონკურენცია, თუმცა მსხვილი კომპანიების გარდა ბაზარზე მოქმედებენ მცირე კომპანიები (ბაზრის 40%). შესაბამისად ბაზარი დივერსიფიცირებული და კონკურენტულია, სადაც რამდენიმე კომპანია ვერ მოახერხებდა შეთანხმებული ქმედების ფორმირებას.¹²¹

სააგენტოს პოზიციით, მსხვილი კომპანიების დონეზე არსებული ფასწარმოქმნის პირობებში, სააგენტოსთვის არ არის ნათელი თუ რაში გამოიხატება მძაფრი კონკურენცია, რადგან სახეზეა ფასების პარალელიზმი და ერთმანეთის მსგავსი ლოიალობის პროგრამები. რაც შეეხება მცირე კომპანიების როლს ბაზარზე, გადაწყვეტილების პროექტში სააგენტოს მითითებული აქვს მცირე ქსელების სეგმენტიდან მომდინარე კონკურენტული წნეხის სიმცირეზე. ამ წნეხის არსებობის პირობებში და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საცალო ფასებს შორის სხვაობა მსხვილ კომპანიებს და მცირე ქსელებს შორის გაიზარდა არაბუნებრივად, მსხვილ კომპანიებს ვერ უნდა მოეხერხებინათ უფრო მეტი საწვავის რეალიზაცია, ვიდრე ეს მოხდა 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში. საწვავის ერთადერთი სახეობა, სადაც კონკურენტულმა წნეხმა მცირე მასშტაბით მაგრამ მაინც ითამაშა გარკვეული როლი - არის ევრო რეგულარი და შესაბამისად გაზრდილი ფასთაშორისი სხვაობის შედეგად მოხდა მისი რეალიზაციის მაჩვენებლების შემცირება, რისი საპასუხო ქმედებაც მსხვილი კომპანიების მხრიდან არ განხორციელებულა.

კომპანია წარმოდგენილ წერილობით პოზიციაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სააგენტოს მიერ გათვალისწინებული ტაბლოს ფასით ხდება პროდუქციის სრული მოცულობის [REDACTED]-ის რეალიზაცია, ხოლო სხვა შემთხვევებში ხდება რეალიზება ლოიალობის პროგრამების ფარგლებში. კომპანია ასევე აღნიშნავს, რომ დიზელის შემთხვევაში სააგენტომ გამოიყენა ყველაზე ძვირადღირებული ეკო დიზელი, რომლის წილი საცალო რეალიზაციაში

¹²⁰ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 15.06.2023, N01/2004.

¹²¹ სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 15.06.2023, N01/2004.

მხოლოდ [REDACTED]-ია.¹²² სააგენტო აღნიშნავს, რომ ფასდაკლება და სხვადასხვა აქციები წარმოადგენს კომპანიის დამატებით ძალისხმევას - მოიზიდოს მეტი მომხმარებელი. თუმცა განსახილველი კომპანიების დონეზე, უშუალოდ ტაბლოზე ფასდაკლების თუ ლოიალობის პროგრამის ფარგლებში მომხმარებლისთვის შეთავაზებული ბენეფიტები ერთმანეთის მსგავსია მომხმარებლის მიერ დაზოგილი თანხების ნაწილში. ამასთან, სააგენტო უშუალო აქცენტს აკეთებს ტაბლოს ფასზე, როგორც ფასნამატის მიღების შესაძლებლობაზე და მის მიზანს არ წარმოადგენს კომპანიის რეალური მოგების თუ გაცემული დივიდენდის მოცულობის შეფასება.

დამატებით, სააგენტოში გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე (საჯარო და ნაწილობრივ დახურულ ნაწილში) კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან აქცენტი გაკეთდა სხვადასხვა საკითხზე. კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სააგენტომ მხედველობაში უნდა მიიღოს საწვავის ბაზარზე ოპერირებადი სხვა ეკონომიკური აგენტები (ე.წ. „არაბრენდირებული“ ეკონომიკური აგენტები), რომელთა ბაზრის წილიც 40%-ს შეადგენს. კომპანია აპელირებს ამ ეკონომიკურ აგენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემებსა და გამოწვევებზე, მათ შორის ტექნიკური რეგლამენტების დაუცველობაზე, უსახურ აგს-ებსა და გადასახადების არაკეთილსინდისიერად გადახდაზე. ამასთან, კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, საწვავის ბაზრის (აგს-ების) თავისებურება განაპირობებს ფასების პარალელიზმის მაღალ ხარისხს. სააგენტო აღნიშნავს, რომ ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები, რა მიზნითაც, კომპეტენციის ფარგლებში ამავე გადაწყვეტილებით გასცემს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციას.

კომპანიის წარმომადგენლებმა დამატებით აღნიშნეს, რომ თუ შევადარებთ 2022 წლის რვა თვეს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები არ გაუმჯობესებულა, შესაბამისად, კონკურენციის შეზღუდველი შეთანხმება იმთავითვე უნდა გამოირიცხოს და აღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტოს გადაწყვეტილება არ არის არგუმენტირებული. სააგენტო აღნიშნავს, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის მტკიცების ფარგლებში, სააგენტო არ არის ვალდებული ამტკიცოს შეთანხმებული ქმედების შედეგად მიღებულ სარგებელთან დაკავშირებული საკითხები, ვინაიდან, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ხსენებული ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველი მიზნის მქონე შეთანხმებას და როგორც ევროკავშირის კონკურენციის უწყებების, ისე ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის/დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, მსგავსი ხასიათის დარღვევები შედეგის კვლევას არ საჭიროებს.

კომპანია არ ეთანხმება იმ გარემოებას, რომ ფასის შემცირებით მას აღნიშნულ პერიოდში რეალიზაცია გაეზრდებოდა, რადგან, ისედაც ბოლო ხუთი წელია [REDACTED] საწვავის რეალიზაციის მოცულობა სხვადასხვა მიზეზის გამო. ასევე აღინიშნა, რომ სააგენტოს ფასნამატი აქვს არასწორად დათვლილი. მათ მიერ წარმოდგენილ იქნა განსხვავებული დათვლის მეთოდოლოგია, ხოლო შემდეგ, აღნიშნულის დასაზუსტებლად სააგენტოში

¹²² სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ წერილობითი პოზიცია, 15.06.2023, N01/2004.

წერილობით წარმოადგინეს დეტალური კალკულაცია და დამატებითი პოზიცია. საკითხთან დაკავშირებით სააგენტო დეტალურად მსჯელობს კომპანიის მიერ შემაჯამებელი სხდომის შემდეგ წარმოდგენილ პოზიციასთან დაკავშირებით. შემაჯამებელი სხდომის შემდეგ, კომპანიის მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი პოზიცია გადაწყვეტილების პროექტთან და შემაჯამებელ სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. კომპანია მიუთუთებს, რომ მას გააჩნია [REDACTED] თვის მარაგი, შესაბამისად [REDACTED] თვეში მიღებული დაბალი თვითღირებულების საწვავი საცალო ქსელში მოხვდებოდა და აისახებოდა [REDACTED] თვეში (რეგულარის მარკის საწვავი).

სააგენტო განმარტავს, რომ კომპანია იზიარებს სააგენტოს პოზიციას მარაგების რაოდენობის და მისი საცალო ფასზე ასახვის საკითხთან დაკავშირებით. თუმცა ამავე წერილობითი პოზიციის შედეგად, რეგულარის მარკის საწვავზე არც [REDACTED] თვეში ადასტურებს მაღალი ფასნამატის მიღების ფაქტს. შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კომპანიის მიერ შიდა ბაზარზე შეძენილი და იმპორტირებული საწვავი 2022 წლის [REDACTED] თვეში იყო [REDACTED]-ით რუსული წარმოშობის, აღნიშნული კომპანიის პოზიციის გათვალისწინებით აუცილებლად უნდა ასახულიყო საცალო ფასზე ან/და ფასნამატზე [REDACTED] თვეში, რაც მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით არ მომხდარა. აღნიშნულ პოზიციას ვერ გაიზიარებს სააგენტო, რადგან ივლისის თვის განმავლობაშიც კომპანიას გააჩნდა [REDACTED]-ით რუსული წარმოშობის დაბალი თვითღირებულების საწვავი.

2. კომპანიის პოზიციით, სააგენტოს მიერ რეგულარის მარკის საწვავის თვითღირებულების დაანგარიშებისას სრულად იგნორირებულია საწვავის შესყიდვის თარიღი (თვის დასაწყისში მოხდა თუ თვის ბოლოს). კომპანიის წარმომადგენლები დამატებით აპელირებდნენ სააგენტოს მიერ ფასდაკლებებსა და მარაგებთან დაკავშირებით FIFO-ს ან საშუალო შეწონილი ფასის არ გამოყენებაზე.

სააგენტოს მიერ საწვავის თვითღირებულების გამოთვლისას მხედველობაში იქნა მიღებული ეკონომიკური აგენტების მიერ კალენდარული თვის განმავლობაში როგორც შიდა ბაზარზე შეძენილი, ასევე იმპორტირებული საწვავის სრული მოცულობა და შედეგად გამოყვანილ იქნა განსახილველ თვეში საწვავის თვითღირებულების საშუალო შეწონილი მაჩვენებელი - თითოეული იმპორტის და შიდა ბაზარზე შეძენის გათვალისწინებით. აღნიშნულთან დაკავშირებით საქმის მასალები - სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია გადაწყვეტილების პროექტთან ერთად გადაეცა კომპანიას.

3. პრემიუმთან და ევრო დიზელთან დაკავშირებით კომპანია მიუთუთებს, რომ ისტორიულთან შედარებით მაღალი მარჟა დაფიქსირდა მხოლოდ [REDACTED] თვეში. ასევე ევრო დიზელთან დაკავშირებით, კომპანია აღნიშნავს, რომ სააგენტოს მსჯელობის ნაწილში გამოყენებული დიზელის ტიპის საწვავი წარმოადგენს მაღალი საფასო სეგმენტის საწვავს, რომელიც იყო მხოლოდ ევროპული წარმოშობის.

სააგენტოს მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზით, პრემიუმის და დიზელის ტიპის საწვავის შემთხვევაში ისტორიულად მაღალი ფასნამატი მართლაც დაფიქსირდა 2022

წლის [REDACTED] თვეში. ეკო დიზელთან და მის ევროპულ წარმოშობასთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ ბაზრის ანალიზის ფარგლებში სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა „პრემიალური“ პროდუქტი კონკურენტების პრემიალურ პროდუქტებთან შედარების მიზნით. სააგენტო აქვე განმარტავს, რომ კომპანიის გააჩნია 3 სახეობის დიზელი - ეკო დიზელი, ევრო დიზელი და დიზელ ენერჯი. იმ შემთხვევაში თუ ეკო დიზელის ნაცვლად ანალიზის ფარგლებში მოხდება ევრო დიზელის გამოყენება, სურათი არსებითად არ შეიცვლება შემდეგი გარემოებების გამო: ეკო დიზელს და ევრო დიზელს შორის შესასწავლ პერიოდში საცალო ფასთაშორისი სხვაობა შეადგენდა 4-5 თეთრს; ფასები იცვლებოდა ერთდროულად და იდენტური რაოდენობით. შესაბამისად, ევრო დიზელის შემთხვევაში ფასნამატი შესაძლოა ყოფილიყო [REDACTED] თეთრით ნაკლები და შენარჩუნებული იყო კონკურენტებთან მიმართებით პარალელიზმის მაღალი ხარისხი.

4. კომპანიის მიერ წარმოდგენილია დანართი გრაფიკის სახით, რომელიც მოიცავს მონაცემებს პლატის ფასის (დღგ-ს, აქციზის და საოპერაციო ხარჯის ჩათვლით), რეგულარის მარკის საწვავის ტაბლოს ფასის და პლატის ფასიდან მომდინარე მიზნობრივი ფასის შესახებ. კომპანია მიუთითებს, რომ მიზნობრივი ფასი გაცილებით აღემატებოდა საცალო ფასს, შესაბამისად საცალო ფასის დაბალ ნიშნულზე შენარჩუნება განპირობებული იყო რუსული საწვავით, რამაც საბოლოო ჯამში მომხმარებელს მისცა 5.5 მილიონი ლარის დაზოგვის შესაძლებლობა.

სააგენტო განმარტავს, რომ გრაფიკში წარმოდგენილი მონაცემები არ ასახავს ფაქტობრივ გარემოებებს, მაგალითად: გრაფიკის ბოლო თარიღად მითითებულია 2022 წლის 26 ივლისი და ივლისის თვეში კომპანია მიუთითებს, რომ ფასის შემცირება მოახდინა [REDACTED]. წარმოდგენილი გრაფიკით არ არის იდენტიფიცირებადი შემცირების ზუსტი მოცულობა, თუმცა სააგენტო განმარტავს, რომ ივლისის თვეში არც ერთხელ არ მომხდარა ფასის კორექტირება შემცირების მიმართულებით, მეტიც, ივნისის და ივლისის პერიოდში ფასის კორექტირება ხორციელდებოდა მხოლოდ ზრდის მიმართულებით, შესაბამისად 3.70 ნიშნულიდან 3.75 ნიშნულამდე, ხოლო შემცირება დაიწყო მხოლოდ ამავე წლის 9 აგვისტოდან. აღნიშნულს ადგილი ჰქონდა იმ პირობებში, როდესაც კომპანიისთვის ჯერ კიდევ [REDACTED] თვეში და ასევე [REDACTED] თვეში ხელმისაწვდომი იყო დაბალი თვითღირებულების მქონე რუსული საწვავი, რის საპასუხოდაც მაგალითად 4 ივლისის მოხდა ფასის ზრდა 3.73 ნიშნულიდან 3.75 ნიშნულამდე. ხოლო 9 აგვისტოდან ფასის კლების ტენდენცია წარმოადგენდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების პარალელურ ქმედებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო ვერ მიიღებს მხედველობაში ინფორმაციას, რომელიც არსებითად არასწორი მონაცემების შემცველია, რომლის მიხედვითაც პრაქტიკულად არ იკვეთება რუსული საწვავის შედეგად შემცირებული ფასი და შესაბამისად მომხმარებლის მიერ დაზოგვილი 5.5 მილიონი ლარი.

5. კომპანია მიუთითებს, რომ საცალო ბაზარზე მსხვილი კომპანიებს წილი შეადგენს 57%-ს ხოლო 43% უკავიათ სხვა მცირე ქსელებს. კომპანია აღნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ არ მომხდარა მათი საქმიანობის შესწავლა, იმ არგუმენტით, რომ მომხმარებელს გააჩნია მომეტებული ნდობა მსხვილი კომპანიების მიმართ.

აღნიშნულს კომპანია მიიჩნევს თავისთვის სასარგებლო არგუმენტად, რადგან აღნიშნული ქმედების (კოორდინირებული ქმედება) განხორციელების შემთხვევაში მომხმარებლის ნდობა ავტომატურად დაიკარგებოდა. ასევე, კომპანია მიუთითებს, რომ სავარაუდოდ მსხვილი კომპანიების წილი რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში საცალო ბაზარზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე გასაშუალოებული წილი - 57%. შესაბამისად, კომპანია ითხოვს დამატებით გაანალიზდეს, ამ პირობებში რამდენად იყოს შესაძლებელი მსხვილი კომპანიების მიერ ამ ტიპის საწვავზე კოორდინირებული ქმედების ფორმირება.

სააგენტო განმარტავს, რომ კომპანიის აპელირება საცალო ბაზარზე არსებულ წილზე, სააგენტოს პოზიციით ატარებს იმ შინაარსს, რომ ბაზრის სხვა/დარჩენილი 43%-დან მოსალოდნელი კონკურენტული წნეხი არ მისცემდა 5 კომპანიას შეთანხმებული ქმედების ფორმირების შესაძლებლობას და როგორც თავადვე აღნიშნავს, განსაკუთრებით რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში. სააგენტო არ იზიარებს ამ პოზიციას, რადგან ამგვარი კონკურენტული წნეხის როლს ამცირებს განსახილველი კომპანიების მაღალი სანდოობა მომხმარებელში, მარკეტინგული კამპანიები, ლოიალობის პროგრამები, მომხმარებლის მიერ ბრენდზე მიჯაჭვულობა და ა.შ. რაც ასევე გამოხატულია ციფრებში - მიუხედავად იმისა, რომ შესასწავლ პერიოდში არაბუნებრივად გაიზარდა სხვაობა განსახილველი მოპასუხე კომპანიებისა და მცირე კომპანიების საცალო ფასებს შორის, მაგალითად პრემიუმის მარკის საწვავის შემთხვევაში მომხმარებელი არ გადასულა მცირე ქსელებზე. რაც შეეხება რეგულარს, ამ მიმართულებით მცირე ქსელებს და მსხვილ კომპანიებს შორის შესასწავლ პერიოდში არაბუნებრივად გაზრდილი სხვაობის შედეგად, ხუთივე მოპასუხე ეკონომიკური აგენტების შემთხვევაში სახეზეა რეალიზებული რეგულარის მარკის საწვავის მოცულობის შემცირება (გარდა შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ევრო რეგულარის - დანამატის გარეშე). შემცირება სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ შემთხვევაში გამოიხატა რეალიზაციის მაჩვენებლის ■%-იან კლებაში, რის საპასუხოდაც, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას გააჩნდა დაბალი თვითღირებულების რუსული წარმოშობის საწვავი, არ მომხდარა ფასის შემცირება, პარალელური ქცევისგან გადახვევა, რაც არაგონივრულია იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ რეგულარის მარკის საწვავი წარმოადგენს კომპანიის მთავარ პროდუქტს (რეალიზებული საწვავის მოცულობის გათვალისწინებით). შესაბამისად, სააგენტო ვერ გაიზიარებს კომპანიის პოზიციას, რომ ევრო რეგულართან დაკავშირებით არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს აქვს მისთვის სასარგებლო არგუმენტაცია, პირიქით - განსახილველი ტიპის საწვავი სააგენტოს მიერ კოორდინირებული ქცევის მტკიცების ნაწილში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

6. კომპანია აღნიშნავს, რომ განსახილველ პერიოდში საცალო ფასის ზრდის შედეგად გაიზარდა რიგი დანახარჯები, რაც სააგენტომ არ გაითვალისწინა, კერძოდ: ბანკის ტერმინალის საკომისიო - ■%, უნიქარდის საკომისიო - ■%, ნომინირებული დანაკარგები - ■%.

სააგენტო განმარტავს, რომ გაზრდილი დანახარჯების გათვალისწინება უნდა მოხდეს წინა პერიოდთან შედარებით დანახარჯის მატების პროპორციულად. მაგალითად,

ტერმინალის საკომისიოს გათვალისწინება შესაძლებელია განსახილველ პერიოდში გაზრდილი ფასის █%-ით რაც 1 ლიტრზე █ თეთრზე ნაკლებია. ამასთან, აღნიშნული ხარჯი არსებობს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში, რისი პროცენტული შეფარდება კომპანიას არ წარმოუდგენია. უნიქარდის საკომისიოც რასაკვირველია შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული პროინციპით და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მაგალითისთვის განსახილველ პერიოდში რეგულარის საწვავის მომხმარებლების მხოლოდ █%-მა ისარგებლა აღნიშნული ფასდაკლების სისტემით.

7. კომპანიის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო არ არის ვალდებული ამტკიცოს კოორდინირებული ქმედების შედეგი, ეს გარემოება არ გამორიცხავს იმას, რომ არ იქნეს გათვალისწინებული ამგვარი შედეგი.

სააგენტო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის მტკიცების ფარგლებში სააგენტო არ არის ვალდებული ამტკიცოს ამგვარი ქმედების შედეგად წარმოშობილი კონკრეტული სარგებელი თუ დამდგარი შედეგი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მიერ არაერთხელ განხორციელდა აპელირება „სარგებელზე“, სააგენტო განმარტავს, რომ უპირველეს ყოვლისა, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, კომპანიის ეკონომიკური სარგებელი აისახა კონკურენტული წნეხის რისკის დაზღვევით, კომპანიის შესაძლებლობაში, მოეხდინა იაფიანი თვითღირებულების საწვავის რეალიზება მაღალი ფასნამატის პირობებში. სააგენტო აღნიშნავს, რომ იაფი თვითღირებულების მქონე საწვავის პირობებში, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მხრიდან ადგილი ჰქონდა კონკურენციისგან თავის შეკავებას (გაუწევლობას) დანარჩენ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით, შეთანხმებული ქმედების საფუძველზე, რამაც საბოლოო ჯამში მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ გამოიწვია მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საცალო ქსელში მაღალი ფასნამატის შენარჩუნება 2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში. ამასთან, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიას მარტი-აგვისტოს პერიოდში █ რუსული წარმოშობის დაბალი თვითღირებულების საწვავი, ბაზარზე შეთანხმებული ქმედების არ არსებობის პირობებში, ბაზარზე მოქმედი სხვა კომპანიების მიერ (მოკვლევის მოპასუხე ეკონომიკური აგენტები) საფასო კონკურენციის გაწევის პირობებში, კომპანია ვერ მოახერხებდა საცალო ბაზარზე საწვავის მაღალ/მანამდე არსებულ ფასად რეალიზაციას ან საწვავის ფასის შემცირების შემთხვევაში (იმ პირობებში, როდესაც არ გააჩნდა დაბალი თვითღირებულების საწვავი) შესაძლოა დამდგარიყო ფინანსური ზარალი. შესაბამისად, განსახილველ პერიოდში, კომპანიის სარგებელი გამოიხატა არა მხოლოდ კონკრეტულ თვეებში მიღებულ მაღალ ფასნამატში, არამედ სხვა თვეებში კონკურენტი ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის გაწევის შემთხვევაში შესაძლო ფინანსური ზარალის ან/და რეალიზებული საწვავის მოცულობის შემცირების რისკის დაზღვევაში. ამასთან, დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის წყაროს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ შემთხვევაში“ წარმოადგენდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტები,

რომელთა ამგვარ ქმედებაზე სააგენტო მსჯელობს კონკრეტული ეკონომიკური აგენტების ქმედების ნაწილში.

მიუხედავად კონკურენტებზე საწვავის მიღების კუთხით მაღალი დამოკიდებულებისა, სააგენტოს პოზიციით, აღნიშნული არ უნდა გულისხმობდეს მყიდველს და გამყიდველს შორის კონკურენციის რაიმე ფორმით შესუსტებას. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებებით, საცალო ბაზარზე საწვავის თვითღირებულებიდან მომდინარე ფასწარმოქმნა არ იკვეთება. უფრო მეტიც, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ საწვავის მომწოდებელი 3 ძირითადი კომპანია წარმოადგენს მის უშუალო კონკურენტს - ფასის, სერვისისა და ავტოგასამართი სადგურების რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც, მაგალითად, რეგულარის მარკის საწვავის დონეზე, საცალო რეალიზაცია შეუმცირდა ზემოაღნიშნულ სამივე კომპანიას, სხვა ჩვეულებრივ პირობებში, ბუნებრივი იქნებოდა საცალო ფასის შემცირება და რეალიზებული რეგულარის მარკის საწვავის მოცულობის თუნდაც წინა წლის ნიშნულზე დაბრუნება, რაც არ მომხდარა. აღნიშნული კი, სააგენტოს პოზიციით, განპირობებულია საცალო ქსელში კოორდინირებული ქმედებით და არ გააჩნია სხვა ალტერნატიული ლოგიკური ახსნა.

4.5. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“

2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ (შემდეგში „სოკარი“) ოპერირებას უწყევდა „სოკარის“ ბრენდის ქვეშ მოქმედ 85 ავტო-გასამართ სადგურს, ხოლო 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში - 104 ავტო-გასამართ სადგურს.¹²³

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ 2022 წელს (იანვარი-აგვისტო) განხორციელდა [REDACTED] მილიონი ლიტრი საავტომობილო საწვავის იმპორტი, რაც შეადგენდა ბაზრის სრული მოცულობის [REDACTED]-ს. მაჩვენებელი შემცირებულია 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ([REDACTED]%), რაც ძირითადად გამოწვეულია აზერბაიჯანიდან დიზელის ტიპის საწვავის შემცირებული იმპორტით. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარეობს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გადაიარაღება. იმპორტის პარალელურად, კომპანია დამოკიდებულია შიდა ბაზარზე საქონლის საბითუმოდ შესყიდვაზე, კერძოდ, 2022 წელს კომპანიამ საბითუმო ბაზარზე განახორციელა [REDACTED] მილიონი ლიტრი საწვავის შექმნა, მათ შორის ყველაზე დიდი ოდენობით [REDACTED]. კომპანიისთვის შიდა ბაზარზე საწვავის მიმწოდებელ ყველაზე მსხვილ კომპანიას წარმოადგენს [REDACTED].


[REDACTED] საწვავის იმპორტს ახორციელებდა რუსეთის ფედერაციიდან (არა მარტო), რა დროსაც შუამავალ კომპანიად ფიქსირდება ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული

¹²³ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 2023 წლის 21 აპრილის წერილი (რეგ: N01/1317).

კომპანია - [REDACTED], რომლის მმართველ პირს წარმოადგენს აზერბაიჯანის მოქალაქე [REDACTED]. ეს უკანასკნელი ამავედროულად წარმოადგენს [REDACTED] 100%-იანი წილის მფლობელს. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციიდან შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ მიერ უშუალოდ იმპორტირებულ საწვავს, ამ შემთხვევაში შუამავლად ფიქსირდება [REDACTED]. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ მხრიდან მოკვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, [REDACTED]-ის დამფუძნებელს, ისევე როგორც თავად შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ დამფუძნებელს წარმოადგენს აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია. სააგენტოს კითხვაზე, თუ რატომ არ ახორციელებდა შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ საწვავის სრული მოცულობის იმპორტს და რატომ ახდენდა მის შეძენას შიდა ბაზარზე, კომპანიამ განმარტა რომ [REDACTED]-ის მიერ ხდებოდა საწვავის საფასურის მოთხოვნა [REDACTED], ხოლო შიდა ბაზარზე შეძენის შემთხვევაში - ანგარიშსწორება ხდებოდა საქონლის [REDACTED]. ასევე, კომპანიის მიერ აღინიშნა, რომ [REDACTED]-ის მიერ საწვავის მოწოდების საფასური იყო ფიქსირებული, რაც სოკარისთვის იყო რისკის შემცველი საწვავის ფასის დადმავალი ტრენდის გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებულ საწვავს გააჩნდა მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა თვითღირებულების ნაწილში, ამავედროულად, სააგენტოსთვის ბუნდოვანია მოსაზრება, როდესაც კომპანია აპელირებს მომწოდებელი კომპანიის მიერ საწვავის [REDACTED] მოთხოვნაზე, როდესაც ორივე მხარეს გააჩნია საერთო დამფუძნებელი და ლოგიკურად, მათ შორის ურთიერთობაში სარისკო ფაქტორები ბევრად ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე სხვა კავშირში არ მყოფ კომპანიებს შორის.


2022 წლის [REDACTED] თვიდან, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“, რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში [REDACTED] [REDACTED] იყო რუსული წარმოშობის საწვავზე, ხოლო [REDACTED] თვიდან მსგავსი ტრენდი ფიქსირდება პრემიუმის და დიზელის შემთხვევაშიც:

გრაფიკი 40



რაც შეეხება საცალო ბაზარზე რეალიზებული საწვავის მოცულობას, [REDACTED] წარმოადგენს რეგულარის მარკის საწვავი, რომლის რეალიზაციის მაჩვენებელი 2022 წლის იანვარი - აგვისტოს და 2021 წლის ანალოგიური პერიოდის დონეზე [REDACTED] ალნიშნული პარალელურად, კომპანიამ [REDACTED] პრემიუმის და დიზელის რეალიზაციის მაჩვენებლები:

გრაფიკი 41






საცალო ფასწარმოქმნის კუთხით, ეკონომიკური აგენტი იმეორებს ტრენდს, რაც 2022 წელს დამახასიათებელი იყო კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისთვის. კერძოდ, მარტის თვეში ფასი 1 ლიტრი რეგულარის მარკის საწვავზე გაიზარდა **65** თეთრით (გრაფიკი 8), პრემიუმზე - **71** თეთრით (გრაფიკი 9), ხოლო დიზელზე - **1.01** ლარით (გრაფიკი 10):¹²⁴

¹²⁴ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ 2022 წლის 26 სექტემბრის წერილი (რეგ. 27 სექტემბერი, N01/1713).

სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2021 წლის 23 ივლისის წერილი (რეგ. 26 ივლისი, N01/1197); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 28 იანვრის წერილი (რეგ. 28 იანვარი, N01/169); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 5 სექტემბრის წერილი (რეგ. 6 სექტემბერი, N01/1572); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 25 იანვრის წერილი (რეგ. 26 იანვარი, N01/144); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 21 სექტემბრის წერილი (რეგ. 22 სექტემბერი, N01/1681); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 23 სექტემბრის წერილი (რეგ. 23 სექტემბერი, N01/1694); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1749); სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2022 წლის 29 სექტემბრის წერილი (რეგ. 29 სექტემბერი, N01/1746).

საბაჟო ღირებულება მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს კომპანიის მიერ იმპორტირებული და შიდა ბაზარზე შექმნილი საქონლის (დღგ-ს და აქციზის გარეშე) ყოველთვიურ რაოდენობასთან შეწონილ საშუალო მაჩვენებელს. **საცალო ფასი** - კომპანიის კონკრეტული თვის ბოლოს ტაბლოზე არსებული ფასი, ფასდაკლების/ლოიალობის პროგრამის გარეშე.





ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ბაზრის საცალო დონე არის უფრო მეტად პრიორიტეტული, გაყიდვის სხვა არხებთან შედარებით.¹²⁵ უფრო მეტიც, სააგენტოს მიერ დაისვა კითხვა იმის შესახებ, თუ რომელი სახეობის საწვავი იყო კომპანიისთვის პრიორიტეტული, რომლის საპასუხოდ კომპანიის წარმომადგენლებს არც ერთი სახეობა არ გამოურჩევიათ, თუმცა აღნიშნეს, რომ გაყიდვების მოცულობის გათვალისწინებით, ასეთ სახეობას განეკუთვნებოდა [redacted] მარკის საწვავი. ასევე, მოკვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ საწვავის სხვა სახეობისგან განსხვავებით, ტაბლოზე განათება მუდმივ რეჟიმში ციმციმებდა - მხოლოდ [redacted] მარკის საწვავის შემთხვევაში, რაც წარმოადგენს მარკეტინგულ გზას მომხმარებლისთვის ყველაზე გაყიდვადი პროდუქტის შეძენის მიზნით ყურადღების მისაქცევად. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ მხრიდან გამოიყენება სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიებები მომხმარებლის მოზიდვის მიზნით, რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში გონივრული იქნებოდა საწვავის დაბალი თვითღირებულების ასახვა საცალო ფასზე.

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე - კომპანიის წარმომადგენლებთან გამართულ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე, მათი მხრიდან აღინიშნა, რომ 10 თეთრიანი ფასდაკლება საცალო ბაზარზე ვერ მოახდენს ზემოქმედებას მომხმარებლის

¹²⁵ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 02.12.2022 - შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი.“

არჩევანზე, რადგანაც საწვავის ხარისხი მსხვილ კომპანიებში მეტ-ნაკლებად თანაბარია.¹²⁶ აღნიშნული პოზიციის საპირისპიროდ, სააგენტო მიუთითებს, რომ 2022 წელს სხვაობა შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმისა“ და მისი კონკურენტი ეკონომიკური აგენტების საწვავის საცალო ფასს შორის არც ერთ შემთხვევაში არ აღემატებოდა 10 თეთრს, ხოლო სხვაობა ევროპულ და რუსულ საწვავზე დამოკიდებული კომპანიების ნედლეულის თვითღირებულებებს შორის შეადგენდა მინიმუმ - [REDACTED], მაქსიმუმ - [REDACTED], ხოლო საშუალოდ - [REDACTED] თეთრს. მოცემული მსჯელობის კონტექსტში, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ პოზიციით, იმისათვის, რომ მომხმარებელმა ფასის ცვლილებაზე მოახდინოს რეაგირება, სხვაობა უნდა იყოს 20 თეთრზე მეტი.¹²⁷ კომპანიის წარმომადგენლებმა დამატებით აღნიშნეს, რომ „ბრენდირებული“ ბაზარი მეტ-ნაკლებად გაჯერებულია და მსხვილ კომპანიებს შორის კონკურენციას ადგილი არ აქვს, ხოლო მთავარ კონკურენტად კი არაბრენდირებული/მცირე ქსელები მიაჩნიათ საშუალოდ 50 თეთრიანი სხვაობის გამო.¹²⁸ ფასწარმოქმნის ამგვარი პოლიტიკის შედეგად, შესასწავლ პერიოდში, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ საცალო ფასნამატი გაზრდილია ყველა საწვავზე.

სააგენტოს პოზიციით, ფასის და მომსახურების ხარისხის, ისევე როგორც ავტოგასამართი სადგურების რაოდენობის გათვალისწინებით, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ უშუალო კონკურენტებს წარმოადგენენ სწორედ მსხვილი კომპანიები. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია ის ფაქტი, რომ „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ თავის კონკურენტად მსხვილ კომპანიებს არ მიიჩნევს იმ არგუმენტით, რომ ბაზარი გაჯერებულია კომპანიათა რაოდენობით და კონკურენცია შესაბამისად ვერ ხორციელდება. სააგენტო განმარტავს, რომ სწორედ ბაზრის მონაწილეთა სიმრავლე და მათი დამოუკიდებელი, კონკურენტული ქმედებები (მათ შორის, საფასო კონკურენციის კუთხით) უნდა უზრუნველყოფდეს ამა თუ იმ კომპანიის წარმატებასა და მოგების მაქსიმიზაციას.

ამასთან, სააგენტოს მიერ მსხვილი კომპანიების საფასო პოლიტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მართალია მომხმარებელი შედარებით ნაკლებად სენსიტიურია პრემიუმის მარკის საწვავის შემთხვევაში, თუმცა რეგულარის მარკის საწვავზე ფასი გადამწყვეტია. [REDACTED]

[REDACTED] ამასთან, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ მსხვილ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით რეგულარის მარკის (არა მარტო) საწვავზე საცალო ფასი შესასწავლ პერიოდში არ ჰქონია 10 თეთრით ან უფრო მეტად განსხვავებული. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია კომპანიის არგუმენტი, რომ

¹²⁶ ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N4, თარიღი: 02.12.2022 - შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი.“

¹²⁷ იქვე.

¹²⁸ იქვე.

რეგულარის მარკის საწვავზე ფასის 10 თეთრით შემცირებას (მსხვილ კონკურენტებთან შედარებით) არ ექნებოდა გავლენა რეალიზაციის მაჩვენებელზე.

წარმოდგენილ წერილობით პოზიციაში, კომპანია მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს სააგენტოს პოზიციას, რომლის მიხედვით, კომპანია [REDACTED]-ს და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“ ჰყავთ ერთი დამფუძნებელი, კერძოდ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანია, რადგან შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ კორპორატიულ ვერტიკალში „SOCAR“-ის გარდა კიდევ 2 სხვა დამფუძნებელია და შესაბამისად ყურადღება არ უნდა იქნეს მიქცეული სახელშეკრულებო/კომერციული/ფინანსური რისკ ფაქტორების სიმცირეზე. კომპანია მიუთითებს, რომ [REDACTED] გაფორმდა [REDACTED] ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებდა საწვავის [REDACTED] და ამასთან არსებობდა გარკვეული რისკები რუსეთიდან საწვავის იმპორტთან დაკავშირებით - მათ შორის მოთხოვნილი იყო საწვავის [REDACTED]. ბაზარი გამოირჩეოდა ვოლატურობით და კომპანიამ მიიღო კომერციულად სწორი გადაწყვეტილება, [REDACTED] თავის არიდების მიზნით მოახდინა შიდა მომწოდებლებისგან საწვავის შეძენა და აირიდა მოსალოდნელი ფინანსური ზარალი.¹²⁹

სააგენტო მიიჩნევს, რომ ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ქართულ და რუსულ „სოკარს“ შორის საერთო დამფუძნებლის სახით, სულ მცირე უნდა წარმოადგენდეს ამგვარი რისკების შემცირების შესაძლებლობას, ვიდრე ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების არარსებობის პირობა. ამასთან, კომპანია მიუთითებს, რომ ფასები რუსეთის ფედერაციაში იყო [REDACTED] და ატარებდა ფინანსურ რისკს, სააგენტო ამ პოზიციას ვერ გაიზიარებს სულ მცირე 2 ფაქტის გამო: 1) რუსული საწვავი გამოირჩეოდა მნიშვნელოვნად დაბალი თვითღირებულებით ევროპულთან შედარებით და კომპანიისთვის ასევე ცნობილი უნდა ყოფილიყო მისი დაღმავალი ტრენდის შესახებ; 2) შიდა ბაზარზე საქონლის შეძენა იმ კომპანიისგან, რომელიც ახორციელებდა რუსეთის ფედერაციიდან საწვავის იმპორტს - არ აზღვევს მის თუნდაც [REDACTED] მომწოდებელ ქვეყანაში, რადგან შიდა ბაზარზე საქონლის შეძენის ფასი დამოკიდებულია იმპორტირებული საწვავის თვითღირებულებაზე.

კომპანია წარმოდგენილ წერილობით პოზიციაში ტაბლოს ციმციმთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ მას ჰქონდა ყველაზე დაბალი ფასი და აღნიშნული ემსახურებოდა მომხმარებლის ყურადღების მიქცევას.¹³⁰ სააგენტოს პოზიციით, კომპანიის ფასი იდენტური ან/და რამდენიმე თეთრით ნაკლებია კონკურენტებთან შედარებით. ამასთან მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ ამგვარი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ ტიპის საწვავზე, რომლის რეალიზაციასაც ისტორიულად ახორციელებს ყველაზე დიდი მოცულობით.

ამასთან, წარმოდგენილ პოზიციაში, კომპანიის მიერ ხდება კომუნიკაციის ფაქტების ახსნა კონკურენტებთან არსებული საქმიანი ურთიერთობებით. სააგენტო აღნიშნავს და მიუთითებს, რომ კომუნიკაციის ფაქტები არ არის ერთადერთი მტკიცებულება. უფრო მეტიც, არსებული პროექტის ფარგლებში, კომუნიკაციის ფაქტები მოცემულია მხოლოდ ეკონომიკური მტკიცებულებების შემდეგ. შესაბამისად, კომუნიკაციის ფაქტები წარმოადგენს

¹²⁹ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ წერილობითი პოზიცია, 21.06.2023, N 01/2064.

¹³⁰ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ წერილობითი პოზიცია, 21.06.2023, N 01/2064.

მტკიცების მხოლოდ ერთ-ერთ დამატებით პლუს ფაქტორს და საქმისათვის მისი მნიშვნელობა განპირობებულია მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებების არსებობის პირობებში.

მოპასუხე მიუთითებს, რომ არ ეთანხმება სააგენტოს პროექტის 69-ე გვერდზე მოცემულ მსჯელობას კომპანიასა და არაბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებს შორის კონკურენციის არარსებობის შესახებ. აღნიშნულია კომპანიის პოზიცია ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე და მითითებულია თუ რა უპირატესობა გააჩნიათ არაბრენდირებულ კომპანიებს მსხვილ ქსელებთან მიმართებით. ასევე აღნიშნულია, რომ მსხვილი ქსელები ერთმანეთთან მძაფრ კონკურენციაში არიან.¹³¹ სააგენტო მიუთითებს, რომ ახსნა-განმარტებითი შეხვედრა დაოქმებულია, მათ შორის არსებობს უწყვეტი აუდიოჩანაწერი, სადაც კომპანია აღნიშნავს, რომ „ბრენდირებული“ ბაზარი მეტ-ნაკლებად გაჯერებულია და მსხვილ კომპანიებს შორის კონკურენციას ადგილი არ აქვს, ხოლო მთავარ კონკურენტად კი არაბრენდირებული/მცირე ქსელები მიაჩნიათ საშუალოდ 50 თეთრიანი სხვაობის გამო. თუმცა სწორედ განსახილველ პერიოდში არაბუნებრივად გაიზარდა სხვაობა ბრენდირებულ და არაბრენდირებულ კომპანიებს შორის.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიცია მის არც ერთ ნაწილში არ ეხება სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ ქმედებას - კერძოდ, რუსული დაბალი თვითღირებულებების მქონე საწვავის იმპორტის პირობებში მაღალი ფასების შენარჩუნებას.

სააგენტოში გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე (როგორც საჯარო, ასევე ნაწილობრივ დახურულ ნაწილში), მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა დამატებით ყურადღება გაამახვილა რამდენიმე ფაქტორზე: 1) მხარეებს შორის კომუნიკაციის ფაქტორზე, 2) ფასების პარალელურ ცვლილებაზე, 3) ნავთობის მიმწოდებელ კომპანიაზე და 4) ბრენდირებულ კომპანიებს შორის მძაფრი კონკურენციის არსებობაზე.

სააგენტო აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის კომუნიკაციის და ფასების პარალელური ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით, როგორც წინამდებარე გადაწყვეტილებაში, ასევე შემაჯამებელ სხდომაზეც მის მიერ არაერთხელ იქნა განმარტება გაკეთებული. რაც შეეხება ნავთობის მიმწოდებელ კომპანიასთან სახელმეკრულებო ურთიერთობას, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებულ წერილობით პოზიციაში მიუთითებს, იმ გარემოებაზე, რომ სააგენტოს მხრიდან არასწორად იქნა იდენტიფიცირებული მისი და [REDACTED]-ის საერთო დამფუძნებელი. კერძოდ, კომპანია აღნიშნავს, რომ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“ (ს/ნ 202352514) კორპორატიულ ვერტიკალში აზერბაიჯანული კომპანიის (SOKAR) გარდა, ჰყავს დამატებით კიდევ ორი დამფუძნებელი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სააგენტო დამატებით განმარტავს, რომ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“ (ს/ნ 202352514) პარტნიორად ჰყავს იურიდიული პირი შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ (ს/ნ 202349440), რომელიც თავის მხრივ წარმოდგენილია სამი პარტნიორი კომპანიის სახით: 1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია - 75.505%; 2.

¹³¹ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ წერილობითი პოზიცია, 21.06.2023, N 01/2064.

EVENTUS GENERAL TRADING FZE - 16.33%; 3. Intersun Holding FZCO - 8.165%. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საერთო დამფუძნებელი არ ჰყავთ მასსა და [REDACTED]-ს, სააგენტოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული.

სააგენტო აღნიშნავს, რომ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ თავისი პოზიციაში ეწინააღმდეგება მასთან გამართულ ახსნა-განმარტებით სხდომაზე დაფიქსირებულ პოზიციას. კერძოდ, ახსნა-განმარტებით სხდომაზე კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად, მათთვის ყველაზე დიდ კონკურენტს არაბრენდირებული კომპანიები წარმოადგენდნენ, რადგან ბრენდირებული კომპანიების ბაზარი მეტნაკლებად გაჯერებულია და ერთმანეთის წინააღმდეგ აღარ მიმდინარეობს კონკურენცია. კომპანიის წარმომადგენლის პოზიციით, მის მთავარ კონკურენტს წარმოადგენენ არაბრენდირებული კომპანიები, რაც განპირობებულია მათ შორის არსებულ ფასთა 50 თეთრიანი სხვაობით. რაც შეეხება გადაწყვეტილების პროექტზე წერილობით წარმოდგენილ და შემაჯამებელ სხდომაზე გამოხატულ პოზიციებს, მათში კომპანიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მძაფრი კონკურენცია არსებობს ბრენდირებულ კომპანიებს შორის, ხოლო არაბრენდირებული კომპანიების მიმართ საფასო კონკურენციაში შესვლა გაცილებით რთულია. შესაბამისად, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ სააგენტოში დაფიქსირებული პოზიციები წინააღმდეგობრივია. აგრეთვე, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მისთვის წამგებიანი იქნებოდა არაბრენდულ კომპანიებთან საფასო კონკურენციაში შესვლა, რადგან, კომპანიის წარმომადგენლის მითითებით, არაბრენდირებულ კომპანიებს ახასიათებთ ნაკლები მარაგების ქონა, არ იცავენ უსაფრთხოების რეგლამენტებს/ზომებს და არიან გადასახადების არაკეთილსინდისიერი გადამხდელები. კომპანიის პოზიციით, სწორედ აღნიშნული გარემოებები მიუთითებს ბრენდირებული კომპანიების მიერ არაბრენდირებულ კომპანიებთან საფასო კონკურენციაში შესვლის სირთულეებზე. სააგენტოს აზრით, აღნიშნული გარემოება არ არის რელევანტური საქმისთვის, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით: 1. სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებით შეფასები საგანს წარმოადგენს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საფასო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები; 2. მართალია შესაწვალ პერიოდში არაბუნებრივად გაიზარდა სხვაობა მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს - მათ შორის შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ საცალო ფასებს და მცირე ქსელების საცალო ფასებს შორის, თუმცა სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებით შეფასებული ქმედება ეხება არა კონკურენციას მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს და მცირე ქსელებს შორის, არამედ იმ ფაქტს, რომ არც ერთი და მათ შორის განსახილველი კომპანიის მიერ არაბუნებრივად გაზრდილი ფასთაშორისი სხვაობის პარალელურად შემცირებული სარეალიზაციო მოცულობების საპასუხოდ, არ მომხდარა პარალელური ქცევიდან გადახვევა, იმ პირობებში, როდესაც არსებობდა ამ უკანასკნელის რესურსი.

სააგენტოს პოზიციით, ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებისა და არგუმენტაციის გათვალისწინებით, ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ საბაზრო ქცევიდან არ იკვეთება ისეთი ქმედებები, რომლებიც საწვავის დაბალი თვითღირებულების გამო მოპოვებული უპირატესობის გამოყენებით შესაძლებელს

გახდინდა გაყიდვების მოცულობის ზრდას შესაბამის ბაზარზე. კერძოდ, კომპანიის ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტის - რეგულარის რეალიზაციის მოცულობა [REDACTED], ხოლო, მას შემდეგ, რაც კომპანიას ხელი მიუწვდებოდა დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავზე, არ მომხდარა საფასო უპირატესობის გამოყენება და საცალო ფასწარმოქმნის ტრენდი კორელაციაში იყო მსხვილ კომპანიებთან. შედეგად, კონკურენტების პარალელური ფასწარმოქმნის და დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავზე ხელმისაწვდომობის პირობებში, ამ შემთხვევაშიც, გაზრდილია კომპანიის ფასნამატი.

4.6. ეკონომიკურ აგენტებს შორის კომუნიკაციის ფაქტები

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური ხასიათის არაპირდაპირ მტკიცებულებებთან ერთად, კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების შესწავლისას, მნიშვნელოვანია კომპანიებს შორის კომუნიკაციის დამადასტურებელი ფაქტების და შესაბამისი მტკიცებულებების არსებობა. აღნიშნული განმარტებულია საკასაციო სასამართლოს მიერ, რომელმაც Nბს-595-592(კ-17) საქმეზე აღნიშნა, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების დადასტურების მიზნით მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ აგენტებს შორის კომუნიკაციის ფაქტის დადგენას.

მოპასუხე კომპანიებს შორის, კომუნიკაციის ფაქტების არსებობა/არარსებობის დადგენის მიზნით, მოკვლევის პროცესში, სააგენტომ გამოითხოვა ინფორმაცია თითოეული კომპანიის დონეზე მენეჯერულ და ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული პირების პირადი მონაცემების შესახებ, მათ შორის: მაღალი რანგის მენეჯერების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ.¹³² აღნიშნულის შემდეგ განხორციელდა ეკონომიკური აგენტებისგან იდენტიფიცირებული პირების კორპორატიული სატელეფონო ნომრების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა.¹³³

სააგენტოს მიერ ზემოაღნიშნული ინფორმაციის მოპოვება განხორციელდა იმისათვის, რომ ქვეყანაში მოქმედი მობილური ოპერატორებიდან, გამოთხოვილიყო

¹³² შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ 2023 წლის 5 იანვრის წერილი (რეგ. 6 იანვარი, N01/23); შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 2023 წლის 6 იანვრის წერილი (რეგ. 10 იანვარი, N01/51); შპს „რომპეტროლ საქართველოს“ 2023 წლის 9 თებერვლის წერილი (რეგ. 9 თებერვალი, N01/485); სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2023 წლის 5 იანვრის წერილი (რეგ. 5 იანვარი, N01/14); შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2023 წლის 10 იანვრის წერილი (რეგ. 10 იანვარი, N01/72).

¹³³ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2023 წლის 2 თებერვლის წერილი (რეგ. 2 თებერვალი, N01/400); შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ 2023 წლის 31 მარტის წერილი (რეგ. 1 თებერვალი, N01/368); შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 2023 წლის 2 თებერვლის წერილი (რეგ. 2 თებერვალი, N01/416); შპს „რომპეტროლ საქართველოს“ 2023 წლის 16 თებერვლის წერილი (რეგ. 16 თებერვალი, N01/582); სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ 2023 წლის 1 თებერვლის წერილი (რეგ. 1 თებერვალი, N01/380).

იდენტიფიცირებული კორპორატიული ნომრების და ასევე, მობილური ოპერატორების დონეზე ფიზიკურ პირებზე რეგისტრირებული სატელეფონო ნომრების კონტაქტების საერთო კრებისთი ინფორმაცია. შესაბამისად, ინფორმაციის გამოთხოვა განხორციელდა ბაზარზე მოქმედი მობილური ოპერატორებიდან: შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“, შპს „ვიონი საქართველო“ (ბილაინი).¹³⁴

მობილური ოპერატორებიდან მიღებული ინფორმაცია მოიცავს იდენტიფიცირებულ კორპორატიულ სატელეფონო და ასევე კონკრეტული პირების კონკრეტულ მობილურ ოპერატორში რეგისტრირებულ სატელეფონო ნომრებზე განხორციელებულ შემდეგ აქტივობებს: მობილური ტელეფონის ნომერი; აქტივობის ტიპი - ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება (შინაარსის გარეშე); აქტივობის სახე - გასული/შემოსული; ზარის/მოკლე ტექსტური შეტყობინების ადრესატი; ზარის ხანგრძლივობა; ზარის უნიკალური ნომერი; მიმღები ანძის დასახელება; იდენტიფიცირებული კონტაქტის მიმღები ანძის მისამართი; თარიღი.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, სააგენტომ პირველ რიგში მოახდინა ეკონომიკური აგენტებიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, კრებით ინფორმაციაში კომპანიების, კონტაქტის განმახორციელებელი/მიმღები პირების და სამუშაო პოზიციების იდენტიფიცირება. მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს მიზანს წარმოადგენდა, 2022 წლის იანვარი-აგვისტოს შუალედში ეკონომიკურ აგენტებს შორის კომუნიკაციის ფაქტების დადგენა (ასეთი არსებობის შემთხვევაში). განხორციელებული ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი:

2022 წლის იანვარი-აგვისტოს შუალედში, განსახილველ ეკონომიკურ აგენტებს შორის ფიქსირდება სატელეფონო კომუნიკაციის (ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) **4108** შემთხვევა, აქედან:

- გალფის და ვისოლის კონტაქტი - **400** ერთეული;
- გალფის და ლუკოილის კონტაქტი - **300** ერთეული;
- გალფის და რომპეტროლის კონტაქტი - **325** ერთეული;
- გალფის და სოკარის კონტაქტი - **36** ერთეული;
- ვისოლის და ლუკოილის კონტაქტი - **1080** ერთეული;
- ვისოლის და რომპეტროლის კონტაქტი - **307** ერთეული;
- ვისოლის და სოკარის კონტაქტი - **1085** ერთეული;
- ლუკოილის და რომპეტროლის კონტაქტი - **335** ერთეული;
- ლუკოილის და სოკარის კონტაქტი - **126** ერთეული;
- რომპეტროლის და სოკარის კონტაქტი - **114** ერთეული.

¹³⁴ შპს „მაგთიკომის“ 2023 წლის 15 თებერვლის წერილი (რეგ. 16 თებერვალი, N01/572); სს „სილქნეტის“ 2023 წლის 9 მარტის წერილი (რეგ. 9 მარტი, N01/800); შპს „ვიონი საქართველოს“ 2023 წლის 27 მარტის წერილი (რეგ. N01/999).

4108 სატელეფონო კომუნიკაციიდან, **852** შემთხვევას შეადგენს ეკონომიკური აგენტების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ან/და მოკვლევის ფარგლებში სააგენტოში კომპანიებთან ახსნა/განმარტებით შეხვედრებზე დამსწრე კომპანიების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის ფაქტები.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, სააგენტოს ანალიზი მოიცავს მხოლოდ სატელეფონო ნომრებზე განხორციელებული კონტაქტის სტატისტიკას და მასში არ შედის ცალკეული საკომუნიკაციო აპლიკაციების მეშვეობით განხორციელებული კონტაქტების სტატისტიკა, მაგ: WhatsApp, Facebook Messenger, Signal და ა.შ.

5. სააგენტოს შეფასება

სააგენტო შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“, შპს „რომპეტროლ საქართველოს“ და შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ ქმედებას აფასებს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზოგადი შემადგენლობისა და მასთან კავშირში მყოფი სპეციალური შემადგენლობის (ფასების ფიქსაციის) კონტექსტში.

სუბიექტები - განსახილველი კომპანიები ერთმნიშვნელოვნად განეკუთვნებიან მოცემული ნორმის ადრესატთა წრეს, რადგანაც თითოეული მათგანი აკმაყოფილებს ეკონომიკური აგენტის ცნების შემდეგ კომპონენტს - იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა და სამართლებრივი ფორმისა.

ქმედება - საქმეში წარმოდგენილი ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებებით დგინდება ეკონომიკურ აგენტთა ნების თანხვედრა ერთგვაროვანი საფასო პოლიტიკის განხორციელების კუთხით. გარდა აღნიშნულისა, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთა შორის გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში რეგულარული, არაერთჯერადი და მუდმივი ხასიათის კომუნიკაციის ფაქტები. მოცემულ შემთხვევაში, მართალია ეკონომიკურ აგენტთა ნების თანხვედრა დოკუმენტურად არ არის დაფიქსირებული, თუმცა ის გამომდინარეობს მხარეთა პარალელური ქცევიდან - 2022 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში (განსაკუთრებით მარტის თვიდან აგვისტოს თვის ჩათვლით პერიოდში) შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე ფასების და ფასნამატის მაღალ ნიშნულზე შენარჩუნებაში. ამასთან, მაგალითად რეგულარის ტიპის საწვავზე, 2023 წლის 30 ივნისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, განსახილველი კომპანიების მიერ საცალო ფასი პრაქტიკულად იდენტურ ნიშნულზე იყო წარმოდგენილი, რის პარალელურადაც ბაზარი გაჯერებული იყო დაბალი თვითღირებულების მქონე რუსული საწვავით და ეროვნული

ვალუტა აჩვენებდა დადებით დინამიკას გამყარების მიმართულებით - აღნიშნული კი, ხსენებული დინამიკის საპირისპიროდ, აისახა საცალო ბაზარზე გაზრდილ ფასნამატში. მოცემული გარემოება/გარემოებები, როგორც წინამდებარე გადაწყვეტილებაში არაერთხელ აღინიშნა, წარმოადგენს მხარეთა კოორდინაციის არაპირდაპირი ხასიათის ეკონომიკურ მტკიცებულებას, რადგანაც მოპასუხე კომპანიებს გამოსაკვლევ პერიოდში ჰქონდათ შესაძლებლობა, გამოეყენებინათ კონკურენტული უპირატესობა, შეემცირებინათ საცალო ფასი და დაფიქსირებულიყო პარალელური ქცევისგან გადახვევის ფაქტი, რაც არ მომხდარა.

როგორც უკვე აღინიშნა, გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიები ფლობდნენ სხვადასხვა წარმოშობისა და შესაბამისად, სხვადასხვა თვითღირებულების საწვავს, ბაზარზე დაფიქსირდა პარალელური ქმედებები საცალო ფასწარმოქმნის კუთხით. კერძოდ, როგორც წინამდებარე თავებში კომპანიათა საბაზრო ქცევის აღწერაში აღინიშნა, საწვავის სხვადასხვა თვითღირებულებისა და შესაბამისად, მათ ფასებს შორის სხვაობების სიდიდის მიუხედავად, კომპანიების მხრიდან ფასთა ცვლილება საცალო ქსელში, როგორც წესი, მერყეობდა 1 თეთრიდან 10 თეთრის ფარგლებში. აგრეთვე, კომპანიების მხრიდან ადგილი არ ჰქონია კონკრეტულ შემთხვევებში ყველაზე გაყიდვადი პროდუქტების მოცულობის კიდევ უფრო გაზრდის მცდელობას ან/და საცალო ფასის შემცირების გზით, იმ პროდუქტის საცალო სარეალიზაციო მოცულობის ზრდას, რისი რეალიზაციის მაჩვენებელიც 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მცირდებოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, პარალელური ფასწარმოქმნის პირობებში შეთანხმების დასადასტურებლად გამოიყენება ე.წ. „პლუს ფაქტორების“ ერთობლიობა. ამდენად, სააგენტო მოცემულ საქმეში ითვალისწინებს რა განვითარებულ მსჯელობას, ახდენს 2022 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში არსებული ფაქტობრივი გარემოებების და ეკონომიკური აგენტების ქცევის შეფასებას აღნიშნული ფაქტორების შესაბამისად:

ა) ფაქტორები, რომლებითაც შეიძლება შეთანხმება განვასხვავოთ უბრალო პარალელიზმისგან:

1) კომუნიკაცია ან კომუნიკაციის შესაძლებლობა - სააგენტოს მიერ გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში დადასტურებულია ეკონომიკურ აგენტებს შორის რეგულარული, არაერთჯერადი, განგრძობადი და მუდმივი ხასიათის კომუნიკაციის ფაქტები.

2) ისეთი ტიპის ქცევა, რომლის ახსნაც შეუძლებელია უბრალო პარალელური ქცევით - შესასწავლ პერიოდში საცალო ფასწარმოქმნა არ გამომდინარეობდა პროდუქტის თვითღირებულებიდან, ამასთან დღეის მდგომარეობით სააგენტოში არ იყო წარმოდგენილი ამგვარი ქცევის რაციონალური ახსნა.

ბ) ფაქტორები, რომლებიც უთითებს ინდუსტრიის კოორდინაციისკენ მიდრეკილებაზე:

1) ინდუსტრიის მახასიათებლები - საავტომობილო საწვავი წარმოადგენს ჰომოგენურ/ერთგვაროვან პროდუქტს, ბაზარი ფუნქციონირებს საცალო ფასების

გამჭვირვალობის და საჯაროდ ხელმისაწვდომობის პირობებში. მართალია, ბაზრის საცალო დონეზე ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს ეკონომიკურ აგენტთა დიდი რაოდენობა, თუმცა არსებობს მნიშვნელოვან მოთამაშედ ჩამოყალიბების ფინანსური და ტექნიკური ბარიერი, მაგ. ქვეყნის ტერიტორიის დაფარვა ავტო-გასამართი სადგურებით;

2) *კოორდინაციის ისტორია* - სააგენტოს დადასტურებული აქვს განსახილველ ბაზარზე მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებული ქმედების ფაქტი.¹³⁵ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მხარეთა მხრიდან სასამართლოში გასაჩივრების გარეშე, კომპანიებს ჯამში დაეკისრათ 3 მილიონ ლარამდე ჯარიმა, რომელიც გადახდილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში;

3) *კოლექტიური ქცევის რაციონალური მოტივი* - სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებებით, შესასწავლ პერიოდში პარალელური ქცევის განმახორციელებელ 4 ეკონომიკურ აგენტს უფიქსირდება საცალო ფასნამატის საშუალოდ [redacted]-იანი ზრდა, ხოლო შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ეძლეოდა შესაძლებლობა მის ხელთ არსებული ძვირადღირებული საწვავი მაღალ ფასად გაეყიდა საცალო ქსელში. მსგავსი ქმედება ფიქსირდება შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ შემთხვევაშიც. ასევე, ბაზარი თავის მხრივ არაელასტიურია, რაზეც მეტყველებს წლების მიხედვით ქვეყანაში იმპორტირებული საწვავის მსგავსი მოცულობა (მაგ. 2022 წლის იანვარი-აგვისტოს და 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტირებული საწვავის მოცულობა პრაქტიკულად იდენტურია);

4) *საბაზრო ძალაუფლების გამოყენების მიმანიშნებელი ფაქტორები* - მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საცალო ფასები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბაზარზე მოქმედ სხვა ეკონომიკურ აგენტთა საცალო ფასებს, აღნიშნული ხუთი კომპანიის საბაზრო წილი ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურ ნიშნულს ინარჩუნებს, საშუალოდ 56-60%.¹³⁶

5) *დამხმარე ფაქტორები* - აღნიშნული ბაზარი გამოირჩევა ეკონომიკური აგენტების ხარჯების ერთიანი სტრუქტურით, მათ შორის საოპერაციო დანახარჯების ერთგვაროვნებით, აგრეთვე, ერთიანი საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმით. ასევე, როგორც წესი, სხვადასხვა კომპანიების/ასოციაციის წარმომადგენლები მოსალოდნელ ფასთა ცვლილებებს ხშირად აანონსებენ სხვადასხვა საჯარო წყაროების მეშვეობით.¹³⁷

6) *ქმედებები, რომლებიც კოლექტიურად განუხორციელებლობის შემთხვევაში, ეწინააღმდეგება ინდივიდუალური მონაწილის ინტერესს* - როგორც უკვე აღინიშნა, შპს „რომპეტროლ საქართველოს“ და რიგ შემთხვევებში შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ მხრიდან ადგილი აქვს ძვირადღირებული პროდუქციის საცალო ქსელში გატანას, ხოლო იაფი პროდუქციის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებზე რეალიზაციას. იმ პირობებში, როდესაც საყოველთაოდ ცნობილი იყო ბაზარზე არსებული რუსული საწვავის დაბალი

¹³⁵ საავტომობილო საწვავის (II) საქმე, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N04/117, 10.05.2018.

¹³⁶ იხ. საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) ბაზრის მონიტორინგის ანგარიში <https://admin.competition.ge/uploads/83d7db79de3540fa87f1044d12b3e029.pdf>

¹³⁷ მაგ. იხ. <https://bm.ge/ka/article/sawvavis-fasi-savaraudod-20-25-tetrit-gaizrdeba---quotvisolisquot-generaluri-direqtori/101124>; <https://businessformula.ge/News/6749>; <https://netgazeti.ge/news/597997/>.

თვითღირებულების შესახებ, ამგვარი ქმედება, კოორდინირებულად მოქმედების გარეშე ეკონომიკური თვალსაზრისით იყო არარაციონალური. ასევე, არარაციონალურია იმ ეკონომიკურ აგენტთა ქმედებები, რომლებსაც გააჩნდათ კონკურენტული უპირატესობა საწვავის თვითღირებულების ნაწილში და არ იყენებდნენ მას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ოპერირების სტრატეგიაში არ შეინიშნება ლოგიკური და პროპორციული ქმედებები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მიმართული იქნებოდა ერთმანეთისათვის ფასისმიერი კონკურენციის გაწევასა და შესაბამისად, მომხმარებლების მოზიდვასა ან/და რეალიზებული პროდუქტის ოდენობის ზრდაზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქმეში არსებული ეკონომიკურ აგენტთა ერთობლივი ქცევა შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც კოორდინირებული ქცევა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ არ მიუღწევია ფორმალურ შეთანხმებამდე, გაცნობიერებულად ახდენს კონკურენტული რისკების პრაქტიკული თანამშრომლობით ჩანაცვლებას. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. შერეულ ქმედებასთან. კერძოდ, შეთანხმების ელემენტის არსებობაზე მეტყველებს მხარეთა შორის არსებული სატელეფონო კომუნიკაციის სიხშირე გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში, ხოლო შეთანხმებული ქმედების ელემენტის არსებობა დგინდება ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური ხასიათის მტკიცებულებებით პარალელურ ფასწარმოქმნასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტული დარღვევა შეიძლება შეიცავდეს როგორც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების, ისე შეთანხმებული ქმედების ელემენტებს. შესაბამისად, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში არსებული დარღვევა შეიცავს ორივე მათგანის ელემენტებს, კონკურენციის უწყებას არ ეკისრება დარღვევის კონკრეტულად „შეთანხმებად“ ან „შეთანხმებულ ქმედებად“ დაკვალიფიცირების ვალდებულება. სასამართლომ ასევე აღნიშნა, დარღვევის „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებად ან/და შეთანხმებულ ქმედებად“ კვალიფიცირება ასევე არ გულისხმობს, რომ კონკურენციის უწყებას ორმაგი მტკიცების ტვირთი ეკისრება. თუ ეს უკანასკნელი დარღვევის კონკრეტულ მონაკვეთებში დაადასტურებს შეთანხმების, ხოლო დანარჩენ მონაკვეთებში - შეთანხმებული ქმედების არსებობას, TFEU 101-ე მუხლის დარღვევა მთლიანობაში დადგენილად ჩაითვლება.¹³⁸ სასამართლომ დაადგინა, რომ კომისიას უფლება ჰქონდა, მიეჩნია დარღვევა „კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებად ან/და შეთანხმებულ ქმედებად“, თუ ეს უკანასკნელი შეიცავდა ორივე ზემოაღნიშნული ქმედების ელემენტებს.

სააგენტო სრულად იზიარებს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკას ე.წ. შერეულ ქმედებებთან დაკავშირებით და განსახილველი საკითხის ფარგლებში მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთა ქმედება შეიცავს ორივე

¹³⁸ გაერთიანებული საქმეები T- 305-7, 313-318, 325, 328-9, 335/94; Limburgse Vinyl Maatschappij NV and others v Commission.

ზემოთ დასახელებულ ელემენტს, რის გამოც ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, შესაძლებელია ამ ქმედებების ერთიან დარღვევად კვალიფიკაცია.

კონკურენციის შემზღვეველი მიზანი - როგორც უკვე აღინიშნა, ევროკომისიას საკუთარ პრაქტიკაში სტაბილურად აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია, რომლის თანახმად, ფასების ფიქსაცია ნებისმიერ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კონკურენციის მთავარ იდეას და მისი შედეგების კვლევა არ მიიჩნევა რეკომენდირებულად. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე საქმის მოკვლევის ფარგლებში დგინდება ფასების ფიქსაციის შემთხვევა, აღნიშნულ შეთანხმებას გააჩნია კონკურენციის შემზღვეველი მიზანი და დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, მის მიერ გამოწვეული შედეგის კვლევის ვალდებულება კონკურენციის უწყებას არ ეკისრება. აღნიშნულ გარემოებას აგრეთვე ადასტურებს ის მოცემულობაც, რომ კონკურენციის შემზღვეველი მიზნის მქონე შეთანხმებების მიმართ არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისები. კერძოდ, მათზე არ ვრცელდება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-9 მუხლებითა და საქართველოს მთავრობის N526-ე დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისები.

სააგენტო განმარტავს, რომ საცალო სარეალიზაციო ფასის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს პლატის ფასი და ლარის გაცვლითი კურსი, რადგან მოცემულ 2 ფაქტორს გააჩნია გავლენა იმპორტირებული საწვავის თვითღირებულებაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოკვლევის ფარგლებში ეკონომიკურ აგენტებთან გამართული ახსნა-განმარტებითი შეხვედრების დროს ყველა სუბიექტის მიერ ხაზი გაესვა ზემოხსენებული ფაქტორების მნიშვნელოვან როლს ფასწარმოქმნაში საცალო ბაზარზე. სააგენტოს მიერ დეტალურად განხორციელდა ზემოხსენებული ფაქტორების მაჩვენებლების ანალიზი და დადგინდა, რომ 2022 წლის მარტის თვემდე ფასის ზრდის მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენდა როგორც პლატის ფასის არასტაბილურობა, ასევე ლარის გაცვლითი კურსის მერყეობა და შესაბამისად, იმპორტირებული საწვავის მაღალი თვითღირებულება. თუმცა, 2022 წლის მარტის თვიდან აგვისტოს თვის ჩათვლით სააგენტოს მიერ გამოკვლეული და ჩატარებული ეკონომიკური ანალიზის შედეგად გამოვლენილ იქნა მთელი რიგი გარემოებები, რასაც სხვა ჩვეულებრივ პირობებში, თავისუფალი კონკურენციის არსებობის შემთხვევაში, არ უნდა ჰქონოდა ადგილი.

2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში, მას შემდეგ, რაც ეკონომიკურმა აგენტებმა აქტიურად დაიწყეს რუსული წარმოშობის საწვავით საცალო ქსელში ოპერირება, იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება განიცდიდა მკვეთრ და სტაბილურ კლებას. ამასთან, არც სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციით და არც კომპანიების მიერ მოწოდებული წყაროებით არ დგინდება რაიმე შეფერხებები საწვავის მოწოდებასთან დაკავშირებით ხსენებული პერიოდის განმავლობაში. ასევე, აღნიშნულ პერიოდში ლარის გაცვლითი კურსი ინარჩუნებდა სტაბილურად პოზიტიურ ნიშნულს უცხოურ ვალუტასთან მიმართებით, ხოლო, რუსული საწვავის თვითღირებულება პლატსზე მოცემულ ევროპული საწვავის თვითღირებულებას მკვეთრად ჩამოუვარდებოდა და გააჩნდა კლების ტენდენცია.

ზემოაღნიშნული გარემოებების მიუხედავად, და იმის გათვალისწინებით, რომ შპს „რომპეტროლ საქართველოს“ გარდა ოთხივე ეკონომიკური აგენტი ახორციელებდა მეტწილად/სრულად რუსული წარმოშობის საწვავის საცალო რეალიზაციას, არცერთი მათგანის მიერ არ მომხდარა ხსენებული ფაქტორების საცალო ფასწარმოქმნაში ასახვა და, უფრო მეტიც, ეკონომიკური აგენტები ერთობლივად მიყვებოდნენ ევროპული საწვავის ფასის ტრენდს. ამასთან, მოცემულ ვითარებაში მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ შპს „რომპეტროლ საქართველო“, ახდენდა რა ევროპული საწვავის რეალიზაციას და მისი პროდუქტის თვითღირებულება მკვეთრად აღემატებოდა სხვა მოპასუხე კომპანიების საწვავის თვითღირებულებას, ეკონომიკურად გაუმართლებელი რისკის პირობებში, საბაჟო საწყობში არსებული დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის რეალიზაციას ახორციელებდა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებზე, ხოლო მაღალი თვითღირებულების საწვავი გაჰქონდა საკუთარ საცალო ქსელში. მსგავს ქმედებას ადგილი ჰქონდა შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ შემთხვევაშიც. აღნიშნული ქმედება ნორმალური საბაზრო მოცემულობის პირობებში დაკავშირებულია არაგონივრულ რისკთან, ვინაიდან იქმნება საფრთხე როგორც შესაბამისი მოგების, ასევე მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვისა. სააგენტოს პოზიციით, ამგვარი ქმედება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კოორდინირებული ქცევის პირობებში.

საბოლოოდ, სააგენტო მიუთითებს, რომ ჯანსაღი კონკურენციისა და დამოუკიდებელი ფასწარმოქმნის პირობებში, კოორდინაციის გარეშე, შეუძლებელია და ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია კომპანიების ზემოთ აღწერილი ქმედება. ასევე ხაზგასასმელია, რომ მოპასუხე კომპანიებიდან არც ერთს დღეის მდგომარეობით არ წარმოუდგენია იმგვარი ახსნა-განმარტება მათი საბაზრო ქმედებისა, რომელიც წინამდებარე დოკუმენტში არსებულ გარემოებებს სხვა ალტერნატიულ და გონივრულ ახსნას მოუძებნიდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებული მტკიცებულებების ერთობლიობითა და ეკონომიკურ აგენტთა მიერ განხორციელებული ქმედებების ალტერნატიული დამაჯერებელი ახსნის არ არსებობის პირობებში, მოპასუხე კომპანიების ქმედებები წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას, კერძოდ კი ადგილი აქვს პროდუქციის გაყიდვის საცალო ფასის ფიქსაციას, რაც გამოიხატა 2022 წლის მარტიდან აგვისტოს თვის ჩათვლით, განსახილველი პროდუქტის თვითღირებულების ცვლილების მიუხედავად, კონკურენტების მიერ, საცალო სარეალიზაციო ფასების (ტაბლოს ფასი) ტრენდის კოორდინირებულად დადგენასა და შესაბამისად, მაღალი ფასნამატის შენარჩუნებაში.

6. დასკვნა

1. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, შპს „რომპეტროლ საქართველოს“, შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“ გამოსაკვლევ პერიოდში, კერძოდ 2022 წლის მარტის თვიდან აგვისტოს თვის ჩათვლით, გააჩნდათ სხვადასხვა და ევროპული წარმოშობის საწვავთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი თვითღირებულების საწვავი. თუმცა, კომპანიების საცალო საფასო პოლიტიკა იყო იდენტური და პროდუქტის თვითღირებულების ცვლილება არ აისახებოდა საცალო დონეზე;
2. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მიერ საცალო ბაზარზე ხდებოდა მაღალი თვითღირებულების მქონე ევროპული წარმოშობის საწვავის საკუთარ საცალო ქსელში გატანა, ხოლო დაბალი თვითღირებულების მქონე ევროპული წარმოშობის საწვავის რეალიზაცია საბითუმო გზით სხვა - მათ შორის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებზე. მსგავსი ქმედება დაფიქსირდა შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ შემთხვევაშიც. აღნიშნული სააგენტოს პოზიციით შესაძლებელი იყო მხოლოდ კოორდინირებული ქმედების პირობებში;
3. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ფასწარმოქმნა ბაზრის საცალო დონეზე, ისევე როგორც საცალო ქსელში ოპერირების საფასო სტრატეგია იდენტური იყო შპს „რომპეტროლ საქართველოსი“, როგორც ევროპული საწვავის იმპორტიორი კომპანიის საცალო ფასწარმოქმნის სტრატეგიის, რამაც ამ უკანასკნელს, მოსალოდნელი კონკურენციის გამორიცხვის პირობებში, შესაძლებლობა მისცა საცალო ქსელში მოეხდინა მაღალი თვითღირებულების მქონე საწვავის რეალიზაცია და პარალელურად საბაჟო საწყობიდან გაეყიდა მნიშვნელოვნად დაბალი თვითღირებულების მქონე პროდუქტი;
4. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, შპს „რომპეტროლ საქართველოს“, შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ წარმომადგენლებს შორის ხორციელდებოდა აქტიური სატელეფონო კომუნიკაცია;
5. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, შპს „რომპეტროლ საქართველოს“, შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ 2022 წლის მარტის თვიდან აგვისტოს თვის ჩათვლით პერიოდში, განხორციელებული კოორდინირებული ქმედებები წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებულ შემადგენლობას, კერძოდ ეკონომიკური აგენტების კოორდინირებულ ქცევას, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა - გაყიდვის ფასის არაპირდაპირი დადგენის გზით.

7. სანქცია

კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის ხარისხის ზრდას, რათა მოხდეს ისეთი ბაზრების არსებობის გარანტირება, რომელიც შესაბამისობაში იქნება მომხმარებლის ინტერესებთან, უზრუნველყოფს ეკონომიკაში რესურსების ეფექტიან განაწილებასა და ინოვაციებზე ორიენტირებული წარმოების გაუმჯობესებას. ამასთანავე, კონკურენციის კანონმდებლობა მიზნად ისახავს ბაზარზე კონკურენციის, როგორც მომხმარებელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და რესურსების ეფექტურად განაწილების ხელშეწყობას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კანონი ითვალისწინებს კონკურენციის კანონმდებლობისა და კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების გარკვეულ მექანიზმებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ აღსრულების კონკრეტული ღონისძიებების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელება, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებისა და კონკურენციისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტების პრევენცია და თავიდან აცილება, რათა დაცულ იქნეს საერთო საზოგადოებრივი ინტერესები.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს ჯარიმა. სანქციის აღნიშნული მექანიზმის გამოყენება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს აღსრულების ამ ღონისძიების მიზნებისა და ფუნქციების გათვალისწინებით. კერძოდ, ჯარიმის დაკისრებას გააჩნია კონკურენციის დარღვევის აღმოფხვრის ფუნქცია, ვინაიდან დაკისრებული სანქცია, რომელიც გამოითვლება დარღვევის სიმძიმის, ხანგრძლივობის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით, ერთგვარი კომპენსაციაა ჯანსაღი კონკურენტული გარემოსა და მომხმარებლის კეთილდღეობისათვის მიყენებული ზიანის საპირწონედ. გარდა ამისა, ჯარიმა, განიხილება, როგორც კონკურენციის პოტენციური შემზღუდველი ქმედებების შემაკავებელი ბერკეტი, ვინაიდან იგი ეკონომიკურ აგენტებში ქმნის დასჯის რეალური საფრთხის განცდას. ამდენად, კონკრეტული დარღვევისათვის ეკონომიკური აგენტისთვის დაკისრებულ ჯარიმას უნდა ჰქონდეს საკმარისად შემაკავებელი ეფექტი, არა მხოლოდ კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტის/აგენტების მიმართ („specific deterrence“), არამედ სხვა ეკონომიკური აგენტების

მიმართაც, არ ჩაერთონ ან არ გააგრძელონ კონკურენციის შემზღვეველი ქმედებები („general deterrence“).¹³⁹ შესაბამისად, ჯარიმის ოდენობაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული ფუნქციებისა და მიზნების შესაბამისად უნდა დადგინდეს.

როგორც ზემოთ აღნიშნა, მოცემულ შემთხვევაში დადგინდა შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ (ს/ნ 204976302), სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 202161098), შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 404391136), შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ (ს/ნ 202352514) და შპს „რომპეტროლ საქართველოს“ (ს/ნ 204493002), მხრიდან კანონის მე-7 მუხლის დარღვევა (კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება ან შეთანხმებული ქმედება). აღნიშნული კანონდარღვევისთვის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა სანქციის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას. კერძოდ, კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს.“ ამდენად, კანონის 33-ე მუხლი ადგენს სამართალდამრღვევი პირისათვის დასაკისრებელი ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას. კერძოდ, ჯარიმის ზედა ზღვარი შეადგენს ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5 პროცენტს. ამასთან, ჯარიმის მინიმალურ ოდენობას კანონი არ განსაზღვრავს. კონკრეტულ შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5 პროცენტის ფარგლებში, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

აღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კონკრეტულ შემთხვევაში, სანქციის ოდენობის განსაზღვრისას, სააგენტო მხედველობაში იღებს შესაბამისი საქმის რელევანტურ დეტალებს, აფასებს დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს და სანქციის მიზნების გათვალისწინებით ადგენს ჯარიმის კონკრეტულ ოდენობას. ამასთან, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველო კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპებით¹⁴⁰ (შემდგომში - „სახელმძღვანელო პრინციპები“).

სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევიდან გამომდინარე, სანქციის შეფარდების პროცესი ხორციელდება ორ ეტაპად.¹⁴¹ პირველ ეტაპზე ხდება ჯარიმის ზოგადი საზღვრების დადგენა, რაც გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჯარიმის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის გამოთვლას, ხოლო შემდეგ ეტაპზე ხდება ჯარიმის პროპორციული ოდენობის განსაზღვრა.

¹³⁹ Guidelines on the method of setting fines imposed pursuant to Article 23(2)(a) of Regulation No 1/2003 (2006/C 210/02), § 4, ხელმისაწვდომია: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52006XC0901\(01\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52006XC0901(01))

¹⁴⁰ ხელმისაწვდომია: <https://admin.competition.ge/uploads/0dc9ce2ac3304600b1af11ffffac206b.pdf>

¹⁴¹ სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის 33-ე მუხლით განსაზღვრულია სამართალდამრღვევი პირისათვის დასაკისრებელი ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა, რაც შეადგენს ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5 პროცენტს, ხოლო მინიმალური ოდენობა კანონით განსაზღვრული არ არის. აქედან გამომდინარე, ჯარიმის ზოგადი საზღვრებიც დგინდება სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5 პროცენტის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, სამართალდამრღვევ სუბიექტებს წარმოადგენენ შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ (ს/ნ 204976302), სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (ს/ნ 202161098), შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (ს/ნ 404391136), შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ (ს/ნ 202352514) და შპს „რომპეტროლ საქართველო“ (ს/ნ 204493002), რომელთა მიმართაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, დადგინდა კანონის მე-7 მუხლის დარღვევა. აქედან გამომდინარე, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში სამართალდამრღვევისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ზოგადი ზედა ზღვარი შეადგენს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების (ცალ-ცალკე) წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვების 5 პროცენტს. სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, „წინა ფინანსურ წელში“ იგულისხმება სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტისთვის ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წლის წინა ფინანსური წელი,¹⁴² რაც ემსახურება იმ მიზანს, რომ დადგენილ იქნას ეკონომიკური აგენტის აქტუალური ფინანსური შესაძლებლობები, რაც უნდა იყოს ჯარიმის საკმარისად პრევენციული ოდენობის განსაზღვრის საფუძველი. შესაბამისად, ვინაიდან მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება 2023 წელს, ჯარიმის განსაზღვრა უნდა მოხდეს შესაბამისი ეკონომიკური აგენტების 2022 წლის წლიური ბრუნვებიდან.

სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, წლიური ბრუნვა არის კომპანიის შემოსულობა, ამონაგები - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ან კანონმდებლობით დადგენილი სხვაგვარი წესით აღრიცხული შემოსავლები/შემოსულობები. ამავდროულად, ჯარიმის მაქსიმალური ოდენობის დადგენის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება ეკონომიკური აგენტის სრული წლიური ბრუნვა და არა მის მიერ კანონდარღვევის შედეგად რეალიზებული საქონლის ან მომსახურების ოდენობიდან მიღებული შემოსავალი. აღნიშნულ ბრუნვაში შედის, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავალიც.¹⁴³

მოკვლევის ფარგლებში ჯამური წლიური ბრუნვების შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნა შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ მონაცემთა ბაზების მეშვეობით, რომელზე წვდომაც გააჩნია სააგენტოს.

¹⁴² სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის 1.1. პუნქტი

¹⁴³ სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის 1.1. პუნქტი

შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზის მიხედვით, შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ (ს/ნ 204976302) 2022 წლის წლიური ბრუნვა შეადგენს [REDACTED] ლარს, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 202161098) 2022 წლის წლიური ბრუნვა შეადგენს [REDACTED] ლარს, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 404391136) 2022 წლის წლიური ბრუნვა შეადგენს [REDACTED] ლარს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ (ს/ნ 202352514) 2022 წლის წლიური ბრუნვა შეადგენს [REDACTED] ლარს და შპს „რომპეტროლ საქართველოს“ (ს/ნ 204493002) 2022 წლის წლიური ბრუნვა შეადგენს [REDACTED] ლარს.

შესაბამისად, კანონის მე-7 მუხლის დარღვევისათვის სწორედ თითოეული აღნიშნული თანხის 5%-ის ფარგლებში უნდა მოხდეს მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრა, კონკრეტული პროცენტის გათვალისწინებით.

სანქციის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მხედველობაში იღებს კონკრეტული საქმის რელევანტურ გარემოებებს, აფასებს ქმედების დამამძიმებელ ან/და შემამსუბუქებელ გარემოებებს და აღნიშნულის შედეგად ახდენს ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის განსაზღვრას. ამასთან, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის 1.2. ქვეთავზე და განმარტავს, რომ სანქციის შეფარდების პროცესში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასწარ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და რეგულაციები, რომლებიც შემთხვევათა განზოგადებისკენ არის მიმართული. ამასთან, **დაუშვებელია ცალკეული შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებებისთვის ფიქსირებული პროცენტული მაჩვენებლის მინიჭება ჯარიმის ოდენობასთან მიმართებით.**¹⁴⁴

სააგენტო აღნიშნავს, რომ ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს სამართალდარღვევის შედეგად დამდგარი ზიანისა და ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოცულობა. აღნიშნულის გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აუცილებელია, სანქციას გააჩნდეს საკმარისი სადამსჯელო/პრევენციული ეფექტი (ეკონომიკური აგენტისთვის ჯარიმის დაკისრების შემდეგ, საერთო ჯამში, სარგებლის მომტანი არ უნდა იყოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა). გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული მოკვლევა მიმდინარეობს კონკრეტული სუბიექტის/სუბიექტების მიმართ, აუცილებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთობლიობაში შეფასდეს კანონდარღვევის სიმძიმე, ხანგრძლივობა და დარღვევით გამოწვეული ზიანი, ქმედების დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი გარემოებები.

ჯარიმის კონკრეტული ოდენობის გამოთვლის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, ასევე, სამართალდარღვევის სიმძიმის შეფასება. სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით,

¹⁴⁴ სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის პირველი პუნქტი

კონკურენციის არამართლზომიერად შემზღველი ქმედებების სიმძიმე ფასდება იმ მოცულობის ფარგლებში, რა მოცულობითაც მოხდა თავისუფალი, ჯანსაღი კონკურენციის შეზღუდვა.

მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საავტომობილო საწვავის ბაზარი, მოკვლევის პერიოდისათვის, ხასიათდებოდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან განსახილველ პროდუქტზე იდენტური ფასწარმოქმნით, რის გამოც ერთმანეთის მიმართ ადგილი არ ჰქონია ფასისმიერ კონკურენციას. აღნიშნულის შედეგად ზიანი მიადგა როგორც შესაბამის ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს, ასევე საბოლოო მომხმარებელს. სამომხმარებლო ზიანი გამოიხატა იმაში, რომ ფაქტობრივად გაიაფებული პროდუქტის ხელმისაწვდომობის მიუხედავად, კომპანიათა ამგვარი ქმედებების შედეგად, მომხმარებლებს უწევდათ დაუსაბუთებლად და არსებითად გამვირებული ფასის გადახდა.

ქმედების სიმძიმის განსაზღვრისას, გასათვალისწინებელია, ასევე, კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შინაარსობრივი და გეოგრაფიული მასშტაბები, კერძოდ, შესაბამისი ბაზრის მთლიანი მოცულობის თუ მისი ნაწილის მომცველია დადგენილი კანონდარღვევა. მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, სააგენტოს მიერ გეოგრაფიულ საზღვრად იდენტიფიცირებულ იქნა საქართველოს მთელი ტერიტორია. რაც შეეხება კანონდარღვევის ხანგრძლივობას, კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ხანგრძლივობის განსაზღვრა გულისხმობს კანონდარღვევის დაწყებისა და დასრულების პერიოდის იდენტიფიცირებას. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მოკვლევა დაწყებულ იქნა სააგენტოს ინიციატივით, რომელიც თავის მხრივ ეფუძნებოდა მონიტორინგის ფარგლებში, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, გამოვლენილ საეჭვო საბაზრო ქცევებს. შესაბამისად მოკვლევის ფარგლებში შესაძლო კანონდარღვევის დაწყებისა და დასრულების შესწავლის პერიოდად განსაზღვრულ იქნა 2022 წლის მარტი-აგვისტოს თვეები.

მნიშვნელოვანი გარემოებაა, გამოწვეულ იქნა თუ არა დარღვევით რაიმე ზიანი. აღსანიშნავია, რომ სააგენტო არ წარმოადგენს კონკრეტული სუბიექტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ზუსტი ოდენობის დადგენაზე უფლებამოსილ ორგანოს. კანონდარღვევით გამოწვეული ზიანის დადგენა არ ხორციელდება ზუსტი ციფრით, არამედ უნდა შეფასდეს რა სახის ზიანი გამოიწვია კონკურენციის დარღვევამ შესაბამის ბაზარზე, რა ფარგლებში და რა მასშტაბით, როგორ აისახა ეს ბაზრის სხვა მონაწილეებსა და ბაზრის სტრუქტურაზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით სახეზე არ არის ისეთი ზიანი, რომელიც ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის დადგენისას შესაძლოა ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად.

ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია განხილულ იქნას არსებობს თუ არა ქმედების შემამსუბუქებელი ან/და დამამძიმებელი გარემოებები. სააგენტო ასევე მხედველობაში იღებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის მიხედვითაც, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას, მოკვლევის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა შეიძლება

განხილულ იქნეს შემამსუბუქებელ გარემოებად,¹⁴⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ მოკვლევის განმავლობაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენისა და დაზუსტების მიზნით სააგენტო მოპასუხე მხარეებისაგან პერიოდულად ითხოვდა მათ ხელთ არსებული ინფორმაციისა და დამატებითი განმარტებების წარმოდგენას, რომელიც ხელს შეუწყობდა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას. მოპასუხე მხარეები მოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად და აქტიურად თანამშრომლობდნენ სააგენტოსთან (მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სააგენტოს მხრიდან ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო დაჯარიმებულ იქნა შპს „რომპეტროლ საქართველო“ თუმცა, მოგვიანებით მის მიერ მოწოდებულ იქნა შესაბამისი ინფორმაცია და არც მანამდე და არც მას შემდგომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია), დადგენილ ვადებში აგზავნიდნენ მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამის დოკუმენტაციას. ამასთან, საქმის გარემოებათა დასადგენად ახსნა-განმარტების მისაცემად მხარეები, მონაწილეობას იღებდნენ სააგენტოში გამართულ ახსნა-განმარტებით სხდომებში და არ აფერხებდნენ მოკვლევის პროცესის განვითარებას.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, დარღვევა შეეხება კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას (ფასების ან/და სხვა სავაჭრო პირობების ფიქსაცია) და დადგენილი ჰორიზონტალური კოორდინაცია წარმოადგენს ე.წ. hard-core restriction კატეგორიას, რაც გულისხმობს კონკურენციის საწინააღმდეგო მიზნის მქონე შეზღუდვას.

მნიშვნელოვანია, რომ ჯარიმის ოდენობამ საფრთხე არ შეუქმნას ეკონომიკური აგენტის არსებობას.¹⁴⁶ აქედან გამომდინარე, მისი ოდენობა შესაბამისობაში უნდა იყოს ეკონომიკური აგენტის ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებთან. ამასთან, დაკისრებული ჯარიმა არ უნდა გახდეს ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველი.¹⁴⁷

სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების შესასწავლი პერიოდი მოიცავს 8 თვიან პერიოდს (2022 წლის 01 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით), რომლის განმავლობაშიც 2022 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში გამოვლენილ იქნა შესაბამისი სამართალდარღვევა. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო მიუთითებს, რომ მიზანშეწონილია დაწესებული სანქცია ერთი მხრივ ემსახურებოდეს კანონდარღვევის პრევენციის მიზანს, ხოლო მეორე მხრივ მნიშვნელოვნად არ იყოს აცდენილი სამართალდამრღვევი სუბიექტების მიერ შესაბამისი ბაზრის კონკურენტული გარემოსათვის მიყენებულ ზიანს. აგრეთვე, სააგენტო მხედველობაში იღებს, საქმის მოკვლევის ფარგლებში მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან აქტიური თანამშრომლობის ფაქტს.

¹⁴⁵ სახელმძღვანელო პრინციპების, მეორე თავის 1.2. პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁴⁶ სახელმძღვანელო პრინციპების, მეორე თავის 1.2. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁴⁷ იქვე.

დამატებით, სააგენტო ითვალისწინებს შემაჯამებელი სხდომის შემდეგ მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ სააგენტოში წარმოდგენილ პოზიციებს ჯარიმის მოცულობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯარიმის ინდივიდუალურ ოდენობათ, სააგენტოს გადაწყვეტილებით განისზღვრა:

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ - წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის ■%;

შპს „რომპეტროლ საქართველო“ - წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის ■%;

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ - წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის ■%;

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ - წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის ■%;

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ - წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის ■%.

8. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, 17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 33-ე მუხლის პირველი და მე-7 პუნქტებისა და „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 29-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დადასტურდეს შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ (ს/ნ 204976302), სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 202161098), შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 404391136), შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ (ს/ნ 202352514) და შპს „რომპეტროლ საქართველოს“ (ს/ნ 204493002) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა.

2. პირველ პუნქტში მითითებული კანონდარღვევისთვის ეკონომიკურ აგენტებს დაეკისროთ ჯარიმა შემდეგი ოდენობით:

2.1. შპს „ლუკოილ-ჯორჯიას“ (ს/ნ 204976302) - 450 590 ლარი;

2.2. სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 202161098) - 693 576 ლარი;

2.3. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ 404391136) - 1 073 859 ლარი;

2.4. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმს“ (ს/ნ 202352514) - 718 986 ლარი;

2.5. შპს „რომპეტროლ საქართველოს“ (ს/ნ 204493002) - 987 886 ლარი;

3. სსიპ შემოსავლების სამსახურს წარედგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

9. რეკომენდაცია

შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია აგს-ებზე საწვავის მადოზირებელი და ჩამსხმელი მექანიზმების კონტროლის მექანიზმების დახვეწა. საკითხის მნიშვნელობას ეკონომიკური აგენტების მხრიდან ხაზი გაესვა მოკვლევის ფარგლებში ჩატარებული ახნა-განმარტებების პროცესში.

სააგენტოს მხრიდან გამოკვლეულ იქნა საწვავის ჩამსხმელი/მადოზირებელი მექანიზმების მეტროლოგიური დამოწმების მარეგულირებელი კანონმდებლობა. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკონტროლო-სალარო აპარატის სახელმწიფო რეესტრის წარმოების, საკონტროლო-სალარო აპარატის ექსპლუატაციის, საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის, **ავტოგასამართ სადგურებში მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების დალუქვის** და ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის წარმოების წესებს, აგრეთვე სალაროს ჩეკში შესატან აუცილებელ რეკვიზიტებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით ავტოგასამართ ან/და აირგასამართ ან/და აირსავსებ საკომპრესორო სადგურში მადოზირებელ ან/და მრიცხველ მექანიზმზე საგადასახადო ორგანოს ლუქის არქონა ან დაზიანებული ლუქის ქონა იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით. ხოლო, მე-10 ნაწილის მიხედვით, აღნიშნული ქმედება ჩადენილი განმეორებით, – იწვევს გადასახადის გადამხდელის დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 15 000 ლარის ოდენობით.

ფინანსთა მინისტრის N994 ბრძანებით განსაზღვრულია საგადასახადო ორგანოების მიერ კონტროლის განხორციელების (მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის, ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების და სამართალდარღვევების საქმის წარმოების) პროცედურები.

ბრძანების 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ავტოგასამართ სადგურში (აგს-ში) მარიგებელი სვეტების ფუნქციონირება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამ მუხლით დადგენილი წესით დალუქული მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების საშუალებით. თავის მხრივ აგს-ში მრიცხველი და მადოზირებელი მექანიზმის პირველად და ხელახალ დალუქვებს ახორციელებენ გადასახადის გადამხდელები შემოსავლების სამსახურის გაცემული ლუქებით, მას შემდეგ რაც ამ მექანიზმების მეტროლოგიური დამოწმება ჩატარდება (23-ე მუხლის მე-2 პუნქტი). აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ორგანოს ლუქებით დალუქვას ექვემდებარება აგს-ში არსებული ყველა მარიგებელი სვეტი, მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა ეს სვეტი საწვავის მისაწოდებლად (23-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

აღსანიშნავია, რომ აგს-ების მარიგებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების დამოწმებას ახორციელებს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო ან აკრედიტებული პირი (23-ე მუხლის მე-3 პუნქტი)¹⁴⁸. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აგს-ში მარიგებელი სვეტების მადოზირებელ და მრიცხველ მექანიზმებზე ლუქის დადებამდე/ახსნამდე არაუგვიანეს 1 საათისა ელექტრონული განცხადებით მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს და აცნობოს ლუქის დადების/ახსნის ზუსტი დრო (23-ე მუხლის მე-7 პუნქტი). აგს-ში მარეგულირებელი სვეტების მადოზირებელ და მრიცხველ მექანიზმებზე ლუქის დადების/ახსნის დროს გადასახადის გადამხდელის მიერ ფორმდება შესაბამისი აქტი, რომელიც განსაზღვრულია N994 ბრძანებით. აქტის შენიშვნის გრაფაში უნდა მიეთითოს ლუქის დადების/ახსნის მიზეზები (გეგმური, მექანიზმების დაზიანება, ლუქების დაზიანება და სხვ.) (23-ე მუხლის მე-8 პუნქტი).

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აქტის ერთი ეგზემპლარი, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს აქტის შედგენიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა. მარიგებელი სვეტის დაზიანების შემთხვევაში, თუ მისი შეკეთება მოითხოვს მადოზირებელ ან/და მრიცხველი მექანიზმებზე საგადასახადო და მეტროლოგიური დამოწმების ორგანოების მიერ დადებული ლუქის მოხსნას (მ.შ. მათი შეკეთების ან შეცვლის მიზნით) ან იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელმა აღმოაჩინა ლუქის დაზიანების ფაქტი, იგი ვალდებულია დაზიანების აღმოფხვრამდე შეაჩეროს საწვავის მიწოდება და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ლუქის გამცემ საგადასახადო ორგანოს ბრძანების 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად (ელ.განცხადებით მიმართვა), რის შემდეგაც იგი ხსნის ლუქებს და გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ ამ მუხლით დადგენილი წესით ახდენს მექანიზმების ხელახალ დალუქვას (23-ე მუხლის მე-9 პუნქტი). აღსანიშნავია, რომ აგს-ში მარეგულირებელი სვეტების მადოზირებელი და მრიცხველი მექანიზმების ხელახალი დალუქვა სავალდებულოა ბოლო დალუქვიდან 1 წლის გასვლის შემდეგ (23-ე მუხლის მე-10 პუნქტი).

¹⁴⁸ ასევე იხ. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 82-ე მუხლის მე-4 ნაწილი: „დაკანონებული გაზომვის საშუალების პირველად და პერიოდულ დამოწმებას ახორციელებს სააგენტო ან დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი აკრედიტებული პირი. დამოწმება ხორციელდება ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების, შეცვლისა და გაუქმების მექანიზმებს.“

ამასთან, სააგენტოს მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია როგორც მეტროლოგიური შემოწმების რაოდენობის შესახებ, ასევე ლუქების შემოწმების/დარღვევების გამოვლენის რაოდენობისა და შემოწმებაზე აკრედიტირებული პირების შესახებ.¹⁴⁹

სააგენტოს მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისგან, კერძოდ სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსგან, სსიპ შემოსავლების სამსახურისგან და სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრისგან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზიდან გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

1. სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო საწვავის მარიგებელი სვეტების მადოზირებელი მექანიზმების დამოწმებას/დაკალიბრებას ფაქტობრივად ახორციელებს თბილისის გარეთ, საქართველოს რეგიონებში, თუმცა 2022 წლიდან დღემდე სააგენტოს მსგავსი სამუშაოები არ გაუწევია მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისთვის.

2. სსიპ შემოსავლების სამსახურმა 2021 წელს შეამოწმა 17 ობიექტი და არ გამოვლენილა სამართალდარღვევა, 2022 წელს შეამოწმა 187 ობიექტი და გამოვლინდა 6 სამართალდარღვევის ფაქტი, ხოლო 2023 წელს შემოწმდა 3 ობიექტი და დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა.

3. სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრისგან მიღებული ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით საწვავის მადოზირებელი სვეტების დამოწმება/კალიბრაციის აკრედიტაცია გააჩნა 6 ეკონომიკურ აგენტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს პოზიციით, საწვავის მადოზირებელი სვეტების დამოწმებას/კალიბრაციასთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულირება საჭიროებს მეტ სიციხადესა და კონკრეტიკას. კერძოდ, მნიშვნელოვანია გაიზარდოს სსიპ შემოსავლების სამსახურის მხრიდან კონტროლისა და შემოწმების განხორციელების სიხშირე. როგორც საკანონმდებლო აქტების ანალიზიდან ჩანს, კანონის ან/და კანონქვემდებარე დონეზე დადგენილი არ არის შემოწმების პერიოდულობა. სააგენტოს პოზიციით, საწვავის მარიგებელ სვეტებზე ლუქების არსებობის ან/და მთლიანობის პერიოდული შემოწმების ვალდებულების მკაფიოდ გაწერა საკანონმდებლო ან თუნდაც კანონქვემდებარე აქტებში, უკეთესობისაკენ შეცვლიდა არსებულ კონკურენტულ გარემოს.

ამასთან, სსიპ შემოსავლების სამსახური მადოზირებელი სვეტების დამოწმება/კალიბრაციის შემდეგ ლუქების დადების/ახსნის პროცესში პირდაპირ არ მონაწილეობს. მართალია იგი გასცემს ლუქებს, თუმცა მათი დადება/ახსნა ხდება უშუალოდ ეკონომიკური აგენტის მიერ. შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, სანდოობის ხარისხის ასამაღლებლად და ex-ante კონტროლისათვის, მნიშვნელოვანი იქნებოდა უფლებამოსილი

¹⁴⁹ სააგენტოს წერილები 02/1021, 02/1024, 02/1023.

ადმინისტრაციული ორგანოს (ამ შემთხვევაში სსიპ შემოსავლების სამსახური) უშუალო მონაწილეობა საწვავის მადოზირებელ მექანიზმებზე ლუქების დადების ახსნის/პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს საწვავის მადოზირებელი სვეტების მეტროლოგიური დამოწმების/კალიბრაციის კონტროლზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოს - სსიპ შემოსავლების სამსახურს მიმართოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციით, რომ დაიხვეწოს კონტროლის უფრო ეფექტურად განხორციელებისათვის საჭირო პროცედურული მექანიზმი, განისაზღვროს პერიოდული შემოწმების სიხშირე, განისაზღვროს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის უშუალო მონაწილეობა ლუქების დადების/ახსნის პროცესში.